წლიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოსი—10—58, მთ. კანტორის—8—81.

დღიური

— რუზველტის მთავრობის პოლიტიკა შორეულ-აღმოსავლეთის საკითხში.

— გერმანიაში მოელიან რეიხსტაგის ახალ არჩევნებს.

პარასკევი, 20 იანვარი 1933 წ. № 17 (3573)

საპროგრამო დოკუმენტი

ამხ. სტალინის სიტყვა, „სოფლად მუშაობის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა „პრავდა“-ს გუშინდელ ნომერში, არის საპროგრამო დოკუმენტი ჩვენს მუშაობაში, რომელსაც ვაწარმოებთ კოლმეურნის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის ნაცად იარაღით, სრული გარკვეულობით და მხოლოდ ბოლშევიკებისათვის დამახასიათებელ პირდაპირობით ამხ. სტალინმა გამოაშკარავა სოფლად ჩვენი მუშაობის დეფექტების ფესვები და დასახა მათი სასწრაფოდ გამოსწორების გზები.

სოფლად ჩვენი მუშაობის მთავარი ნაკლი გასული წლის განმავლობაში მდგომარეობს იმაში, რომ პურის დამზადების დროს ჩვენ გვქონდა უფრო დიდი სიძნელეები, ვიდრე 1931 წელს. და ეს იმ დროს, როცა პურის დამზადების პირობები გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე წინა წლებში. 1932 წელს ჩვენ გვქონდა უკეთესი მოსავალი, გაიზარდა სოფლად გაგზავნილ სამრეწველო საქონლის რაოდენობა, პურის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებია განსაზოგადოებულ სექტორს.

ჯერ კიდევ პურის დამზადების კამპანიის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებდა პარტიულ ორგანიზაციებს იმ სიძნელეების შესახებ, რომლებსაც ისინი წააწყდებოდენ პურის დამზადების დროს 1932 წელს. ცეკა მიუთითებდა, რომ გეგმის წარმატებით შესრულება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პურის დამზადების საქმე არ იქნება დამყარებული თვითდინებაზე, თუ ადგილობრივი მუშაკები შეიგნებენ, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და ერთპიროვნულ მეურნეების მიერ სახელმწიფოს წინაშე თავიანთი ვალდებულებათა სწრაფად შესრულების პოლიტიკურ მნიშვნელობას. ცეკა პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევდა იმ ახალ ვითარებაზე, რომელიც შექმნა სოფლად პურით საკოლმეურნეო ვაჭრობის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცეკა 6 მაისის დადგენილებაში პურით საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ წინადადებას იძლეოდენ რათა პურის დამზადების გეგმის შესრულება დამთავრებულიყო არა უგვიანეს 1-ლ იანვრისა, და სათესლე ფონდების შევსება არა უგვიანეს 1933 წლის 15 იანვრისა. და მხოლოდ პურის დამზადების გეგმის შესრულების და თესლის შეგროვების შემდეგ ეძლეოდათ კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს სრული შესაძლებლობა დაუბრკოლებლივ გაეყიდათ თავიანთი ზედმეტი პური.

ცეკას და სახკომსაბჭოს დირექტივაში ხაზგასმით იყო აღნიშნული პურის დამზადების დაჩქარების საჭიროება. სოფლის ბევრმა მუშაკმა არ შეასრულა აღნიშნული დირექტივები, ისინი გატაცებული იყვნენ სხვადასხვაგვარი ფონდების შექმნით და კუდში მისჩანჩალებდენ კოლმეურნეთა იმ ნაწილის განწყობილებებს რომლებსაც პურით საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ მიღებულ დადგენილებებიდან გამოყავთ საკუთარი დასკვნა—ჩაებარებიათ სახელმწიფოსათვის უფრო ნაკლები პური შემოინახათ იგი უფრო მაღალ ფასებში გასასყიდათ. ისინი საკოლმეურნეო ვაჭრობას მიუდგენ არა როგორც მარქსისტები, არამედ როგორც ნაროდნიკები. „ჩვენმა სოფლის კომუნისტებმა, ყოველშემთხვევაში მათმა უმრავლესობამ, საკოლმეურნეო ვაჭრობა გაიგეს მხოლოდ მისი დადებითი მხრით, გაიგეს და შეითვისეს მისი დადებითი მხარე, მაგრამ სრულიად ვერ გაიგეს და ვერ შეითვისეს საკოლმეურნეო ვაჭრობის უარყოფითი მხარეები, ვერ გაიგეს ის, რომ საკოლ. ვაჭრობის უარყოფითი მხარეებს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს თუ ისინი, ე.ი. კომუნისტები, მოსავლის აღების პირველ დღეებიდანვე ყოველნაირად არ დააჩქარებენ პურის დამზადების კამპანიას“. (ი. სტალინი) ასეთივე შეცდომა დაუშვეს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმაც.

მაგრამ როცა გაერკვნენ იმ სიძნელეებში, რომელსაც იწვევს საკოლმეურნეო ვაჭრობა, ადგილებზე იწყეს პურის დამზადების გაჭიანურება ვადამდე, დაუშვეს პურით ვაჭრობა და ლიბერალურად ეკიდებოდენ პურის სპეკულიაციას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბევრმა რესპუბლიკამ, ოლქმა და მხარემ ვადაზე ვერ შეასრულეს პურის დამზადების გეგმა. სამარცხვინოთ ჩამორჩნენ, ვაუშვეს რა ყველა ვადები, უკრაინა, ჩრდილოეთ კავკასია, საბჭოთა მეურნეობების საგრძნობი ნაწილი.

პურით საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ მიცემულ დირექტივების არა ყოველთვის სწორად გატარება, სოფლად ახალი პირობების გათვალისწინების უნარის უქონლობა, ამ პირობებთან შეფარდებით საკუთარი რიგების გარდაქმნის უუნარობა—ასეთია სოფლად მუშაობის დეფექტების პირველი მიზეზი.

მთლიანი კოლექტივიზაციის გატარებამ საბჭოთა კავშირის გადამწყვეტ რაიონებში შესცვალა სოფლად ჩვენი მუშაობის პირობები და თავის მხრით მოითხოვა სოფლის მეურნეობისადმი ჩვენი ხელმძღვანელობის შეცვლა და გაუმჯობესება. ამის არ გაგება არის სოფლად ჩვენი მუშაობის დეფექტების მეორე მიზეზი. მთელმა რიგმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა (უკრაინა, ჩრდილოეთ კავკასია, ქვემო ვოლგა) რომლებიც დამშვიდდენ იმით, რომ საკოლმეურნეო სექტორმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა მათ რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში, შეასუსტეს ყურადღება სოფლის მეურნეობისადმი. მათ ვერ გაიგეს, რომ სწორედ ეხლა, როცა ღარიბ-საშუალო გლეხთა უმრავლესობა გაერთიანებულია კოლმეურნეობებში, კოლმეურნეობათა ბოლშევიკური ხელმძღვანელობა მაქსიმალურად უნდა იქნას გაძლიერებული. მათ ვერ გაიგეს, რომ „გადასვლა კოლექტიურ მეურნეობაზე, როგორც მეურნეობის გაბატონებულ ფორმაზე, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს ჩვენს ზრუნვას სოფლის მეურნეობის მიმართ, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს კომუნისტების ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში“. (ი. სტალინი). ამან გამოიწვია მთელი რიგი ადგილობრივ ორგანიზაციების მოწყვეტა რაიონებისაგან, კოლმეურნეობებისაგან. ხომ ფაქტია, რომ ბევრი ჩვენი სამხარეო პარტიული ორგანიზაციები სულ ამ უკანასკნელ დრომდე თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ მიწადმოქმედების ორგანოებს, რომლებიც ხშირად, ძალიან ხშირად, წარმოადგენენ არა სოფლის მეურნეობის პრაქტიკული ხელმძღვანელობის ოპერატიულ შტაბს, არამედ ბიუროკრატიულ კანცელარიებს, რამიაც არა ნაკლები ბრალი მიუძღვით მიწსახკომელ ბიუროკრატებს, რომლებიც მოწყვეტილი არიან პრაქტიკულ მუშაობას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში.

მთელმა რიგმა საოლქო ორგანიზაციებმა არამც თუ არ იციან, თუ რა ხდება კოლმეურნეობებში, არამედ ისიც არ იციან, ხეირიანად, თუ რა ხდება თვით რაიონულ ცენტრებშიაც. ხომ ფაქტია, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია იმის ნაცვლად, რომ ზედმიწევნით იცოდენ თუ რა ხდება თვითეულ კოლმეურნეობაში, შეისწავლონ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დეტალები, კოლმეურნეობების ხელმძღვანელობას ანხორციელებენ მხოლოდ და მხოლოდ საკოლმეურნეო უჯრედების მდივნების იშვიათი, შემთხვევიდან, შემთხვევამდე, მოხსენებების მოსმენის მეშვეობით, უცვლელი სტერეოტიპიური რეზოლიუციებით რომელიც გამოდგება ყოველ კოლმეურნეობისათვის.

საკოლმეურნეო მშენებლობის უდიდესმა წარმატებებმა თავბრუ დაახვიეს ბევრ ჩვენს ამხანაგს. მათ გადასწყვიტეს, რომ რადგან კოლმეურნეობანი შეიქმნა, რადგან გვაქვს მეურნეობის სოციალისტური ფორმა, დანარჩენი თავისთავად გაკეთდება. მათ გადასწყვიტეს, რომ გუშინდელი ერთპიროვნული მეურნე, გუშინდელი წვრილი მესაკუთრე, შევიდა რა დღეს კოლმეურნეობაში, ერთბაშად სოციალისტი გახდა. მათ გადასწყვიტეს, რომ კოლმეურნეობა ეს არის მთლიანი „სოციალისტური პლატო“. მათ ვერ გაიგეს მთავარი, ვერ გაიგეს, რომ მეურნეობის სოციალისტური ფორმა—კოლმეურნეობა, თავის თავად, ჯერ კიდევ არ სწყვეტს საკითხს, რომ ეს ფორმა, თავის თავად, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველგყოფს ჩვენ იმისაგან, რომ მისი გამოყენება შეუძლიათ კლასობრივ მტრებსაც. „საქმე უწინარეს ყოვლისა იმაშია,—თუ ვინ სდგას კოლმეურნეობების სათავეში და ვინ უწევს ხელმძღვანელობას მათ“ (ი. სტალინი). როცა კოლმეურნეობას ხელმძღვანელობას უწევთ ჩვენ, კომუნისტები—მაშინ ადგილი აქვს კოლმეურნეობების სამეურნეო პოლიტიკურ და ორგანიზაციულ განმტკიცებას, მაშინ სწრაფად მიდის წინ კოლმეურნეთა სოციალისტურად აღზრდა. როცა კოლმეურნეობას ხელმძღვანელობას უწევთ ჩვენ, კომუნისტები—მაშინ კოლმეურნეობები და კოლმეურნეები წესიერად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინაშე. როცა კოლმეურნეობას ხელმძღვანელობას არ უწევთ ჩვენ, კომუნისტები — მაშინ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისაკენ მიიწევს კულაკი, კულაკის აგენტი, მენშევიკი, ესერი, ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცერი. როცა კოლმეურნეობას ხელმძღვანელობას არ უწევთ ჩვენ, კომუნისტები —მაშინ კლასობრივი მტერი, რომლებიც ხშირად იმალებიან პარტიის მოღალატეების, პარტიული ბილეთის ჯიბეში მქონე გაიძვერების ზურგს უკან. აწყობენ პურის დამზადების საბოტაჟს, იწყებენ მავნებლობას, ანგრევენ კოლმეურნეობას, ცდილობენ გამოიყენონ სამეურნეო ორგანიზაციის სოციალისტური ფორმა ჩვენს წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

„ისეთი გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის დროს,—ამბობს ამხ. სტალინი, როგორიც სწარმოებს ეხლა ჩვენში, საბჭოთა კავშირში, „ნეიტრალური“ კოლმეურნეობებისათვის უკვე არ რჩება ადგილი, ასეთ პირობებში კოლმეურნეობები შეიძლება იყვნენ ან ბოლშევიკური, ან ანტისაბჭოთა. და თუ ჩვენ ხელმძღვანელობას არ უწევთ ამა თუ იმ კოლმეურნეობებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ხელმძღვანელობას უწევენ ანტისაბჭოთა ელემენტები“...

კოლმეურნეობების, როგორც მეურნეობის ახალი ფორმის გადაჭარბებით შეფასება კოლმეურნეობების იდეალიზაცია — ასეთია სოფლად ჩვენი მუშაობის დეფექტების მესამე მიზეზი.

კლასობრივი მტერი განადგურებულია. ამაშია დიდი ისტორიული დამსახურება ჩვენი პარტიისა, რომელმაც, მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგობის მიუხედავათ, განახორციელა მთლიანი კოლექტივიზაცია. ზოგიერთმა ამხანაგებმა გაიგო ეს, როგორც კულაკის სრული განიარაღება, მათ მიერ თავიანთი პოზიციების სრული დათმობა. მათ ვერ შენიშნეს, რომ დამარცხებულმა, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუნადგურებელმა კლასობრივმა მტერმა ალღო აუღო შეცვლილ გარემოებას სოფლად და შესცვალა თავისი ტაქტიკა, კულაკურ ელემენტებს ეხლა უკვე აშკარად არ მიაქვთ იერიში კოლ.-ზე, გახსნილი გზებით და ბილიკებით, ნიღაბ აფარებული მიძვრებიან ისინი კოლმეურნეობებში. ადგილობრივი ორგანიზაციების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დროზე შეამჩნიონ კლასობრივი მტრის ახალი ტაქტიკა, სწრაფად გარდაქმნან თავიანთი რიგები და სწრაფად შესცვალონ თავიანთი ტაქტიკა კლას.მტერთან ბრძოლაში. მთელ რიგ ადგილობრივ მუშაკებს არ აღმოაჩნდათ საკმაო რევოლიუციური სიფხიზლე, მათ არ აღმოაჩნდათ უნარი დროზე შეემჩნიათ კლასობრივი მტრის ტაქტიკის შეცვლა. მოხდა ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი მუშაკი, რომლებიც სცხოვრობენ გუშინდელი დღით, ეძებენ კულაკს იქ, სადაც ის უკვე დიდი ხანია გაჰქრა, ისინი ჯერ კიდევ აწარმოებენ კულაკის გამოცნობას გარეგნული შეხედულებით—ისე, როგორც იგი დახატული იყო პლაკატებსა და კარიკატურებში. და აქ არის სოფლად ჩვენი მუშაობის დეფექტების მეოთხე მიზეზი.

კომუნისტების როლის და პასუხისმგებლობის შეუფასებლობა საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში, კომუნისტების როლის და პასუხისმგებლობის შეუფასებლობა პურის დამზადების საქმეში, სოფლის პარტიული ორგანიზაციების დანაგვიანება კლასობრივად უცხო და მტრულად განწყობილ ელემენტებით— არის სოფლად ჩვენი მუშაობის დეფექტების მეხუთე მიზეზი.

1931 წლის ივნისში სამეურნეო მუშაკთა თათბირზე ამხ. სტალინმა სასტიკად გააკრიტიკა ჩვენი პარტიული, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობა მრეწველობის მართველობის დარგში. ამ სიტყვის შემდეგ კლასობრივი მტრები პირზე დორბლმორეულნი გაჰკიოდენ, რომ თითქოს ბოლშევიკებს კარგად შეუძლიათ მხოლოდ დანგრევა, მაგრამ არ შეუძლიათ აშენება, არ შეუძლიათ განაგრძონ მეურნეობა. კლასობრივ მტრებს გულმოდგინეთ უჭერდენ მხარს ოპორტუნისტები და ბიუროკრატები. ჩვენი პარტიისათვის, მუშათა კლასისათვის ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული პირობა გადაიქცა გამარჯვების დროშად. ამხ. სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვების შემდეგ განვლო წელიწადნახევარმა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა ძლევამოსილად შეასრულა პირველი ხუთწლედი ოთხ წელიწადში. და როგორც პირველი ხუთწლედის წარმატებებში, ისე მრეწველობის მუშაობის დეფექტების აღმოფხვრის საქმეში ექვსმა პირობამ უდიდესი როლი შეასრულა.

თავის სიტყვაში „სოფლად მუშაობის შესახებ“ ამხ. სტალინი ლაპარაკობდა მხოლოდ და მხოლოდ სოფლად ჩვენი მუშაობის დეფექტებზე. მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე უდიდესი გამარჯვებებს მჭერმეტყველურად მოწმობენ [illegible]ები და ფაქტები, რომლებიც მოყვანილია ამხ. სტალინის, მოლოტოვის, და კუიბიშევის უკვე გამოქვეყნებულ მოხსენებებსა და ცეკას ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის დადგენილებებში. პროლეტარული რევოლიუციის მთავარი, ყველაზე უფრო რთული და ყველაზე უფრო მძიმე ამოცანა უკვე გადაჭრილია. გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. საბჭოთა კავშირი გადაიქცა ყველაზე უფრო მსხვილი სოფლის მეურნეობის ქვეყნად მსოფლიოში.

ჩვენი პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის სიტყვა—არის ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიმუში. მხოლოდ ბოლშევიკების მძლავრ პარტიას რომელიც სარგებლობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის უსაზღვრო ნდობით, სიყვარულით და თავდადებული ერთგულებით, მხოლოდ ბოლშევიკების პარტიას, რომელსაც მაღლა უჭირავს ლენინის დროშა, რომელმაც მიაღწია მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს და შექმნა მსოფლიოში ყველაზე უფრო მძლავრი და ყველაზე უფრო ავტორიტეტიანი ხელისუფლება, პარტიას, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინის თანამებრძოლთაგან ყველაზე საუკეთესო თანამებრძოლი — მხოლოდ ასეთ პარტიას ასე აშკარად ილაპარაკოს თავის მუშაობის დეფექტებზე.

„შეიძლება თუ არა ამ დეფექტების გამოსწორება? დიახ, უსათუოდ შეიძლება. გამოვასწორებთ თუ არა ჩვენ მათ უახლოეს დროში? დიახ, უსათუოდ გამოვასწორებთ. ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა“. (ი. სტალინი). აღნიშნული დეფექტების გამოსწორებას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ყველა ჩვენი ორგანიზაციები. აღნიშნული დეფექტების აღმოფხვრაში, კოლმეურნეობების მავნებლურ ელემენტებისაგან განწმენდაში, საკოლმეურნეო წარმოების მტკიცე, კლასობრივ ბრძოლაში შემოწმებულ ხელმძღვანელობის შერჩევაში, ჩვენი კოლმეურნეობებში ბოლშევიკური კოლმეურნეობებად გადაკეთების საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებებმა. და რაც უფრო ჩქარა განვახორციელებთ ჩვენ ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა შესახებ, რაც უფრო ჩქარა განვამტკიცებთ პროლეტარული ქალაქის ხელმძღვანელობას საკოლმეურნეო სოფელზე, რაც უფრო ჩქარა გავაძევებთ სოფლის პარტიული ორგანიზაციების რიგებიდან ყველა უცხო, გადაგვარებულ და კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის უნარმოკლებულ ელემენტებს, მით უფრო ჩქარა გამოვასწორებთ ჩვენ სოფლად ჩვენი მუშაობის დეფექტებს, რომლებიც აღნიშნა ამხ. სტალინმა.

ამხ. სტალინის სიტყვა—ეს არის საპროგრამო დოკუმენტი ჩვენ მუშაობაში, რომელსაც ვაწარმოებთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად შემდგომი გარდაქმნისათვის. მისი საფუძვლად დადება ჩვენი მუშაობისათვის სოფლად, მისი ფართოდ გაცნობა ყველა კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის—არის პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

1933 წ. 18 იანვრის „პრავდა“-ს მოწინავე წერილი.

მოსკოვის ბოლშევიკები პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მონოლიტური დასაყრდენია

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის საკონტროლო კომისიის და მოსკოვის საქალაქო საკონტროლო კომისიის მიერ პარტაქტივთან ერთად მიღებული რეზოლიუცია ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გამო საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კომისიის იანვრის პლენუმის შედეგების შესახებ

მოსკოვი, 18 იანვარი. მოისმინა და განიხილა რა ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ც.ს. კომისიის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ, მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის საკონტროლო კომისიის და მოსკოვის საქალაქო საკონტროლო კომისიის პლენუმი აქტივთან ერთად სავსებით და მთლიანად იწონებს ცეკას და ც. ს. კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც შეაჯამა პირველი გმირული ხუთწლედის შედეგები და დასახა საბრძოლო პროგრამა ბრძოლისა სოციალიზმის შემდგომი გაშლილი შეტევისათვის მთელ ფრონტზე.

ხუთწლედის 4 წელიწადში განხორციელებას, მის გრანდიოზულ გამარჯვებებს, რომლებიც რაზმავენ „ყველა ქვეყნის მუშათა კლასის რევოლიუციურ ძალებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ“ (სტალინი), აქვთ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. კაპიტალის ქვეყნებში არსებული უსასტიკესი კრიზისის, უმუშევრობის, სილატაკის და შიმშილის უმაგალითო ზრდის დროს, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის გამარჯვებანი წარმოადგენენ თანამედროვე ისტორიის ყველაზე შესანიშნავ ფაქტს. ამ წარმატებებმა, რომლებსაც პარტიამ და მუშათა კლასმა მიაღწიეს ლენინური ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი ბელადის და მასწავლებლის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ძირფესვიანად შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე, გიგანტურად ასწიეს მისი საერთაშორისო ძლიერება და თავდაცვის უნარი. შავი მეტალურგიის, საკუთარი მძლავრი მანქანათმშენებლობის შექმნით. მრეწველობის უდიდესი გიგანტების ამუშავებით, საბჭოთა კავშირი აგრარული და ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყნად, ჩადგა ტექნიკურ-ეკონომიური მხრით ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნების პირველ რიგებში.

მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი აქტივთან ერთად განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ყველაზე უფრო სწრაფ ტემპებზე აღებულმა მტკიცე და გადაუხრელმა ხაზმა, რომელსაც პარტია ატარებდა მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, უზრუნველჰყო საბჭოთა კავშირის გადაქცევა სავსებით თვითმყოფ და მსოფლიო კაპიტალიზმის კაპრიზებისაგან დამოუკიდებელ ქვეყნად, ისეთ „ქვეყნად, რომელსაც შეუძლია მასიური მასშტაბით დაამზადოს თავდაცვის თანამედროვე იარაღები და მოამარაგოს ამ იარაღებით თავისი არმია გარედან თავდასხმის შემთხვევაში“ (სტალინი).

ყველა ეს წარმატებანი უზრუნველყვეს მუშათა და კოლმეურნეთა მილიონების შემჭიდროებამ პარტიის და მისი ლენინური ხელმძღვანელობის გარშემო, მათმა აქტივობამ და თავდადებამ, ენტუზიაზმმა და ინიციატივამ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის მძლავრმა გაქანებამ.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, მძლავრი საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის შექმნამ, სოფლად პარტიის ლენინური პოლიტიკის თანმიმდევრობით გატარებამ უზრუნველყვეს პროლეტარული რევოლიუციის ყველაზე ძნელი და რთული ამოცანის გადაჭრა წვრილ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გადაყვანა მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების რელსებზე. წარმატებით ტარდება კულაკობის ლიკვიდაციის პოლიტიკა, საბოლოოდ გამოთხარა ძირი კაპიტალიზმს სოფლად; მოსპობილია გლეხობის დიფერენციაციის შესაძლებლობა; ღარიბ და საშუალო გლეხთა მილიონიანი მასები პირველად ისტორიაში განთავისუფლებული არიან კულაკური კაბალისაგან, სიღატაკისა და უმეცრებისაგან.

ორასი ათასი კოლმეურნეობა, რომელნიც აერთიანებენ ღარიბ-საშუალო გლეხობის ძირითად მასებს, 5 ათასზე მეტი საბჭოთა მეურნეობა, ორნახევარი ათასი სამანქანო-სატრაქტორო სადგური, პროლეტარულ სახელმწიფოს უდიდესი დაბანდებანი ტრაქტორების, კომბაინების და ქიმიური კომბინატების ქარხნების მშენებლობაში საბჭოთა სოფლის წინაშე სახავენ უმაგალითო აყვავების, მოსავლიანობის გადიდების და კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის შემდგომი ზრდის პერსპექტივებს.

მუშათა კლასის და მშრომელ გლეხობის უდიდეს მონაპოვარს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში წარმოადგენს ხვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობის მოსპობა მუშათა შორის, თითქმის მთელი ღარიბი გლეხობის ჩაბმა საკოლმეურნეო მშენებლობაში და გაღატაკების და პაუპერიზმის მოსპობა სოფლად. ხუთწლედის შედეგებმა გააცამტვერეს ტროცკისტების კონტრრევოლიუციური შეხედულებანი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ.

ხუთწლიანი გეგმის ძლევამოსილი განხორციელება მიღწეულია მედგარ ბრძოლაში კლასობრივ მტერთან და მის აგენტურასთან—მემარჯვენე კულაკურ გადახრასთან, ბრძოლაში მომემარცხენო გადახვევებთან, კონტრრევოლიუციური ტროცკიზმის ნაშთებთან და ოპორტუნიზმისადმი შემარიგებლობასთან.

მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი აქტივთან ერთად, იწონებენ რა ცეკას და ც.ს. კომისიის პლენუმის მიერ დასახულ სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიურ ზრდას 13—14 პროცენტით მეორე ხუთწლედში და 1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას. მთელი ორგანიზაციის წინაშე, თითოეული ბოლშევიკის, თვითეული დამკვრელის, თვითეული პროლეტარის და მშრომელის წინაშე უმთავრეს ამოცანად სახავენ შეუპოვარი ბრძოლის წარმოებას გაცდენებთან, შრომის ნაყოფიერების აწევისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, პროდუქციის საუკეთესო ხარისხისა და პროგრამის მთლიანად შესრულებისათვის. ახალი მშენებლობის ენტუზიაზმი და პათოსი უნდა შევსებულ იქნას „ახალი ქარხნების და ახალი ტექნიკის ათვისების ენტუზიაზმით და პათოსით, შრომის ნაყოფიერების სერიოზული ამაღლებით და თვითღირებულების სერიოზული შემცირებით. ესაა-ახლა მთავარი“ (სტალინი).

ამხ. სტალინის სიტყვა „სოფლად მუშაობის შესახებ“ არის პროგრამული დოკუმენტი ჩვენს მუშაობაში კოლმეურნის გუშინდელი ერთპიროვნული მეურნის სოციალისტური გარდაქმნისათვის, კოლმეურნეობათა სამეურნეო-პოლიტიკური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. მიმდინარე წლის დამზადების ჩატარების, მათ შორის მოსკოვის ოლქში ჩატარების, გამოცდილებამ დაადასტურა, რომ აბსოლუტურად სწორია და თავის დროზე მიღებული ცეკას და ც.ს. კომისიის გადაწყვეტილებანი სოფლად პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების, პარტიული ბირთვის და უპარტიო საკოლმეურნეო აქტივის განმტკიცების, თვითეულ კოლმეურნეობაში უმრავლესობის მიმხრობის შესახებ, წამგლეჯლების, საბოტაჟის გამწევლების, მავნებლების და კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის ქონების მტაცებლობის ორგანიზატორების წინააღმდეგ, კოლმეურნეობებში შეპარული კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. უდიდესი როლი ამ ამოცანების განხორციელებაში უნდა შეასრულონ პოლიტიკურმა განყოფილებებმა, რომლებიც ეწყობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან. ისინი უნდა გახდენ უძლიერეს ბერკეტებად სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის და სოფლად პროლეტარული სახელმწიფოს პოზიციების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

პლენუმი მოუწოდებს მთელ პარტიულ ორგანიზაციას გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს საკოლმეურნეო მოძრაობის ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის კოლმეურნეობათა წვრილ-ბურჟუაზიული იდეალიზაციით შეცვლის ყოველგვარ ცდას. თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ და თვითეულმა კომუნისტმა უნდა გააჩაღონ შეუპოვარი ბრძოლა კლასობრივი მტრის ახალ მანევრებთან, რომელიც ცდილობს შიგნიდან დაშალოს კოლმეურნეობანი. უფრო გავაძლიეროთ კლასობრივი სიფხიზლე, დაუზოგავად გავუსწორდეთ მავნებლებს, რომლებიც შეიპარნენ მთელ რიგ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამიწათმოქმედო ორგანოებში.

თვითეულ კომუნისტს მთელ თავის პრაქტიკულ მუშაობაში უნდა ახსოვდეს ამხ. სტალინის მითითება მის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში იმის შესახებ, რომ „ჩვენ ვდგავართ ხელისუფლების სათავეში, ჩვენ მოგვეპოვება სახელმწიფოს საშუალებები, ჩვენ მოწოდებული ვართ ხელმძღვანელობა გავუწიოთ კოლმეურნეობებს, ჩვენ უნდა ვიკისროთ მთელი პასუხისმგებლობა სოფლად მუშაობისათვის“.

გაზაფხულის თესვის კამპანიამ უნდა აწიოს მოსკოვის ოლქის სასოფლო მეურნეობა კიდევ უფრო მაღალ ხარისხობრივ საფეხურზე, რომელიც უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მინდვრების მოსავლიანობის საგრძნობ გადიდებას, ახალ საწარმოთა ორგანიზაციულ-პოლიტიკურ განმტკიცებას სოფლის მეურნეობაში და ოლქის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მთელი მშენებლობის შემდგომ ამაღლებას.

მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი სავსებით სწორად სთვლიან სახელმწიფოებრივ-კოოპერატიული, აგრეთვე საკოლმეურნეო ვაჭრობის საფუძველზე საქონლის ბრუნვის შემდგომი გაშლის პოლიტიკას. თვითეულ კომუნისტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ იბრძოლოს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გაფართოებისა და მისი საბაზრო ფონდების ყოველნაირად გადიდებისათვის, ალაგმოს კერძო ვაჭარი და სპეკულიანტი, ამხილოს ქალაქის და სოფლის სავაჭრო კავშირის „მემარცხენე“ ოპორტუნისტული შეუფასებლობა. მუშათა მომარაგების შემდგომი გაუმჯობესება, საწარმოთა სასურსათო ბაზის განმტკიცებით, საგარეუბნო მეურნეობის გაფართოებით, საწარმოების მუშათა მომარაგების განყოფილებების და კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებით, წარმოადგენს თვითეული ბოლშევიკის საბრძოლო და საპატიო ამოცანას.

საბჭოთა კავშირის მუშების და მშრომელი მასების კეთილდღეობის ზრდა, მათი საერთო კულტურული დონის ამაღლება ხდება იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო იზრდება მშრომელ მასების გაღატაკება, რომელნიც ვერ ხედავენ სინათლის შუქს თავის უნუგეშო საკატორღო ცხოვრებაში. ეს ერთხელ კიდევ უჩვენებს მშრომელ კაცობრიობას სოციალისტური სისტემის მთელ უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით, რომელიც განიცდის ღრმა ეკონომიურ კრიზისს და ძირფესვიანად ლპება.

სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში ჩვენ მიერ მიღწეულ გამარჯვებანი იწვევენ კლასობრივი მტრის გაფთრებულ წინააღმდეგობას, რომელიც განადგურებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ მოსპობილი. მე-17 პარტიული კონფერენციის მითითება კლასობრივად უცხო ელემენტების არა მარტო მუშათა კლასის წრეში, არამედ პარტიაშიც შეპარვის შესახებ თვითეული ბოლშევიკის წინაშე ამოცანად სახავს გააძლიეროს რევოლიუციური სიფხიზლე ყველა უბნებზე.

მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი სავსებით და მთლიანად იწონებს ცეკას და ც. ს. კომისიის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებას ეისმონტის, ტოლმაჩევის და ა. პ. სმირნოვის ანტიპარტიული დაჯგუფების შესახებ, პარტიის რიგებიდან ბურჟუაზიულად გადაგვარებული ელემენტების ეისმონტის და ტოლმაჩევის გამორიცხვის და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას შემადგენლობიდან ა. პ. სმირნოვის გამორიცხვის შესახებ.

პლენუმი სავსებით სწორად სთვლის გადაწყვეტილებას ამხ. რიკოვის, ტომსკის და შმიდტის შესახებ, რომელთაც, პარტიის გენერალური ხაზისა და ცეკას პრაქტიკული პოლიტიკისათვის აქტიური ბრძოლის ნაცვლად კავშირი ქონდათ სმირნოვთან და ეისმონტთან და რომელნიც საბაბს აძლევდენ ყველა ანტიპარტიულ ელემენტს ჰქონოდათ მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერების მხარის დაჭერის იმედი მთლიანად იწონებს რა ცეკას და ც. ს. კომისიის გადაწყვეტილებას მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერების — ამხ. ტომსკის, რიკოვის და შმიდტის გაფრთხილების შესახებ, პლენუმი აქტივთან ერთად მოითხოვს მათგან ნამდვილად ბოლშევიკურ აქტიურ ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზისა და ცეკას პრაქტიკულ პოლიტიკისათვის ყველა კონტრრევოლიუციურ დაჯგუფებათა და ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, ბრძოლას მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, თვალთმაქცების და შემარიგებელთა წინააღმდეგ. პლენუმი აქტივთან ერთად, სთვლის, რომ მემარჯვენე ოპოზიციის რომელიმე ყოფილი ლიდერის სულ მცირე მერყეობამაც კი, შემდეგში უნდა გამოიწვიოს პარტიული სასჯელის მკაცრი ზომების დაუყოვნებლივ მიღება.

მთლიანად იწონებს რა ცეკას და ც. ს. კომისიის გადაწყვეტილებას პარტიის წმენდის ჩატარების შესახებ პლენუმი აქტივთან ერთად ქალაქისა და სოფლის ყველა პარტიულ ორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ საჭიროა „მოეწყოს პარტიის წმენდის საქმე იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას რკინისებური პროლეტარული დისციპლინა პარტიაში და პარტიული რიგების გაწმენდა ყველა არასაიმედო მერყევი და მიტმასნილი ელემენტებისაგან“. დაუზოგავად გავუსწორდეთ თვალთმაქცებს, მემარჯვენეებს, და ტროცკისტებს, რომელნიც სიტყვით სოლიდარობას აცხადებენ პარტიის გენერალურ ხაზთან, ხოლო საქმით აწარმოებენ გამცემლურ კონტრრევოლიუციურ მუშაობას.

პარტიული საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების, თვითეული კომუნისტის, მუშის და კოლმეურნის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება საზოგადოებრივი საკუთრების დამტაცებლებთან. პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი გაძლიერება და რევოლიუციური კლასობრივი სიფხიზლის ამაღლება. „რევოლიუციური სიფხიზლე წარმოადგენს სწორედ იმ თვისებას, რომელიც ახლა განსაკუთრებით ესაჭიროება ბოლშევიკებს. პროლეტარიატის ძლიერი და მძლავრი დიქტატურა — აი რა გვესაჭიროება ჩვენ იმისათვის, რომ გავაცამტვეროთ მომაკვდავი კლასები და დავამსხვრიოთ მათი ქურდული მახინაციები“ (სტალინი).

პლენუმი აქტივთან ერთად გამოსთქვამს მტკიცე და ურყევ რწმენას, რომ მე-2 ხუთწლედის 1-ლი წლის გრანდიოზული ამოცანები ღირსეულად და რევოლიუციური სიმტკიცით მთლიანად იქნება განხორციელებული მუშათა და კოლმეურნეთა მილიონიანი მასების ნებისყოფით და ენერგიით. ყოველნაირად გავაძლიეროთ პოლიტიკური და ახსნა-განმარტებითი მუშაობა მუშათა და კოლმეურნეთა მასებში, მოვახდინოთ მათი აქტივობის მობილიზაცია ცეკას და ც. ს. კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებებით დასმული საბრძოლო ამოცანების გარშემო.

ლენინური ცეკას და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ყოველგვარ გადახრასთან პარტიის გენერალური ხაზიდან მემარჯვენე გადახრასთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, დაუზოგავ ბრძოლაში, მოსკოვის ბოლშევიკები მთელ პარტიასა და ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასთან ერთად, 1933 წელს ჩასწერენ ბოლშევიკურ გამარჯვებათა ახალ ფურცელს. პარტიის რიგების ბოლშევიკური შემჭიდროება ლენინური ცენტრალური კომიტეტის და ამხ. სტალინის გარშემო — ამ გამარჯვებათა საწინდარია. მოსკოვის ბოლშევიკების ორგანიზაცია იყო, არის და იქნება მონოლიტური დასაყრდენი პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტისა ამხ. სტალინის მეთაურობით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის ბრძოლაში.

მოსკოვის ყველა ბოლშევიკების სახელით ჩვენ ვამბობთ:

გაუმარჯოს ჩვენს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებელს და ხელმძღვანელს, ჩვენს ბელადს ამხ. სტალინს!

მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის საქალ. კომიტეტის, მოსკოვის საკონტ. კომისიის და მოსკოვის საქალ. საკონტრ. კომისიის პლენუმის მისალმება ამხ. სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის საკონტროლო კომისიის, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის და მოსკოვის საქალ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე აქტივთან ერთად აჯამებს პირველი ხუთწლედის წარმატებით დამთავრების და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის გაერთიანებული პლენუმის შედეგებს, ცხოველ ამხანაგურ სალამს გიგზავნის შენ — ჩვენს საყვარელ ბოლშევიკურ ბელადს.

შენი უშუალო ხელმძღვანელობას ხუთწლედისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა ჩვენს მიერ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფრონტზე მიღწეულ ისტორიულ, საერთაშორისო მნიშვნელობის გამარჯვებისათვის.

ხუთწლედის ძირითადი მიმართულებანი ნათლად იყო გათვალისწინებული, დამუშავებული და დასახული შენს მიერ. ხუთწლიანი გეგმა წარმატებით განახორციელა პარტიამ, მუშათა კლასმა და საბჭოთა კავშირის მიერ მოცემულ პოლიტიკურ ლოზუნგების გარკვეულობისა და სისწორის მეოხებით. პირველი ხუთწლედის გამარჯვება ცხადად ადასტურებს იმ თეორიულ, პოლიტიკური და პრაქტიკული ბრძოლის სისწორეს და ლენინურ ხასიათს, რომელსაც აწარმოებდი შენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის, ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციისათვის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის, ტროცკისტების წინააღმდეგ, მემარჯვენე ოპორტუნისტების და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ.

ლენინური გამჭრიახობით, პირდაპირობით და სიღრმით გამოააშკარავე სოფლად ჩვენი მუშაობის დეფექტები და დასახე ჩვენი ამოცანები მეორე ხუთწლედისათვის.

მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს შენ მიერ მოსკოვის ორგანიზაციისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და შედეგებს; ხუთწლედის დასაწყისში მემარჯვენე უკლონისტები ცდილობენ მოსკ.-ვის ორგანიზაცია მოებრუნებიათ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხაზის წინააღმდეგ. შენი უშუალო დახმარებით მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ დაამარცხა და თავისი რიგებიდან განდევნა მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტები, გამოაშკარავა და გამოასწორა „მომემარცხენო“ გადამხვევლთა შეცდომები და ჩადგა ხუთწლედისა და თავისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

მოსკოვის ორგანიზაცია რაზმავს ყველა თავის ძალებს და მოსკოვის პროლეტარების და კოლმეურნეების ბოლშევიკურ ნებისყოფას და რევოლიუციონურ ენერგიას ცენტრალური კომიტეტის ყველა დადგენილებათა და განსაკუთრებით იმ მითითებათა განსახორციელებლად, რომლებიც მოცემულია შენს საპროგრამო სიტყვაში „სოფლად მუშაობის შესახებ“.

შენი უშუალო ხელმძღვანელობით ჩვენ წარმატებით განვახორციელებთ მეორე ხუთწლედის ამოცანებს და დავამთავრებთ სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს დიადი გამობრძმედილი ლენინური პარტიის და მილიონიანი მასების საყვარელ ბელადს ჩვენს სტალინს!

ლენინგრადის პარტაქტივის მისალმება ამხ. სტალინს

ძვირფასო ამხ. სტალინ!

ლენინგრადის პარტაქტივი, რომელიც შეიკრიბა ორი ხუთწლედის მიჯნაზე ცეკას და საკ. კ.პ. (ბ) ც. ს. კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახილველად, გიგზავნის შენ, საუკეთესო ლენინელს, თავის ბოლშევიკურ ამხანაგურ სალამს. შენი მტკიცე ხელმძღვანელობის, შენი დაუღალავი რევოლიუციური სიფხიზლის და ოპორტუნიზმისადმი დაუზოგავი შეურიგებლობის მეოხებით პარტიამ და მუშათა კლასმა მიაღწიეს უდიდეს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს სოციალიზმის მშენებლობაში. თავისი მაგალითით და ხელმძღვანელობით შენ წვრთნი ჩვენს პარტიას, ზრდი ყველა ჩვენგანში თავდადებულ ერთგულებას კომუნიზმის საქმისადმი და საშინელ სიძულვილს ექსპლოატატორებისადმი, მშრომელთა მტრებისადმი.

პარტიამ გაანადგურა კლასობრივი მტერი და მისი ოპორტუნისტული აგენტურა, მოაწყო ხუთწლედის ოთხწელიწადში ძლევამოსილად დამთავრება, გამოიწვია და მთელ მსოფლიოს დაანახვა რა მუშათა კლასის დაუძლეველი შემოქმედებითი ენერგია და უნარი მოახდინოს სასწაულება, როცა რევოლიუციის სათავეში სდგას ისეთი პარტია, რომელმაც იცის, თუ საით მიყავს საქმე და რომელსაც არ ეშინია სიძნელეების. იანვრის პლენუმზე შენ მიერ გატარებული მითითებებით შენ შეაიარაღე პარტია და მუშათა კლასი ახალი ვითარების და სოციალისტური მშენებლობის ახალი დიადი ამოცანების ლენინური გაგებით. შენ მოუწოდე პარტიას რევოლიუციური სიფხიზლის გაძლიერებისაკენ. „რევოლიუციური სიფხიზლე წარმოადგენს სწორედ იმ თვისებას, რომელიც ახლა განსაკუთრებით ესაჭიროება ბოლშევიკებს“. ეს შენი მოწოდება აღვიძებს თვითეულ კომუნისტში, თვითეულ პროლეტარში ახალ რევოლიუციურ ენერგიას სასტიკ ბრძოლაში კლასობრივი მტრის საბოლოოდ მოსპობისათვის.

ლენინგრადის ბოლშევიკები — სახელოვანი ლენინური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი—შენში, ამხ. სტალინ, ხედავენ საყვარელ ბელადს და მასწავლებელს, რომლის სახელი აერთიანებს, ამჭიდროებს და რაზმავს ყველა ქვეყნის კომუნისტების მებრძოლ რიგებს კაპიტალიზმზე იერიშის მისატანად და რწმენას უნერგავს ყველა დაჩაგრულებს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის აუცილებელ მომავალ გამარჯვებაში.

გაუმარჯოს დიად ლენინურ საკ. კ. პ. (ბ)-ს და მის ბელადს ამხ. სტალინს.

ამიერ-კავკასიის სამრეწველო საწარმოთა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის პარტკომის მიმართვა

ჩვენმა პარტიამ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის საყვარელი ბელადის და მასწავლებლის ამხ. სტალინის მეთაურობით მიუხედავად კლასობრივი მტრის და ყველა მისი მოკავშირეების გააფთრებული წინააღმდეგობისა, პირველ ბოლშევიკურ ხუთწლედში სრულიად შესცვალა ჩვენი ქვეყნის სახე და იგი ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნიდან გადააქცია მოწინავე, ინდუსტრიალურ ქვეყნად.

პირველ ხუთწლედში — მრეწველობის პათოსის და გმირულ გამარჯვებათა ხუთწლედში — ამიერ-კავკასიის უძველესი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ, ქარხნის რომელიც სიამაყით ატარებს ამხ. სტალინის სახელს, მიაღწია დიდ წარმატებებს თავის მუშაობაში.

ჩვენმა ქარხანამ ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ოთხ წელიწადში.

1932 წლის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 336 ორთქლმავალის გამოშვებას, გადაჭარბებით შეასრულა ქარახნამ. შეკეთდა 348 ორთქლმავალი. ქარხნის შემხვედრი გეგმა მთლიანად შესრულდა.

ქარხანამ 1932 წლის აგვისტოდან თავისი საწარმოო პროგრამის, ზევით გამოუშვა 260.000 მანეთის ფართო მოხმარების საქონელი.

1931 წელს ხელმეორედ შესაკეთებლად ქარხანაში დაბრუნდა 8 ორთქლმავალი, 1932 წელს კი ხელმეორედ შესაკეთებლად ქარხნის მიზეზით, დაბრუნდა მხოლოდ 1 ორთქლმავალი.

1932 წლის 10 თვის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 20,3 პროცენტით, ხელფასი კი—10,3 პროცენტით, ამ წარმატებებს ჩვენ მივაღწიეთ შეუპოვარი ბოლშევიკური ბრძოლით ამხ. სტალინის ექვსი მითითების განსახორციელებლად.

ამ წარმატებებს მივაღწიეთ იმით, რომ გავანადგურეთ კონტრ - რევოლიუციური ტროცკიზმი, შეურიგებლად ვიბრძოდით პარტიის გენერალური ხაზისათვის, შეურიგებლად ვებრძოდით მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებს და გადახრებს ლენინური ნაციონალური პოლიტიკიდან.

ეს გამარჯვებანი შედეგია იმ ბრძოლისა, რომელსაც ვაწარმოებდით სოციალისტური შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და სამუშაო დღის გაცდენათა, წამგლეჯთა, მოხეტიალეთა და სხვის ხარჯზე ცხოვრების მსურველთა წინააღმდეგ.

1930 წელს და 1931 წლის პირველ ნახევარში ქარხანას ჰქონდა დიდი გარღვევა. ჩვენთან გამეფებული იყო გათანაბრება, გაუპიროვნება, მუშა-ხელის მოუწესრიგებლად შეგროვება, სათანადოთ არ ზრუნავდენ მუშათა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობებზე, შესაფერი ყურადღება ვერ გამოვიჩინეთ ინჟინერთა ძველი კადრებისადმი და ჯერ კიდევ ვერ აღვზარდეთ ინჟინერები მუშათა კლასის წრიდან.

1932 წელს გათანაბრება ძირითადათ მოვსპეთ. სამუშაოთა თანრიგი შეეფერება მუშაკთა თანრიგს. ჩატარდა დაზგების სრული პასპორტიზაცია. ჩვენს რიგებს ავსებენ მუშები ინდივიდუალური და ბრიგადული შეგირდობიდან და ქარხანასთან არსებულ შეგირდობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლიდან. განყოფილებათა და საამქროთა 150 მეთაურიდან 108 კაცი გამოსულია მუშათა კლასის რიგებიდან. შექმნილია საკუთარი სასურსათო ბაზა, განმტკიცებულია კოოპერაცია, გახსნილია ახალი სასადილოები. 1930 წელს საშუალო თვიური ხელფასი უდრიდა 184 მანეთს, 1931 წელს კი გაიზარდა 218 მანეთამდე.

მაგრამ ეს მიღწევები ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს.

ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი მუშაობა უნდა აიყვანოს ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მთელი პარტიული ორგანიზაციის სანიმუშო მუშაობა, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქარხანა არის თბილისის უდიდესი საწარმოო, რომ ამხ. სტალინის სახელი, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, გვავალებს ვიმუშაოთ სტალინურად.

ჩვენ ამოცანადა ვისახავთ:

პარტიული მუშაობის შემდგომი გარდაქმნის ბაზაზე გავაძლიეროთ სარემონტო ქარხნის, როგორც ამიერ-კავკასიის ერთ-ერთი პროლეტარული კერის, პოლიტიკური ხელმძღვანელი ხელი.

დავეხმაროთ სოფლის პარტორგანიზაციებს ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ კლასობრივი მტრის წინააღმდეგ და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

დავეხმაროთ სანიმუშო მუშაობით ამ.-კავკასიის რკინის გზას დაალწიოს თავი გარღვევას.

სანიმუშოდ დავაყენოთ შეფობა საბჭოთა აპარატზე, მოვაწყოთ სოციალისტური შეთავსება, დავეხმაროთ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს გამფლანგველებთან, ბიუროკრატებთან, საქმის გამჭიანურებლებთან და უგულგულო ჩინოვნიკებთან ბრძოლაში.

მთავარია:

1. შემოვიღოთ სისტემა ხელმძღვანელობაში, ბოლომდე შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი, ენერგიულად ვიბრძოლოთ იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებსაც აყენებს ჩვენს წინაშე პარტია.

2. მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ კომუნისტს ექნეს კლასობრივი ბრძოლის უნარი, იყოს მასების ავანგარდი, მათი ბელადი და ხელმძღვანელი.

3. მივაღწიოთ იმას, რომ ქარხანაში მუდმივად სწარმოებდეს თვითეული მუშის საბრძოლო მუშაობა.

ჩვენს წინაშე მდგარ ყველა საბრძოლო ამოცანებს შევასრულებთ ყოველდღიურ ვის ორგანიზაციისა და აღზრდისათვის. მუშაობაში, რომელსაც ვაწარმოებთ აქტივის ორგანიზაციისა და აღზრდისათვის.

ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ:

1. დავრაზმოთ პარტიული აქტივის ფართო ფენები ჩვენს წინაშე მდგარ საწარმოო ამოცანების გადასაჭრელად.

2. ჩავაბათ თვითეული კომუნისტი მარქსისტულ - ლენინურ სწავლებაში და განუწყვეტლივ ამაღლოთ პარტორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონე.

6 გავაუქმოთ პარტდატვირთვის სისტემა იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობდა დღემდე, როცა პარტდატვირთვა მთელ რიგ შემთხვევებში წარმოადგენდა პარტმოვალეობის განაწილებას.

მთელი მუშაობა კომუნისტების ჩასაბმელად აქტიურ პარტიულ მუშაობაში ვაწარმოოთ მათ ინტერესებთან, მოთხოვნილებებთან და უნართან შეფარდებით.

4. მუშათა მომარაგების ურთულესი ამოცანების გადასაჭრელად შევქმნათ ფართო პარტიული აქტივი მუშათა კოოპერაციის გარშემო.

5. ჩავებათ დიად ლაშქრობაში სოფლად, დავეხმაროთ პარტიის პოლიტიკური მუშაობის სისუსტის ლიკვიდაციაში, შევქმნათ აქტივი ჩვენი საზოგადოებათა გარშემო, რომელთაც აღებული აქვთ შეფობა სოფელზე.

6. შევქმნათ აქტივის ფართო ფენა საბჭოთა აპარატზე შეფობის განსამტკიცებლად და სოცშეთავსების მოსაგვარებლად.

7. შევქმნათ კომკავშირის გარშემო ფართო აქტივი იმ ადამიანებთან, რომლეთაც უყვართ კომკავშირული მუშაობა.

8. შევქმნათ უპარტიო აქტივის ფართო ფენა პროფკავშირის გარშემო. გვახსოვდეს, რომ მთავარ გამძღოლ ფიგურას ჩვენს საწარმოში წარმოადგენს დამკვრელი და რომ პროფკავშირების მთავარი ამოცანაა ზრუნვა დამკვრელის შესახებ.

9. შევქმნათ პარტიელთა და უპარტიოთა აქტივი კლუბის გარშემო იმ მიზნით,

(გაგრძელება. იხ. მე-2 გვ.)

თათბირი საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტში საწარმოებში პარტმუშაობის შესახებ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ—ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲛᲞ. (Ბ) ᲪᲔᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ Ც. Ს. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივნის ამხ. მეერზონის სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის თათბირზე საწარმოებში პარტიული მუშაობის საკითხების შესახებ

„ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲛᲐ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲘᲐ, ᲗᲣ ᲛᲐᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲡᲐᲘᲗ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲠ ᲔᲨᲘᲜᲘᲐ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲘᲡ“.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

ამხანაგებო, ამ თათბირზე დასმულია საკითხი პარტიული მუშაობის შესახებ საწარმოებში, პირველყოვლისა, მკაფიოდ უნდა გამოვარკვიოთ, თუ როგორი უნდა იქნეს მიდგომა ამ საკითხისადმი, თუ რა თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ იგი. ხომ შეიძლება პარტმუშაობის საკითხები დავიყვანოთ ათას ცალკე წვრილმან საქმემდე და დეტალამდე, ხომ შეიძლება ჩავძიროთ, ჩავეფლოთ ამ წვრილმანებში და მათ გადაღმა ვერ დავინახოთ ძირითადი მთავარი, ხეებს იქით ვერ შევამჩნიოთ ტყის ტევრი. ასეთი მიდგომა იქნებოდა არა სწორი, ორგანიზაციულ - ტეხნიკური ჩხირკედელაობა. ეს იქნებოდა ჩინოვნიკის და არა პოლიტიკურ მუშაკის თვალსაზრისი. ჩვენ უკუვაგდებთ ასეთ მიდგომას. პარტმუშაობის საკითხებს ჩვენ ვეხებით პოლიტიკური საზომით. ჩვენც ვარჩევთ და ვიხილავთ გულმოდგინეთ ყველა დეტალებსა და წვრილმანებს, პრაქტიკის ყველა კონკრეტულ საკითხებს, მაგრამ ყოველივე ამას ჩვენ ვუკავშირებთ მშენებლობის ძირეულ საკითხებს, იმ ძირითად სამეურნეო პოლიტიკურ ამოცანებს, რომლებიც წარმოადგენენ მთელი ჩვენი მუშაობის არსებით მხარეს. ჩვენ არ ვეფლობით დეტალებში, პირიქით ყველა ცალკე დეტალები ჩვენ აგვყავს, ძირითად პოლიტიკური ამოცანის სიმაღლემდე. აი ასეთია პარტიული მუშაობის საკითხების ბოლშევიკური დაყენება.

ამ თვალსაზრისით დღევანდელი თათბირის ძირითადი ამოცანაა — **ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲓ.** ჩვენ უნდა წავიდეთ, თათბირიდან, იმის მტკიცე ცოდნით, თუ რა გზით ავამაღლოთ პარტიული მუშაობა იმ საფეხურზე, რომელსაც მოითხოვენ მეორე ხუთწლედის პირველი წლის დიადი ამოცანები.

1933 წლის ამოცანები მთელი თავისი სიმწვავით დაისვა საკ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის ისტორიულ პლენუმზე, პირველყოვლისა ეს არის ახალი საწარმოების ათვისების და შრომის ნაყოფიერების გადამწყვეტი გადიდების ამოცანები, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციული და სამეურნეო პოლიტიკური განმტკიცების ამოცანები, რომ ისინი გახდენ ბოლშევიკური, ეს არის ახალ ტაქტიკაზე, მავნებლური მუშაობის ყველა ხვრელებში ფარული გაძრომის ტაქტიკაზე გადასულ კლასობრივი მტრების ნაშთების განადგურების ამოცანები.

ჩვენში — ამიერ-კავკასიაში ყველა ეს ამოცანები სდგას განსაკუთრებული სიმწვავით. უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიის სოციალისტურ მშენებლობაში ჩვენ მივაღწიეთ უდიდეს წარმატებებს, ამიერ-კავკასიის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობისა გარდაქმნა მეტად დაქუცმაცებულ და ჩამორჩენილ მეურნეობიდან მსხვილ მაღალსაქონლიან სოციალისტურ მეურნეობად, კულაკობის განადგურება, კულაკობის, რომელსაც ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული ჩამორჩენილ ნაციონალურ სოფელში, — ყველაფერი ეს ისტორიული მნიშვნელობის უდავო მიღწევებია. ამ უდიდესმა მიღწევებმა არ უნდა დამალონ ჩვენი ნაკლოვანებანი: პირიქით, მიღწევები ჩვენ გვაძლევს ძალასა და შესაძლებლობას მთელი სიმწვავით, მთელი გაბედულებით და გადაჭრით დავაყენოთ საკითხი ამ ნაკლოვანებათა შესახებ, ამიტომ ჩვენ უნდა ხაზი გაუსვათ, რომ ნავთის დარგში ხუთწლედის 2 ნახ. წელიწადში შესრულების შემდეგ უკანასკნელ წელს ჩვენ გვქონდა გეგმების არა მთლიანად შესრულება, რომ 1933 წელს ჩვენ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ლიკვიდაცია უნდა ვუყოთ გარღვევას. ჩვენ ხაზი უნდა გაუსვათ, რომ კოლმეურნეობები ჩვენში ყველგან როდი არიან ბოლშევიკური. სამხარეო კომიტეტის მიერ რაიონებში მივლინებულმა რწმუნებულებმა გამოამჟღავნეს მთელი რიგი კოლმეურნეობები, რომლებიც მოწყობილი იყვნენ ნათესაური ნიშნის მიხედვით, სადაც, ცხადია, კულაკი ბრძანებლობდა და საქმეს აჭახრაკებდა. რწმუნებულებმა გამოამჟღავნეს კოლმეურნეობების დანაგვიანება მთელ რიგ რაიონებში. ამიტომაც საჭიროა მთელი სიმწვავით დავაყენოთ საკითხი სოფლად მუშაობის შესახებ, პროლეტარული ხელმძღვანელობის სოფლად გაძლიერების შესახებ.

ამ რიგად ც.კ. პლენუმის მიერ დაყენებული საკითხები აქ—ამიერ-კავკასიაში უნდა დავსვათ მთელი სიმწვავით და სიძლიერით.

როგორ გადავჭრათ ეს საკითხები, რა ღონისძიებებით უნდა დავსძლიოთ სიძნელეები და მივაღწიოთ 1933 წელს ყველა დასახულ გეგმებისა და დასმულ ამოცანების შესრულებას??

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲐᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ, ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲘᲝᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲜᲔᲑᲖᲔ.

ეს უზრუნველყოფს **ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ**, ამიერ - კავკასიის სოციალისტურ მშენებლობაში მათი აქტიური მონაწილეობის გაძლიერებას. ბაქოს როლი, თბილისის დიდ საწარმოების და ამ.-კავკასიის დანარჩენ პროლეტარულ კერების როლი ეხლაც გადამწყვეტ და წამყვანია მთელს ჩვენს მშენებლობაში. 1933 წელს ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ საწარმოების ეს პოლიტიკური როლი, მათი გავლენა უნდა შევიტანოთ ჩვენი მუშაობის ყველა დარგებში (ინდუსტრიალიზაცია, სოფელი, საბჭოთა აპარატი, პარტიის წმენდა და სხვ.).

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ 1933 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗ ᲐᲛᲘᲔᲠ - ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲘᲡ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘᲗ, — ყოველდღიური დახმარების და ხელმძღვანელობის გაძლიერების, მომზადებული კადრების გაგზავნის, შეფობის გაძლიერების ლოზუნგით და სხვ. მხოლოდ ამ პირობით ჩვენ უზრუნველვყოფთ ც. კ.-ის პლენუმის მიერ დასმულ დიად ამოცანის შესრულებას „იმის მიღწევას, რომ ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გახდენ ბოლშევიკური“.

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲖᲔ ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ. ჩვენ არ დავუშვებთ „მომემარცხენო“ ნახტომებს ჩვენს საბჭოთა აპარატზე და მის ხელაღებით გაბიაბრუებას. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ მოვითხოვთ პროლეტარულ რკინისებურ წესრიგს ჩვენი აპარატის თვითეული რგოლის მუშაობაში და გადაჭრით შევებრძოლებით დაუდევრობის ყოველგვარ გამოვლინებას. დაუსჯელობისა და უპასუხისმგებლობის ყოველგვარ შემთხვევას. განა შეიძლება ოდნავ მოვითმინოთ მაგალითად ასეთი „მუშაობა“, როცა დამზადებათა გეგმები ცალკე შემთხვევებში მხოლოდ ორი თვით დაყავდათ სოფლამდე და როცა ზოგიერთ რაიონებში ეს დაუსჯელი რჩებოდა, ჩვენ დაუნდობლად გავუსწორდებით ასეთ მავნებლობას, ვაგრძნობინებთ ასეთ „მუშაკებს“ პროლეტარული დიქტატურის რკინის მუშტს და მივაღწევთ პროლეტარულ დისციპლინიანობას ჩვენი აპარატების მუშაობაში.

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲜᲘᲚᲐᲑ ᲐᲤᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲙᲣᲚᲐᲙᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲓᲔᲑᲗᲐᲜ. არავითარ სირბილეს და დამშვიდებას ადგილი არ უნდა ექნეს კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლიუციონური სიფხიზლე წარმოადგენს სწორედ იმ თვისებას, რომელიც ამჟამად განსაკუთრებით ესაჭიროება ბოლშევიკებს. მხოლოდ დაუნდობელი ბრძოლის გზით კლასობრივ მტრებთან შევასრულებთ ჩვენ ამოცანებს. გამოვამჟღავნოთ და ვამხილოთ კლასობრივი მტერი, სადაც არ უნდა იყოს იგი შემძვრალი, თუნდაც მტრები და კულაკები პარტბილეთით ჯიბეში. **ᲬᲧᲕᲔᲢ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲘᲛ ᲬᲕᲠᲘᲚ-ᲑᲣᲠ- ᲬᲧᲕᲔᲢ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲘᲛ ᲬᲕᲠᲘᲚ-ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ ᲡᲢᲘᲥᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲜᲝᲧᲘᲔᲠ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲡ ᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.**

დაუნდობლად უნდა ალკვეთოთ წვრილბურჟუაზიულ სტიქიის გავლენა ჩვენს საკუთარ რიგებში, გამოვამჟღავნოთ და გავაძევოთ ჩვენი რიგებიდან პარტბილეთიანი მეშჩანები და „ობივატელები“.

თქვენ ყურადღებას მივაქცევ მაგალითად საგზაო ინჟინერთა ამიერ-კავკასიის ინსტიტუტზე სამხარეო კომიტეტის რეზოლიუცია საკმაოდ ნათლად ამჟღავნებს მდგომარეობას ამ ინსტიტუტში: სალი საზოგადოებრივი ცხოვრების უქონლობას, უპრინციპო კინკლაობას და შუღლს, სასწავლო მუშაობის ჩაშლა, საუკეთესო სპეციალისტების დევნა, ყოველივე ამასთან განსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რომ ინსტიტუტთან არსებობს მრავალრიცხოვანი პარტუჯრედი მთელ რიგ აქტიურ პარტიულ მუშაკებით, მიუხედავად ამისა, გახრწნისა და უმსგავსოების ფაქტები მაინც მიჩქმალული იყვნენ, ბრძოლა ინსტიტუტის გაჯანსაღებისათვის არ წარმოებულა რატომ? იმიტომ, რომ გაბატონებული იყო „ობივატელური“ თვალსაზრისი — „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, გაბატონებული იყო ჩაურევლობის ობივატელური პრაქტიკა. სამხარეო კომიტეტმა დასვა საკითხი ასეთ ობივატელობასთან გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ.

საკ. კ.პ. (ბ) სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის გზათა საინჟინერო ინსტიტუტის პარტორგანიზაციაში მყოფი მთელი რიგი აქტიური პარტიული მუშაკები ჩქმალავდენ გახრწნის ყველა ამ ფაქტებს და მოვლენებს. ა.-კ. სამხარეო კომიტეტი გმობს ინსტიტუტის მდგომარეობაში აღნიშნული ამხანაგების ჩაურევლობის პრაქტიკას. როგორც სრულიად არა ბოლშევიკურ, დამპალ ლიბერალურ პრაქტიკას და ინსტიტუტის გაჯანსაღებისათვის ბრძოლის გაოჩალებლობას. საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი ადგენს: „ჩატარდეს ინსტიტუტის, საკ. კ.პ. (ბ) მთელი უჯრედის რიგ გარეშე **ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲠᲬᲜᲘᲡ, ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲛᲐᲠᲘᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲠᲬᲜᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ“.**

მე ეს მაგალითი მომყავს იმისათვის, რომ დავანახოთ, თუ როგორი ბოლშევიკური სისასტიკით და შეურიგებლობით შევებრძოლებით ჩვენ წვრილბურჟუაზიული თავაშვებულების ყოველგვარ ამოვლინებას. ასეთივე სისასტიკით შევებრძოლებით ჩვენ, ოჯახურ ნათესაურ მიდგომის გამოყენებას, ბოლშევიკური მუშაობის მოუნდომებლობას და სხვ. ერთი სიტყვით მეშჩანური ჭაობის ყოველგვარ გამოვლინებას.

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲨᲘᲓᲐᲪ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲓᲠᲔᲙᲔᲚᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲣᲠᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲮᲐᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ, ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲠᲘᲔᲑᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲝᲞᲝᲠᲢᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ „ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔ“ ᲒᲐᲛᲠᲣᲓᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲨᲔᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲝᲕᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲒᲐᲓᲐᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲒᲐᲕᲐᲫᲔᲕᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ, ᲝᲠᲒᲣᲚᲔᲑᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲠᲧᲔᲕ ᲓᲐ ᲛᲘᲢᲛᲐᲡᲜᲘᲚ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ.

და აი ყველა ამ ძირეული ამოცანების თვალთახედვით ჩვენს წინაშე სავსებით ნათლად ისახებიან პარტმუშაობის ამოცანები ჩვენს საწარმოებში. საწარმოები უნდა გადაიქცენ სანიმუშო საწარმოებად ჩვენი მუშაობის ყველა უბნებში და ამ საფუძველზე კიდევ უფრო აამაღლონ თავიანთი პოლიტიკური როლი, გააძლიერონ აქტიური მონაწილეობა მათ წინაშე დასმულ უმნიშვნელოვანეს საკითხების გადაწყვეტაში.

დავსვათ კითხვა—რას ნიშნავს გახდეს სანიმუშო მუშაობაში? უნდა გავიგოთ, რომ ჩვენს საწარმოებში უმნიშვნელოვანესი პროცესი მიმდინარეობს — ეს არის მუშის ახალი ტიპის შექმნა, პირველ ხარისხოვანი ტეხნიკით აღჭურვილ და მშენებლობის პათოსით გამსჭვალულ, შენების სრული ენტუზიაზმით გამსჭვალულ მუშის შექმნა. მუშების ასეთი ტიპი სჭარბობს დღეს ჩვენს საწარმოებში. მაგრამ მათ გვერდით კიდევ შესამჩნევია ახალი მუშების, ჯერ კიდევ ნედლ და ნახევრად ნედლ მუშების ფენა, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადახარშულან პროლეტარულ სოციალისტურ ქვაბში. არიან ჩვენს საწარმოებში აგრეთვე ცალკეული უცხო და მტრული ელემენტები, და აი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მტრული ელემენტების მხილებით და გაძევებით, ჩამორჩენილების აღზრდით, მივაღწიოთ **ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲖᲔ**, მივაღწიოთ იმას, რომ მუშათა მთელი მასა გაუსწორდეს მოწინავე დამკვრელებს, რომ მუშათა მთელმა მასამ გაშალოს საბრძოლო მუშაობა, როგორც ამას მოითხოვს მეორე ხუთწლედის პირველი წელიწადი, რომ ამ ბოლშევიკურ ენტუზიაზმს შეუერთდეს ტეხნიკის, ჩვენი გიგანტების რთული ტეხნიკის ნამდვილი ცოდნა და დაუფლება, ასე შეიქმნება **ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲗᲝᲡᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ, ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ,** —აი სანიმუშო მუშაობის პირველი პირობა საწარმოებში. მუშათა მასების ავანგარდში უნდა მიაბიჯებდეს პარტორგანიზაცია. იცვლება მუშათა მასის სახე, უნდა შეიცვალოს ავანგარდის სახეც. პარტორგანიზაცია უნდა შესდგებოდეს უკანასკნელ წევრამდე პოლიტიკურათ შეგნებული და აქტიური ამხანაგებისაგან, იგი მთლიანად სათავეში უნდა უდგეს დამკვრელობას და სოციალისტურ შეჯიბრებას, ტეხნიკის დაუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლას. მხოლოდ ამ პირობით შესძლებს იგი ჩვენს დროში იაროს მუშათა მასების ავანგარდში.

და სწორედ ამაშია აზრი ლოზუნგებისა —„ჩავაბათ **ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘ** კომუნისტი პარტიულ მუშაობაში, „მივაღწიოთ **ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚ** კომუნისტის ავანგარდულ როლს წარმოებაში“.

ახალ სიმაღლეზე უნდა იქნას აყვანილი აგრეთვე **ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ** ჩვენს საწარმოებში. ტეხნიკურად სრულყოფილი გიგანტები მოწინავე მუშათა კლასით მოითხოვენ ისეთ ხელმძღვანელობას, რომელიც არ იქნება ბრმა და ბეცი, ერთი საქმიდან არ გადავა მეორე საქმეზე, არ იცხოვრებს მხოლოდ მიმდინარე დღით, საჭიროა ისეთი ხელმძღვანელობა, რომელიც **ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ** სიძნელეებს და **ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ** ძლევს მათ. რომელიც **ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ** და ყველა მის ტეხნოლოგიურ პროცესებს სავსებით და მთლიანად.

აი ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა წავუყენოთ სანიმუშო საწარმოს, საჭიროა **ᲛᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲣᲜᲐᲠᲘ, ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲠᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲝᲑᲐ, ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲨᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲜᲢᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐ.**

ამ პირობების შესრულებით საწარმოო აუცილებლად განახორციელებს 1933 წელს თავის საწარმოო ამოცანებს როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. ამ პირობების შესრულებით საწარმო შესძლებს „გააძლიეროს თავისი პოლიტიკური როლი და აქტიური მონაწილეობა სოციალისტური მშენებლობაში. ამ პირობების შესრულებით საწარმო კიდევ უფრო მეტად გადაიქცევა „პროლეტარიატის სიმაგრედ“ (ლენინი).

შეგვიძლია თუ არა ვსთქვათ, რომ ჩვენი საწარმონი ამიერ-კავკასიაში უკვე აკმაყოფილებენ ყველა ამ მოთხოვნებს? არა, არ შეგვიძლია. ჩვენ მივაღწიეთ დიდ წარმატებებს ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე. ზოგიერთი ჩვენი საწარმო, წარმატებით ასრულებს თავის საწარმოო დავალებებს. მაგალითად, კიროვის სარეწაო, პიატაკოვის სახელობის ქარხანა ბაქოში, სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანა თბილისში და სხვ. მაგრამ დაუშვებელი ყოყოჩობა იქნებოდა არ დაგვენახა უაღრესად სერიოზული დეფექტები ჩვენს მუშაობაში, დეფექტები, რომელთა შესახებ მთელი ბოლშევიკური პირდაპირობით და სიმკვეთრით უნდა დაისვას საკითხი. „თვითკრიტიკა გვჭირდება როგორც ჰაერი, როგორც წყალი“ (სტალინი). და ის, ვისაც არ ესმის რომ დღევანდელი თათბირის ძირითადი ამოცანაა გამოაშკარავოს თვითკრიტიკის იარაღით ჩვენი დეფექტები გაერკვეს ამ დეფექტებში და ანალიზი გაუკეთოს მათ, დასახოს კონკრეტული გზები მათ აღმოსაფხვრელად და მიაღწიოს იმას, რომ ჩვენი საწარმონი გადაიქცენ სანიმუშო საწარმოებად,—ვისაც ეს არ ესმის ის ბრმა ობივატელია, რომელსაც ახასიათებს ვიწრო ადგილობრივი პატრიოტიზმი და დიდი წარმოდგენა თავის თავზე.

ხოლო ჩვენი მუშაობის დეფექტები დღევანდელ თათბირზე აშკარად გამოირკვა და ისინი პირდაპირ თვალში გვეცემათ. მაგალითად ჩვენ გავიგეთ, რომ ლენინის რაიონის საექსპლოატაციო სამქროში (ბაქო) არ სწარმოებს შეჯიბრების აღრიცხვა. ჩვენ გავიგეთ, რომ სარემონტო ქარხანაში კომუნისტების ერთი მესამედი არ იხდის საწევრო გადასახადს, ხოლო ჭიათურაში კომუნისტების ცხრა მეათედი არ ღებულობს მონაწილეობას ტეხნიკის დაუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ მოუწესრიგებელი [illegible] ექვსი პირობის რეალიზაციის ლენინის რაიონის საექსპლოატაციო სამქროში (ბაქო) და ჭიათურაში.

ან ავიღოთ ხელმძღვანელობის საკითხი. განა შეიძლება დაგვაკმაყოფილოს მუშაობის ისეთმა დაყენებამ, როცა სარემონტო ქარხნის პარტკომი იძულებულია იმუშაოს მუშათა მომარაგების ყველა საკითხზე უმნიშვნელო წვრილმანზედაც კი და მაშასადამე იგი არსებითად გადაიქცეს მუშათა დახურული კოოპერატივის გამგეობად? სად არის შრომის განაწილება, სად არის სისტემის ხელმძღვანელობის სხვადასხვა ორგანოების სწორი ურთიერთობა და ფუნქციათა განსაზღვრა?

მოყვანილი ფაქტები საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ თუ რამდენად ღრმა და სერიოზულია ჩვენი მუშაობის დეფექტები. საჭიროა კვლავ გავიმეოროთ, რომ სასაცილო და უაზრობაა, რომ პოლიტიკურად არ არის სწორი უდიდესი ისტორიული მიღწევების უარყოფა და მიჩქმალვა. მაგრამ სიბეცე და ბოლშევიკებისათვის შეუფერებელი იქნებოდა ამ კოლოსალური მიღწევებთან ერთად არ დაგვენახა ჩვენი მუშაობის სერიოზული დეფექტები, „ყოყოჩობა“ იქნებოდა არ გაგვემახვილებინა ყურადღება ამ დეფექტებზე, მათ აღმოსაფხვრელად და დასაძლევად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ თუ როგორ უნდა მივუდგეთ დეფექტებს, როგორ გავერკვეთ მათში, თათბირებზე კმაყოფილდებიან ყოველგვარ მიღწევებისა და დეფექტების უბრალო აღნიშვნით სინამდვილის ფოტოგრაფიით და არა მისი ანალიზით. აი დღევანდელ თათბირზე ყველა მოხსენებანი და თანამოხსენებანი გაკეთებული იქნა ერთი შაბლონის, ერთი ტრაფარეტის მიხედვით: 2—3 დადებითი მაგალითი, ორიოდე უარყოფითი და რამდენიმე საშუალო მაგალითი. და ყოველივე ეს მოგვაწოდეს აღწერის და ამბავის გადმოცემის წესით, ანალიზის გარეშე, ნამდვილად მწვავე და საჭირბოროტო პრობლემების წამოუყენებლად. გამოდის რაღაც „ელექტრიული დომხალი“ უაზროდ და უსაქმოდ ცურვა. როცა ვისმენდი მაგალითად, ამხანაგების ტრაფარეტულ მოხსენებას პარტორგების მუშაობის შესახებ რომ მათ ამდენი და იმდენი კარგი, ამდენი ცუდი და ამდენი საშუალო მაჩვენებლები აქვთ, პირდაპირ მინდოდა შეკითხვა მომხსენებლებისათვის: „ხომ არ გავს თქვენი ფორმალური მოხსენებანი, ძვირფასო ამხანაგებო, შემდეგ სიმღერას:

მაგრამ პარტორგები არიან სხვადასხვაგვარი.

არიან ლამაზები, არიან უშნოები,
არიან მეტად სიმპატიურნი... (სიცილი):

ასე არ შეიძლება მივუდგეთ საკითხებს. ჩვენ გვჭირდება არა დეფექტების ჩამოთვლა, არა, ჩვენ უნდა მივუდგეთ დეფექტებს ბოლშევიკური მარქსისტულ - ლენინური ანალიზის ნაცადი იარაღით, გულდასმით უნდა გავერკვეთ მათში და ამ საფუძველზე დავსახოთ გზები მათ აღმოსაფხვრელად.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲜᲔᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲤᲮᲕᲠᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ? ᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲫᲘᲝᲗ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ? ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲝᲗ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ? აი ის საკითხები რომლებზედაც დღეს უნდა მოგვცეს პასუხი სინამდვილის ბოლშევიკურმა ანალიზმა.

და აქ საჭიროდ მიმაჩნია მთელი სიძლიერით აღვნიშნო შემდეგი სამი მომენტი:

1) ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, ზოგჯერ ადგილი აქვს შემარიგებელ დამოკიდებულებას ჩამორჩენილობისადმი. აქა-იქ ცდილობენ იმუშაონ მე ვიტყოდი „ჩამორჩენილობასთან შეფარდებით“. აყენებენ საკითხს დაუდევრობის, თავაშვებულობის და უხერხემლობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის შესახებ და აქა-იქ ღებულობ ასეთ პასუხს: „საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ჩვენი პირობების თავისებურებანი, ჩამორჩენილობა ტრადიციები და სხვ. ამიტომ ჩვენთან საჭიროა უფრო ფრთხილი და რბილი მიდგომა“-ო. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ კონკრეტული პირობები არ უნდა დავუშვათ „მომემარცხენო“ გადახტომა ცოცხალ სინამდვილეზე. მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევეგუოთ ჩამორჩენილობას, არ უნდა გავუთანასწორდეთ მას. ჩამორჩენილობაზე „და ტრადიციებზე“ მითითება საკუთარი ფუქსავატობის და უბადრუკობის გასამართლებლად ბურჟუაზიული ოპორტუნისტული მიდგომაა. ასე პირდაპირ უნდა დაისვას საკითხი:

რით შეიძლება გამართლდეს, მაგალითად ის, რომ ჭიათურაში 137 გამცდენელიდან პასუხისგებაში მიცემულია მხოლოდ 7, ხოლო 10 კომუნისტ-გამცდენელიდან ერთიც არ არის მიცემული? რით შეიძლება გამართლდეს, მაგალითად ის, რომ დაუსჯელი რჩება ის აღმაშფოთებელი უმსგავსოებანი რასაც ადგილი ჰქონდა მუშათა მომარაგების მხრით პიატაკოვის სახელობის ქარხანაში (თვითდამზადების ჩაშლა 8 ვაგონი კარტოფილის გაფუჭება, სასურსათო ბაზის დაშლა და სხვ)? რით შეიძლება გამართლდეს, მაგალითად ის, რომ ა-კ. რკინის გზაზე; მიუხედავად მისი მრავალრიცხოვანი პარტორგანიზაციისა (12 ათასი წევრი), შრომის დისციპლინა მათ შორის მთელი რიგი კომუნისტების, დაუშვებლად დაბალ დონეზე სდგას?

ან ავიღოთ საწევრო შესატანის საკითხი. როდემდე უნდა მოვითმინოთ გულდამშვიდებით ისეთი მდგომარეობა როცა ამიერკავკასიის ცალკე ორგანიზაციების შემადგენლობის ერთი მესამედიდან ნახევრამდე, მოწინავე ბაქოშიც კი. არ იხდის საწევრო შესატანს? როდემდე უნდა ავხსნათ ეს „თავისებური პირობებით“ და „ტრადიციებით“?

არა აქ საქმე მდგომარეობს არა „პირობებსა და ტრადიციებში“ **ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ [illegible] „ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ“.** დროა გავაცამტვეროთ ეს შემარიგებლობა. სადაც არ უნდა იყოს ის დროა გაბედულად გამოვააშკარავოთ ბევრი „ტრადიციის“ სიდამპლე და სიყალბე, დროა ბოლშევიკურად დავსვათ საკითხი. გაიხსენეთ ამხ. სტალინის გენიალური სიტყვები:

„ძველი მოღვაწენი ქვეყნის ჩამორჩენილობას უყურებდენ, როგორც მის დადებით ნიშანს ხედავდენ რა მასში „ეროვნულ თავისებურებას“, „ეროვნულ სიამაყეს“, მაშინ როცა ახალი ადამიანები, საბჭოთა ადამიანები ებრძვიან მას, ჩამორჩენილობას როგორც ბოროტებას, რომელიც უნდა აღმოიფხვრას. ამაშია ჩვენი წარმატების საწინდარი“.

აი როგორ უნდა მივუდგეთ ლენინურად ჩამორჩენილობას, ამიტომ დაუზოგავი ცეცხლი უნდა გავაჩაღოთ ყოველგვარ წვრილ - ბურჟუაზიულ თავაშვებულობასა და დაუდევრობასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მათი „პირობებით და ტრადიციებით“ ახსნის ცდებს.

2. მეორე, რაც აფერხებს და ასუსტებს ჩვენს მუშაობას საწარმოებში — **ᲔᲡᲐᲐ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲠᲘᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲠᲢᲘᲝ ᲛᲣᲨᲘᲡᲐᲓᲛᲘ.** როგორ შეიძლება სხვა რაიმე ეწოდოს ისეთ შემთხვევებს, როცა, ვთქვათ, ჭიათურაში დასასვენებელ დღეებში მუშებს პური არ ეძლევა, წყლის და შეშის მიტანა მუშებისათვის. არ არის მოწყობილი, როცა მთელ რიგ საერთო საცხოვრებლებში ჭუჭყი, ანტისანიტარიაა, ხოლო პარტუჯრედები იქ არც კი შეიხედავენ? რით შეიძლება აიხსნას თუ არა ცალკე ცოცხალი ადამიანების არ ცოდნით, მაგ., ისეთი ფაქტი; რომ პიატაკოვის სახელობის ქარხანაში პარტკომისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ პარტორგანიზაციის ერთი მეოთხედი „გაქრა“ ერთი წლის განმავლობაში, და მან არ იცის, თუ სად და რატომ წავიდა ეს ხალხი. ან ავიღეთ კანდიდატებთან მუშაობა მოსმენილ საწარმოებში: მათ ნახევრამდე სრულიად არა აქვს დაკისრებული პარტიული მოვალეობანი ხოლო დანარჩენი ნახევრიდან საგრძნობი ნაწილი თავის ამარადაა მიტოვებული, არ ღებულობს საჭირო ინსტრუქციებს და ისიც, ბუნებრივია, სწყდება პარტორგანიზაციას.

რატომ ხდება ყოველივე ეს? იმიტომ, რომ მუშაობა ზოგჯერ მიმდინარეობს „საერთოდ და მთლიანად“ კამპანიები, სხდომები, რეზოლიუციები..., ხოლო ცოცხალი კონკრეტული ადამიანი, რომელიც სწყვეტს მთელ მუშაობას, იგი ზოგჯერ ბიუროკრატიულად ვარდება მხედველობის არედან, მას ჩრდილავს ბიუროკრატიული ფაციფუცი.

3. დაბოლოს, მესამე. **ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ** საკითხი. აქ მოყვანილი იყო იმის ბევრი მაგალითი, თუ როგორ ვმუშაობთ ჩვენ ნაწყვეტ-ნაწყვეტად. გადავდივართ ერთი ამოცანიდან მეორეზე, კამპანიიდან კამპანიაზე, მაგრამ ძალიან ცუდად ვამოწმებთ იმის შესრულებას, რასაც ვაკეთებთ, ცუდად ვინარჩუნებთ მიღწეულ წარმატებებს. მაგალითად, ვატარებთ პარტიულ დღეს, მაგრამ არ ვახორციელებთ კრებაზე შემოტანილ წინადადებებს. ვამაგრებთ სამქროს უჯრედებს, მაგრამ არ ვცდილობთ სისტემატიური ყოველდღიური ხელმძღვანელობა გავუწიოთ პარტჯგუფებს, რაც წარმოადგენს სამქრო-უჯრედების განმტკიცების უმნიშვნელოვანეს მიზანს. ვაყენებთ საკითხს ტეხნიკის დაუფლებისათვის ბრძოლის შესახებ, მაგრამ ვერ ვაწყობთ მუშაობას საინჟინერო-ტეხნიკურ კადრებს შორის, ურომლისოდაც, რასაკვირველია, შეუძლებელია წარმატებით ბრძოლა ტეხნიკის დაუფლებისათვის. ვატარებთ მასიურ მუშაობას მუშებს შორის, (გაზეთების კითხვა, პოლიტდღეები და სხვ.), მაგრამ გადაჭრით არ ვაყენებთ საკითხს უპარტიო აქტივთან მუშაობის—მასიური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი იარაღის შესახებ და სხვ.

აი, ამხანაგებო, ის მიზეზები, რომლებიც აფერხებენ და ამცირებენ ჩვენს მუშაობას ამიერ-კავკასიის საწარმოებში. ჩვენ ყველა ვმუშაობთ და ვიბრძვით თავდადებულად, ხშირად ვიბრძვით გმირულად, დიდ შედეგებს მივაღწიეთ მუშაობაში, მაგრამ მთელი რიგი მიზეზები ამცირებენ ჩვენი მუშაობის ეფექტიურობას და მივყევართ ღრმა და სერიოზულ დეფექტებამდე.

საჭიროა გადაჭრით და სასწრაფოდ აღმოფხვრათ ყველა ეს მიზეზები.

ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲒᲐᲕᲛᲡᲭᲕᲐᲚᲝᲗ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲡᲣᲚᲘᲗ. ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲓᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔᲝᲠᲔ—ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲛᲝᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ. როგორ შეიძლება ამის მიღწევა? აქ მთელი სიმრძე-სიგანით უნდა დავსვათ საკითხი **ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ** შესახებ. სწორედ აქტივი უნდა გადაიქცეს პარტიული და უპარტიო მუშათა მთელი მასის მუშაობაში ჩაბმის იარაღად. როცა არა მარტო ვიწრო აპარატი, არამედ მთელი ფართო აქტივი მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს, მაშინ არ იქნება ადგილი ცალკე ადამიანისადმი ბიუროკრატიულად მიდგომის შემთხვევებს.

აქტივის საკითხი განსაკუთრებით გაამახვილა და ხაზგასმით აღნიშნა ამხ. კაგანოვიჩმა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტმუშაობის გარდაქმნისათვის. ამხ. კაგანოვიჩის მითითებათა საფუძველზე, საგრძნობლად გაუმჯობესდა საწარმოებში აქტივის ორგანიზაციის საქმე. მაგრამ აქტივთან მუშაობის ეხლანდელი დონე ჩვენ სრულიადაც ვერ დაგვაკმაყოფილებს, განსაკუთრებით მე-2 ხუთწლედის პირველი წლის ამოცანების თვალსაზრისით.

და მართლაც, ავიღოთ ჩვენი აქტივისტი-პარტიელები. მათი მოვალეობანი (დატვირთვა) ზოგჯერ იცვლება. იცვლება ყოველთვის 2—3 თვის შემდეგ. ამხანაგი დღეს არის აქტივისტი კოოპერატიული ხაზით. ხვალ— პროფკავშირის ხაზით. შემდეგ იგი ხდება ჯგუფორგად და სხვ. ნამდვილი [illegible]! განა შესაძლებელია ამ პირობებში თავისი საქმის ნამდვილად ცოდნა და აქტიური მონაწილეობა მუშაობაში განსაზღვრულ კონკრეტულ უბანზე?

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. **ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ, ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ,** საჭიროა შესაფერისად იქნას დაყენებული მათი გადამზადების საქმე, საჭიროა მათთვის სათანადო ლიტერატურის მიწოდება, საინსტრუქციო თათბირების პერიოდულად მოწვევა და სხვ.

მაშინ მუშაობის ყოველ დარგის გარშემო (წარმოება, მომარაგება, კულტურა, პროფკავშირები, კომკავშირი და სხვ.) შემჭიდროვდებიან აქტივის გამოცდილი კადრები, რომლებიც სწრაფად დაგვეხმარებიან ახლოს მივუდგეთ თვითეულ ცალკეულ მუშას და რომლებიც ჩქარა უზრუნველყოფენ მთელი მუშაობის აყვანას ახალ უდიდეს სიმაღლეზე.

მესამე საჭიროა ბოლო მოვუღოთ ჩვენი მუშაობის დაქუცმაცებას პარტიული მუშაობის გარდაქმნის საქმეში და მივსცეთ მას ვაცილებით უფრო მეტი სისტემატიური და გეგმიანი ხასიათი. ყოველივე ღონისძიების მიყვანა ბოლომდე და შესრულების ნამდვილი და მტკიცე შემოწმების გადაქცევა მთელი პარტმუშაობის ქვაკუთხედად—აი რა უნდა დაედვას საფუძვლად მუშაობის დაყენებას. ასეთია ამხანაგებო ის კონკრეტული გზები, რომლითაც უნდა წავიდეს პარტმუშაობის შემდგომი გარდაქმნა ამიერ-კავკასიის საწარმოებში იმ ანგარიშით, რომ ისინი გადაიქცენ სანიმუშო საწარმოებად და კიდევ უფრო გააძლიერონ თავისი პოლიტიკური როლი მთელს სოციალისტურ მშენებლობაში.

და ჩვენ მივმართავთ მოწოდებით ამხანაგებს, პირველ რიგში ბაქოელ ამხანაგებს. ჩვენ ყველა ვამაყობთ ბაქოს სახელით და გმირულ მოწინავე პროლეტარიატით. მაშ გვიჩვენეთ 1933 წლის დაწყების დღიდანვე მუშაობის მოწესრიგებული და საბრძოლო გარდაქმნის მაგალითი ცეკას პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ჩვენ მივმართავთ თბილისის მუშებს მოწოდებით გაამართლონ ის ვალდებულებანი, რომლებიც, სარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციის სახით, იკისრეს მათ თავიანთი მიმართვაში პარტმუშაობის გარდაქმნის მხრივ.

ჩვენ მოვუწოდებთ ამიერ-კავკასიის ყველა საწარმოებს მოაწყონ შეჯიბრება თავიანთი მუშაობის დონის გაუმჯობესებისა და ამაღლებისათვის.

ვაწარმოოთ ეს მუშაობა დარაზმულად, ბოლშევიკური აღფრთოვანებით და ენტუზიაზმით.

„ჩვენ გვჭირდება არა ისტორიული აღტკინება.

ჩვენთვის საჭიროა პროლეტარიატის რკინისებური ბატალიონების თანაბარი ნაბიჯი“ (ლენინი).

აი ამ მტკიცე ნაბიჯით წინ, საბრძოლო მუშაობისათვის (ხანგრძლივი ტაში) (ადს).

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲛᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲗ

უზრუნველვყოთ მიმდინარე წლის დავალებათა მთლიანად შესრულება

17 იანვარს, საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტში შესდგა თათბირი საწარმოებში პარტიულ- მასიურ მუშაობის საკითხებზე.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. კუდრიავცევმა.

სოციალისტური მშენებლობის საქმეში მივაღწიეთ უდიდეს წარმატებებს—იწყებს ამხ. კუდრიავცევი—ჩვენ შევაჯამეთ პირველი ხუთწლედის შედეგები და დავიწყეთ მეორე ხუთწლიანი გეგმების შესრულება, რომელიც ითვალისწინებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებას ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების მთელ ყურადღების მობილიზაციას, ორგანიზაციულ, პარტიულ-მასიურ და აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნისათვის ახალ პირობებთან და ახალ ამოცანებთან შეფარდებით.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტ. 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილების რეალიზაციის გზით თვალსაჩინო მიღწევები მოვიპოვეთ ორგანიზაციული და პარტიულ-მასიური მუშაობის გარდაქმნის საქმეში, მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი, ჩვენს წინაშე დასმული ახალი ამოცანების შესრულება მოითხოვს პარტიული მუშაობის გარდაქმნას სოციალისტური მშენებლობის ყველა უბნებში.

საწარმოებში პარტიული ორგანიზაციების მთავარი და ძირითადი ამოცანაა გაშალონ ბოლშევიკური ბრძოლა საწ. საფ. გეგმების შესრულებისათვის, ამხ. სტალინის 6 ისტორიულ მითითების რეალიზაციისათვის და პარტიული მუშაობის მთლიანად გარდაქმნისათვის; დღევანდელ ჩვენს თათბირზე მოვისმენთ მთელ რიგ მთავარ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მოხსენებებს იმის შესახებ თუ როგორ იბრძვიან ისინი მათ წინაშე დასმული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის, პარტიული კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის, საწარმოო დავალებათა შესრულებისა და ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციისათვის, პარტიის რკინისებური დისციპლინის განმტკიცებისა და პარტიული მასების იდეურ პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

ამხ. კუდრიავცევის შესავალი სიტყვის შემდეგ მოსმენილი იქნა ლენინის რაიონის (ბაქო) პირველ საექსპლოატაციო სამქროს პარტუჯრედის მდივნის ამხ. აბდულაევის მოხსენება პარტიული მუშაობის მდგომარეობისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ ნავთის გეგმების შესრულებისათვის.

როგორ ვიბრძვით ნავთის გეგმების შესრულებისათვის

ლენინის რაიონის პირველ საექსპლოატაციო სამქროს პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობა მიმართული იყო საწარმოო დავალებათა მთლიანად შესრულებისათვის—იწყებს ამხ. აბდულაევი; მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვერ შევძელით 1932 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულება ასე მაგ: 1932 წლის მეორე კვარტალში გეგმა შესრულდა 71,8 პროც. მესამე კვარტალში 70 პროც. და მეოთხე კვარტალში საწარმოო დავალება შესრულდა 84,7 პროც. მთლიანად 1932 წლის საწარმოო გეგმა შესრულებულია 82,5 პროც. 1933 წლის პირველ კვარტალში უნდა დავამუშაოთ 600 ტონა ნავთი. პირველი კვარტალის, პირველ თვის 15 დღის საწარმოო დავალება შევასრულეთ 95,6 პროც.

საწარმოო-საფინანსო გეგმების მთლიანად შეუსრულებლობის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მთავარი მთელი რიგი, ჭაბურღილები არ არის გამოყენებული, ნასოსების და „რემენების“ უქონლობის გამო და სხვ. კომუნისტების მეტი ნაწილი იბრძვის იმისათვის, რომ გაამართლონ საწარმოოში თავიანთი ავანგარდული როლი ასე მაგ: სამქროში მუშაობს 1655 მუშა აქედან სოც შეჯიბრებაში ჩაბმულია 1170 კაცი. 405 კომუნისტიდან სოცშეჯიბრში მონაწილეობას ღებულობს 370; და 99 კომკავშირელი.

ნავთის საწარმოების პარტიული ორგანიზაციების წინაშე ამჟამად ერთ-ერთი მთავარი ამოცანადაა დასმული წარმოების ტეხნიკის ათვისება. ჩვენს სამქროში ჩამოყალიბებულია ტეხნიკის შემსწავლელი 3 წრე. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და საკ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე ამხ. სტალინის მიერ გაკეთებულ მოხსენების დამუშავების და მისი ფართო მუშათა მასებში პოპულიარიზაციის შემდეგ უფრო გაიშალა ბრძოლა ტეხნიკის შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბების და მათი მუშაობის მაღალი ხარისხისათვის. 29 ჭაბურღილი გადაყვანილი იქნა ექსპლოატაციაზე, რამაც საგრძნობი ეკონომია მოგვცა და გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ამასთანავე თვალსაჩინო მუშაობა ჩატარდა ტეხნიკური კადრების მიზანშეწონილად განაწილებისათვის. თვითეულმა მუშამ იცის რა უნდა გააკეთოს. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმამდე არა დამაკმაყოფილებელი იყო მუშათა მომარაგება, სექტემბრის პლენუმის შემდეგ ეს ნაკლი გამოსწორებული იქნა. მოვაწყვეთ საკუთარი სასადილო, გარეთუბნო მეურნეობის მოწყობისათვის გამოვყავით რამოდენიმე ჰექტარი მიწა. ამჟამად გვაქვს ბაღი 14 ჰექტარზე, გვყავს ღორები და სხვა პარტიული მუშაობის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ.

გავაუმჯობესოთ უჯრედების მუშაობის ხარისხი

ორგანიზაციულად ჩავატაროთ პარტიული დღე და თვითეული კომუნისტი შევაიარაღოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით. მოწინავე ორგანიზაციების (ლენინგრადის და მოსკოვის) გამოცდილებათა საფუძველზე დიდი მუშაობა ტარდება პარტიული დღის მომზადებლად ჩატარებისათვის, პარტდღისათვის სამზადისს ვიწყებთ 4-5 დღით ადრე. პარტიული დღის ორგანიზაციულად ჩატარების შედეგად მივაღწიეთ კრებების ხარისხის გაუმჯობესებას და კომუნისტების აქტივობის ზრდას. გაიზარდა კრებაზე დასწრე კომუნისტების რიცხვი მაგ: მე-9 ჯგუფში გასულ პარტიულ დღეს კრებაზე უნდა დასწრებულიყო 45 კაცი. დაესწრო 39. მე-8 ჯგუფში უნდა დასწრებულიყო 39 კაცი დაესწრო 37, კამათში მონაწილეობა მიიღო 10 კაცმა. უჯრედთან გამოყოფილია ძირეული პარტიული რგოლები. გვყავს 19 პარტორგანიზატორი.

აბდულაევის მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. კომ. საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. თ. გაბარაშვილი, რომელმაც აღნიშნა, მართალია ლენინის რაიონის (ბაქო) პირველ საექსპლოატაციო სამქროს პარტიულ ორგანიზაციას მრავალი მიღწევები აქვს მუშაობაში, მაგრამ მუშაობას თან ახლავს დეფექტები, რომელნიც იწვევს საწარმოო-საფინანსო გეგმების შეუსრულებლობას. რაც მთავარია.

გეგმების შეუსრულებლობის მიზეზია

ადგილობრივი პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მუშაობის სუსტად გაშლა, ამხ. სტალინის ექვს ისტორიულ მითითების შესრულებისათვის. პარტიულმა ორგანიზაციამ 1932 წლის პირველი კვარტალიდანვე ვერ შესძლო კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის ბრძოლის გაშლა.

ამხ. სტალინმა თავის მითითებებში ადგილობრივი ორგანიზაციების ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად დასახა მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვება, კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების დადების წესით, მიუხედავად ამისა ლენინის რაიონის პირველ საექსპლოატაციო სამქროს სამკუთხედს მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვებისათვის არაფერი გაუკეთებია, ეს იმ დროს, როდესაც წარმოება მუშახელის ნაკლებობას განიცდის. 1932 წლის მესამე კვარტალში გათვალისწინებული გეგმის თანახმად სამქროში უნდა მუშაობდეს 1432 მუშა, ფაქტიურად კი არის 1094. ადგილობრივ ორგანიზაციებს არ აქვთ ხელშეკრულებები დადებული კოლმეურნეობებთან. საწარმოო დავალებათა შესრულებას და სამქროს ექსპლოატაციას ხელი შეუშალა გაუპიროვნებამ, არაა მოწესრიგებული შრომის ორგანიზაცია. სანარდო სისტემაზე ოქტომბერში გადასული იყო მუშების 19 პროც. ამჟამად კი გადასულია 21,7 პროც. ადგილი აქვს ხელფასის წვრილ ბურჟუაზიულ გათანაბრებას. არა დამაკმაყოფილებელია კულტმასიური მუშაობა. მუშათა ბინები არაა სათანადოდ მოწყობილი. სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ხშირად ფორმალურ სახეს ატარებს. ერთი წლის განმავლობაში არ სწარმოებდა დამკვრელობის აღრიცხვა, განსაკუთრებით მესამე კვარტალში სოცშეჯიბრება მხოლოდ ქაღალდზედ არსებობდა. მე-3 კვარტალში კომუნისტების მხოლოდ 80 პროც. იყო ჩაბმული სოცშეჯიბრებაში. დღემდე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია მხოლოდ 3 ბრიგადა. ძირეულ პარტიულ რგოლებს პარტჯგუფებსა და პარტორგანიზატორებს არ ჰქონდათ შედგენილი სამუშაო გეგმა. ეს მდგომარეობა ამჟამად ნაწილობრივ გამოსწორებულია. საკ. კ.პ. (ბ) ცეკას სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავების შემდეგ. გაიშალა მუშაობა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. და სხვა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამოცანად უნდა დაისახონ ბრძოლა საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და ტეხნიკის ათვისებისათვის. მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის

ორგანიზაციულ, პარტიულ-მასიური მუშაობის გარდაქმნის, კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერების და ამხ. სტალინის 6 ისტორიულ მითითების რეალიზაციის გზით ჭიათურის მაღაროების პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობი წარმატებები მოიპოვეს—იწყებს ჭიათურის პარტრაიკომის საორგანიზაციო საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ქარსელაძე—1932 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების საქმეში. ასე მაგ: თვითღირებულების გეგმა შესრულდა 96 პროც. შრომის ნაყოფიერების კი 95—96 პროც. ორგანიზაციულ, პარტიულ-მასიური მუშაობის გარდაქმნა დავიწყეთ პარტიული ძალების სწორად განაწილებით სამეურნეო ერთეულებში. პარტჯგუფები და პარტორგები გამოვყავით ცალკე ლავებში. ის კომუნისტები, რომლებიც ძირეული პარტიული რგოლების ხელმძღვანელებად ითვლებიან საწარმოო გეგმების შესრულების საქმეში.

მოწინავე დამკვრელები ნიმუშებს იძლევიან

ასე მაგალითად შუქურთის რაიონში გამოყოფილი 8 პარტორგანიზატორი საწარმოო დავალებას ყოველთვის 115 პროც. დან 118 პროცენტამდე ასრულებენ. უნდა ითქვას, რომ ძირეული სამკუთხედები მოწინავე დამკვრელებად ითვლებიან და ამართლებენ კომუნისტების ავანგარდულს. საწარმოში. ამხ. კაგანოვიჩის სიტყვის დამუშავების შემდეგ საბრძოლო ამოცანად დავისახეთ პარტმუშაობის საშუალო რგოლის-სამქრო უჯრედის განმტკიცება, რისთვისაც პარტკომიტეტის მუშაკები გადავისროლეთ უჯრედების მდივნებად საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამდე თუ ძირეულ პარტიულ რგოლების მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ამჟამად პარტჯგუფებსა და პარტორგანიზატორებს შორის გაუმჯობესდა მუშაობა. ძირეული პარტიული რგოლები ნამდვილად სათავეში ჩაუდგენ სამქროებსა და ლავებში საწარმოო საკონტროლო გეგმების შესრულებას. პარტიული მუშაობის ნამდვილად გარდაქმნას ხელს უშლიდა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შეუმოწმებლობა. ამჟამად ეს ნაკლი გამოსწორებულია ცალკე უჯრედები იბრძვიან მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის, ამან კი გაზარდა უჯრედების მუშაობის ხარისხი, გაიზარდა კრებებზე პარტიის წევრთა დასწრების პროცენტი, ამჟამად კრებებზე დასწრება საშუალოდ უდრის 93 პროც. თუ წინად პარტდღის ჩატარებისათვის არ ვატარებდით სამზადისს ვაკრავდით განცხადებებს და მხოლოდ ამით ვკმაყოფილდებოდით ამჟამად ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. პარტდღისათვის 5—6 დღით ადრე ვიწყებთ მოსამზადებელ მუშაობას; წინასწარ ვიწვევთ ძირეული პარტიული რგოლების, უჯრედის მდივნებისა და აქტივის თათბირებს, რომელზედაც ვარჩევთ კრებაზე დასმულ საკითხების მნიშვნელობას და ვადგენთ კონკრეტულ სამუშაო გეგმას. პარტმუშაობის გარდაქმნამ თვალსაჩინოდ გააძლიერა პარტჯგუფებსა და პარტორგანიზატორებზე პარტუჯრედის ხელმძღვანელობა პარტორგი მუშაობის დამთავრების შემდეგ ყოველდღიურ ცნობებს აძლევს უჯრედის მდივანს ბრიგადაში მუშაობის და მიცემულ დავალებათა შესრულების შესახებ. თვეში ერთხელ იწვევა უჯრედის მდივნებისა და ძირეული პარტიული რგოლების თათბირები ურთიერთ შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით მოწინავე უჯრედებს ვამაგრებთ ჩამორჩენილ უჯრედებზე, საუკეთესო მუშა კომუნისტებს ვამაგრებთ ჩამორჩენილ პარტჯგუფორგანიზატორებზე ასე მაგ: შუქურთის უჯრედიდან, ღვინევის უჯრედში გადავიყვანეთ 18 კომუნისტი. ჩვენ საბრძოლო ამოცანად გვაქვს დასახული პარტიული და უპარტიო მშრომელ მასების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღება. ჩამოყალიბებულია 33 პოლიტსკოლა, აქედან პირველი საფეხურის პარტსკოლაში 18, მეორე საფეხურის 7. და მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე 7. პარტგანათლების ქსელში გაერთიანებულია პარტიის წევრთა და კანდიდატთა შემადგენლობის 93 პროც. აგრეთვე ჩამოყალიბებულია 1 პარტსკოლა 27. მსმენელით. საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილების თანახმად დავიწყეთ მუშაობა ძირეული პარტკადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის. ჩამოყალიბდა პარტორგანიზატორების და პარტჯგუფორგების მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები. ამჟამად მუშაობს უჯრედების მდივნების მოსამზადებელი კურსები.

ჭიათურის მაღაროებში გვყავს მუშათა ძველი კადრი—იწყებს საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომ. ინსტრუქტორი ამხ. რუდოვსკი—ეს გარემოება ლაპარაკობს იმაზე, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას სრული შესაძლებლობა აქვს სათანადო სიმაღლეზე დააყენოს პარტიული მუშაობა. ორგანიზაციას ჰყავს აქტივი 40 კაცის შემადგენლობით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს აქტივი ძალზე გადატვირთულია. არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ კომუნისტს აქვს 5—6 დავალება და ზოგიერთს კი არც ერთი დავალება არა აქვს. მართალია ერთიანი პარტიული დღის ჩატარებისათვის წინასწარ სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა, გარდაიქმნა პარტჯგუფებსა და პარტორგანიზატორებზე პარტიული ხელმძღვანელობა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. პარტკრებები ძლიერ გადატვირთულია, ხშირია შემთხვევები, როდესაც კრების დღის წესრიგში 10—12 საკითხია დასმული ასევე ითქმის პარტჯგუფებისა და პარტორგანიზატორების თათბირებზე.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა პიატაკოვის სახ. ნავთის გადამამუშავებელი ქარხნის (ბაქო) პარტკომიტეტის მდივანი ამხ. დრუჟინინი. მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მაჭავარიანმა (სტალინის სახ. სარემონტო ქარხანა), ბუსკოვმა (რ. ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკა), დოლიძემ (თბილისის ლენინის რაიკომი), ბოგდანიანმა (ლენინაკანი).

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში აგრეთვე გამოვიდა ამხ. კასაკოვი, კაუტიევი, გორდელაძე და ბედამოვი.

კამათის დასასრულს საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. მეერზონი.

ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ

13 იანვარს, დღის 12 საათზე, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტში შესდგა სამხარეო საორგ. აგიტ. თათბირი.

თათბირმა მოისმინა ბაქოს ორგანიზაციის ლენინის და შაუმიანის რაიკომების, თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის და ლენინის რაიკომების, ერევნის კომიტეტის და ჭიათურის რაიონული კომიტეტის წარმომადგენელთა მოხსენებები საწარმოო პარტორგანიზაციების დახმარების შესახებ სოფლის პარტორგანიზაციებისადმი.

მოხსენებებით გამოვიდენ ამხ. დოლიძე, კაზაკოვი, შელია, ქარსელაძე. მეორე საკითხად მოსმენილი იქნა ა.-კ. პროფსაბჭოს წარმომადგენლის ამხ. სოსიანის მოხსენება საშეფო მუშაობის საკითხებზე.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ტრუდოვსკიმ, გუკაროვმა, ბაქრაძემ, კალანდაროვმა და გეგენიანმა.

კამათის დასასრულ ვრცელი საბოლოო სიტყვით გამოვიდა საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. კუდრიავცევი.

თათბირის ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

თათბირის ანგარიში მოთავსებულ იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

რომ ავაწიოთ ჩვენი კულტურული მუშაობა.

10. აგიტაციის საქმე ქარხანაში მივანდოთ იმ ადამიანებს, რომელთაც აქვთ ამ საქმის უნარი და უყვართ იგი.

11. ავამაღლოთ ჩვენი პრესა კალმის აქტივისტების აღზრდით.

პარტკომის პლენუმი დარწმუნებულია, რომ სარემონტო ქარხნის პარტორგანიზაცია შესძლებს აამაღლოს ეს ამოცანები პარტიის გენერალური ხაზისათვის აქტიური ბრძოლის, ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის, აქტივის აღზრდის და პარტიულ რიგებში ნეიტრალობისა და პასიობის ლიკვიდაციის საფუძველზე.

ჩვენ მოვუწოდებთ ამიერ-კავკასიის ყველა საწარმოო უჯრედებს შეხვდენ მეორე ხუთწლედის პირველ წელს მთელი რიგი კონკრეტული თვითდავალებებით, რომლებიც დასახავენ პრაქტიკულ გზებს მთელი პარტიული ორგანიზაციული და მასიურ აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, მის ასაყვანად იმ გრანდიოზული ამოცანების დონეზე, რომლებიც დასახა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის ისტორიულმა პლენუმმა.

ბაქოს პროლეტარიატის, ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის მოწინავე რაზმის მეთაურობით, ბოლშევიკურად მოვკიდოთ ხელი მეორე ხუთწლედის პირველი წლის გიგანტური ამოცანების გადაჭრას.

ლენინის დროშით, ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გავსწიოთ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ნ. ბუხარინის სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კ. გაერთიანებულ პლენუმზე

ამხანაგებო, პარტია ჯამს უკეთებს თავის მუშაობას ისეთ დროს, როდესაც ორი საერთაშორისო ისტორიული თარიღები თითქმის ხვდება ერთმანეთს ჩვენ ამას წინათ ვიდღესასწაულეთ ოქტომბრის გადატრიალების 15 წლის თავი, ეხლა კი ჯამს უკეთებთ პირველ ხუთწლიან გეგმას ჩვენს ქვეყანაში. ორივე ამ თარიღს საერთაშორისო — ისტორიული მნიშვნელობა აქვს, და ისინი მეტად დიდხანს—პრაქტიკულად უსაზღვროდ დიდხანს იქნებიან მიჯნებად კაცობრიობის ისტორიის ძირითად გზებზე.

ოქტომბერმა დაიწყო ახალი წელთა აღრიცხვა, ახალი ეპოქა, მან დაამსხვრია კაპიტალიზმი და კაცობრიობის ისტორიული განვითარების წინაშე დასახა გზა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმებისაკენ, სოციალიზმისაკენ.

ხუთწლედმა დაიწყო სოციალიზმის **უდიდესი სამუშაოების** ეპოქა იმ ქვეყანაში, რომელიც ახალი სოციალისტური სამეურნეო ურთიერთობის საკრისტალიზაციო პუნქტად გადაიქცა.

ოქტომბრის გადატრიალებამ საბარიკადო ბრძოლების დაუვიწყარმა გმირულმა დღეებმა მოსკოვში, პეტერბურგში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში დაგვანახვა თუ როგორ უნდა დაიმსხვრეს ბურჟუაზიის სახელმწიფო მანქანა და შეიქმნეს პროლეტარიატის დიქტატურა.

ხუთწლედმა დაგვანახვა თუ როგორ ხდება პროლეტარიატი, რომელიც აწარმოებს საკუთარი ბუნების გარდაქმნას და იზრდება მშენებლობის გიგანტურ გამოცდილებაზე, ახალი სამეურნეო ცხოვრების ორგანიზატორად, შემოქმედად, თუ როგორ ქმნის ის რკინის ხელით **ახალი სოციალისტური მეურნეობის საძირკველს.**

ოქტომბრის გადატრიალება იყო მასიურ პროლეტარულ ძალების, როგორც დესტრუქციულ, **მძლავრ** ენერგიების უდიდესი დემონსტრაცია. ოქტომბერი ბურჟუაზიის რევოლიუციონური დამხობის აპოთეოზი და ახალი ხელისუფლების პროლეტარიატის ხელისუფლების შავად შედგენილი გეგმა.

ხუთწლედი მუშათა კლასის და მუშათა მასების გმირული შემოქმედი შრომის აპოთეოზია, იმ მასების, რომლებსაც თან მიჰყავთ თავისი კლასიური მოკავშირეები.

მაგრამ ოქტომბერიც და ხუთწლედიც— ეს ორი უდიდესი საერთაშორისო ისტორიული თარიღი მოწმობენ უმაგალითო ისტორიულ მოქმედებას. რადგან როგორი შედარებები და ისტორიული ანალოგიებიც არ უნდა ავიღოთ, როგორი ისტორიული მაგალითებიც არ უნდა იდგეს ჩვენს წინ; ისინი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეედაროს ამ უდიდეს ისტორიულ მოქმედებებს, არც თავისი მასშტაბებით და არც თავისი მნიშვნელობით მომავლისათვის.

პირველი ხუთწლედის დაწყება ნიშნავდა **მკვეთრ ზარდატეხას ქვეყნის** მთელს სამეურნეო პოლიტიკურ განვითარებაში. ის ობიექტიური ამოცანები, რომლებიც იდგა ჩვენი პროლეტარული რევოლიუციის წინაშე, ის ობიექტიური ამოცანები, რომლებიც იდგა სოციალიზმის შემდგომ განვითარების წინაშე, პროლეტარული რევოლიუციის უმაღლეს კლასში გადასვლის პრობლემები პირველ რიგში გამოიხატებოდა შემდეგში: პირველი—**ქვეყნის ახალი ძირითადი კაპიტალის შექმნა;** მეორე — **წინააღმდეგობის მოსპობა ზრდის გზაზე მდგომ მსხვილ სოციალისტურ ინდუსტრიასა და წვრილ ინდივიდუალურ სოფლის მეურნეობას შორის** (დნეპროსტროი—ერთის მხრივ, პატარა გლეხური პარცელა მეორე მხრივ), დაბოლოს, მესამე—წინააღმდეგობის მოსპობა სოციალისტური სექტორის (და მისი კლასიური მატარებლის — პროლეტარიატის) ზრდისა და კაპიტალიზმის (და მისი კლასიური მატარებლის—კულაკობის). ზრდას შორის სოფლის მეურნეობაში.

თავისთავად ცხადია, რომ ეს არის სამი მხარე ერთი და იმავე პროცესისა, ეს სამი ამოცანა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც **ერთმანეთისაგან დაშორებული** ამოცანები, რომლებიც მექანიკურად არიან დაყენებული ერთ რიგში; ისინი თვითონ წარმოადგენენ ორგანიულ მთლიანობას და არც ერთი ამ ამოცანის გადაწყვეტა არ შეიძლება მეორე ამოცანის გადაწყვეტის გარეშე; ეს მხოლოდ სამი ასპექტია, სამი სხვადასხვა მხარეა ერთი და იმავე პროცესისა, ჩვენს ქვეყანაში დიდი პროლეტარული რევოლიუციის შემდგომი წინსვლის პროცესისა.

რევოლიუციის ეს **ობიექტიური** ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობდნენ ამ რევოლიუციის წინა ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობიდან, იყო სწორად **ჩამოყალიბებული და დაყენებული,** როგორც **შეგნებული მიზანი,** ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის მიერ და აი ამაშია ჩვენი ხელმძღვანელობის უდიდესი ისტორიული დამსახურება.

თუ ჩვენ ამ პრობლემას მივუდგებით კლასიური თვალსაზრისით, მაშინ ეს თარიღი, პირველი ხუთწლიანი გეგმის დაწყების თარიღი, ნიშნავდა ახალი უდიდესი **სოციალ-კლასობრივი ბრძოლის** დასაწყისს, — ბრძოლის, რომელიც სწარმოებდა მთელი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, — ბრძოლის, რომელსაც ჩვენ აღვნიშნავთ „ფართო გაშლილი სოციალისტური შეტევის" ტერმინით. ამ შეტევისათვის ხელის შეშლა, რაც იდეოლოგიურად გამოხატა მემარჯვენე ჯგუფმა, ობიექტიურად ნიშნავდა შემტევი არმიის რიგების დეზორგანიზაციას, და ამიტომ მთელი განვითარების გადამწყვეტი გზების თვალსაზრისით, მაშასადამე ამ ბრძოლის ტაქტიკის თვალსაზრისითაც (ეს თვალსაზრისები კი ერთად-ერთი მიზანშეწონილი და გეგმაშეწონილი თვალსაზრისებია) ხუთწლედმა ისტორიულად მთლიანად გაამართლა პარტიის გადამწყვეტი და მწვავე ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან. ჩვენი ხელმძღვანელობის დამსახურებათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ ამ ხელმძღვანელობამ გაანადგურა მემარჯვენე ოპოზიციის ძალები.

მე ვფიქრობ, რომ ეს სწორია და ეს სწორია მით უმეტეს, რომ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ არა ნუმერიული ძალები და არა მემარჯვენე ოპოზიციის ხელმძღვანელობის ხარისხობრივი კვალიფიკაცია, არამედ ის სოციალური ფონი, რომელიც ეხლაც მემარჯვენეებს. ჩვენი პარტიის შიგნით ხდის მთავარ საშიშროებათ მთელს ეტაპზე. ეს რომ უბრალო საქმე ყოფ., მაშინ საჭიროც არ იქნებოდა ამგვარი ბრძოლა. ეს ბრძოლა საჭირო იყო სწორედ იმიტომ, — ეს ჩვენ აშკარად უნდა ვაღიაროთ, — რომ მემარჯვენე გადახრა ეხლაც მთავარ საშიშროებათ რჩება ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მთელს შემდგომ გზაზე, ყოველ შემთხვევაში რამდენადაც ჩვენ კურსი გვაქვს აღებული ჯერ-ჯერობით მხოლოდ მეორე ხუთწლედზე.

ამხანაგებო, თუ ჩვენ გადავხედავთ **ჩვენი ქვეყნის ძირითადი კაპიტალის შექმნის პროცესს,** სრულიად აშკარა იქნება თეორეტიულად, რომ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კაპიტალი ეს არის მუდმივი კაპიტალის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, ე.ი. მთელი კაპიტალის ნაწილი მინუს ის, რაც მიდის ხელფასზე. და თუ ჩვენ ძირითადი კაპიტალის პრობლემას მივუდგებით **წმინდა ეკონომიური** მხრივ, მაშინ ეს შეეფარდება ეგრედწოდებულ „კაპიტალის ორგანიული ნაწილის" ზრდის პრობლემას ე.ი. აქ უნდა ვუპასუხოთ კითხვას: რამდენი **ღირებულებაა** საჭირო, ანდა ფულადი გამოხატულებით, რამდენი მილიარდი მანეთის დახარჯვაა საჭირო ამ ახალი ძირითადი კაპიტალის შესაქმნელად.

მაგრამ ამ პრობლემას აქვს მეორე ასპექტი, მეორე სახე, მეორე მხარე: ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც **ტეხნიკური პრობლემა;** სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ის შეიძლება განვიხილოთ არა ისე, თუ რამდენი მილიარდი **მანეთი** უნდა დაგვეხარჯა ჩვენ ხუთი წლის განმავლობაში, არა ისე, როგორც დაგროვების ერთეული, არამედ როგორი მანქანები იყო საჭირო, როგორი აგრეგატები, როგორი ტეხნიკური დონით, როგორი სიმძლავრით; როგორი შენობები, რა ზომის და სხვ. უნდა ავაგოთ ჩვენ ხუთი წლის მანძილზე.

მე ვჩერდები ამ საკითხზე იმიტომ, რომ ვფიქრობ ძალიან ხშირად, როდესაც ჩვენ ვიხილავთ ჩვენი შემდგომი ტეხნიკურ-ეკონომიური განვითარების პერსპექტივებს, ჩვენ ვივიწყებთ საქმის ამ ხარისხობრივ მხარეს. მას კი შემდგომი განვითარებისათვის ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; რადგან თუ ჩვენ იმავე თანხის მანქანები შეგვიძლია შემოვიტანოთ საზღვარგარეთიდან ანდა ჩვენ თვითონ დავამზადოთ, — ეს სრულიად სულერთი არ არის შემდგომი განვითარებისათვის; მარტო ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ ვსთქვათ—ჩვენ სოფლის მეურნეობაში ანდა მრეწველობის განსაზღვრულ დარგებში დავაბანდეთ ამდენი და ამდენი მანეთის მანქანები; ამასთან ერთად უფრო მნიშვნელოვანია საქმის მეორე მხარე, სახელდობრ: **როგორი** მანქანები, როგორი ტეხნიკური დონეებით, ეს განსაზღვრავს მათ შემდგომ მოქმედებას, მაშასადამე ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მთელი ტეხნიკურ-ეკონომიური პროცესის შემდგომ ბედს ჩვენს ქვეყანაში.

თუ ჩვენ გადავხედავთ საქმის **რიცხობრივ** (ღირებულება) მხარეს, აქ საჭირო არ არის გავიმეოროთ ყველასათვის ცნობილი ციფრები; მე მგონია უფრო მიზანშეწონილი იქნება დავკმაყოფილდეთ სამი დიდი დებულებით: 1) თანხების დაბანდება უდიდესი იყო; 2) ტემპები განსაკუთრებული იყო; 3) ამას შეეფარდებოდა ქვეყნის სახალხო შემოსავლის კაპიტალიზირებულ ნაწილის მაღალი კოეფიციენტი, რამაც განსაზღვრა სოციალისტური დაგროვების სიჩქარეც.

რა გვაქვს ჩვენ **საბოლოო ჯამში?** რა გაკეთდა ძირითადი კაპიტალის პრობლემის გადასაწყვეტად ჩვენს ქვეყანაში?? ეს არის ჩვენი ქვეყნის გადაქცევა **სოციალისტურ - ინდუსტრიალურ ქვეყნად საერთო საზოგადოებრივი კაპიტალის სულ სხვა „ორგანიული შემადგენლობით",** კაპიტალის ორგანიული ნაწილის განსაკუთრებული ზრდა, სიმძიმის ცენტრის გადატანა საწარმოო საშუალებების წარმოებაზე და საწარმოო საშუალებების წარმოების ჯგუფის შიგნით სიმძიმის ცენტრის გადატანა მძიმე ინდუსტრიის დარგზე.

გადავიდეთ ეხლა **პროცესის ტეხნიკურ, ხარისხობრივ მხარეზე.** ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრი ინდუსტრიის ქვეყნად მძიმე მრეწველობის ბაზით (მათ რიცხვში და პირველ რიგში—მანქანათმშენებლობის ბაზით), ახალი წარმოებებით (ავიო და ავტომშენებლობა. ხელოვნური (ქსოვილი, სინთეტიური კაუჩუკი და სხვ.), გიგანტური ელექტრო, ჰიდრო-სადგურებით და თბოცენტრალების ქსელით.

ჩვენ გვაქვს **საწარმოო ერთეულების ახალი ზომა:** თუ ლაპარაკია ელექტროსადგურებზე, ჩვენ გვაქვს დნეპროსტროი, თუ ჩვენ წინაშე სდგას შავი მეტალურგია, — კუზნეცკი და მაგნიტოგორსკი; თუ ფერადი მრეწველობა, —ურალის სპილენძის სადნობი კომბინატი და ვოლხოვის ალუმინის კომბინატი; თუ ტრაქტორმშენებლობა ჩვენ გვაქვს ხარკოვის, სტალინგრადის და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნები მძიმე მანქანათმშენებლობა — კრამატორსტროი და ურალმაშსტროი; ქიმია — ჩვენ უდიდესი ქიმიური კომბინატები, —ბერეზნიკი, ხიბინი და სხვ. ეს მხოლოდ ცალკე მაგალითებია. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საწარმოო ერთეულების ზომა უკვე სცილდება იმის ფარგლებს, რაც ხასიათდება კაპიტალისტურ მსოფლიოსათვის. მაშასადამე ხარისხობრივის მხრივ ჩვენ არა მარტო მთელი ტეხნიკური შემადგენლობის სირთულით, არამედ წარმოების თვით ზომის თვალსაზრისითაც ვსცილდებით უკვე იმ ლიმიტებს, რომლებსაც იცნობს ამჟამად კაპიტალიზმი.

ახალ ნედლეულს და ნახევარ პროდუქტს — უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქ საჭირო არ არის ყველა მათი ჩამოთვლა, მაგრამ საჭიროა გავახსენოთ (მე ვფიქრობ ეს ტეხნიკურად გადამწყვეტი ფაქტია), ხარისხობრივი ლითონის, მსუბუქი ლითონების, და სპეციალური შენადნობების ყველა სახეების წარმოება. აქ ჩვენ უკვე შევქმენით მნიშვნელოვანი ბაზა.

შემდეგ მიდის **ახალი აგრეგატები და ახალი ტეხნიკური სიმძლავრენი** რაც არ უნდა ავიღოთ: ქვაბები, ტურბინები, ძრავები, ელექტრომანქანები, დაზგები— ჩვენ ყველგან უდიდესი ნახტომი გავაკეთეთ ტეხნიკური მაჩვენებლების ზრდის მხრივ, ტეხნიკური სიმძლავრის ზრდის მხრივ.

ახალმა ტეხნოლოგიურმა პროცესებმა ახვეე თავისი საპატიო ადგილი დაიკავეს. თუ ავიღებთ დიდ საკითხებს, უდიდეს და განმზოგადოებელ საკითხებს — მათ ეკუთვნის პირველ რიგში **ელექტრო-ქიმიის და ელექტრო-მეტალურგიის** შეჭრა საწარმოო პროცესში, თუ უფრო დეტალურად განვიხილავთ ამ საკითხს მოწყობილობის თვალსაზრისით, აქ უნდა მოვიხსენიოთ ელექტროღუმელი, თუ ლაპარაკია ტეხნიკური პროცესის მეთოდიკაზე, ამას ეკუთვნის პირველ ყოვლისა **ელექტროლიზი, ელექტროშედუღება** და სხვა. ჩვენ აქაც დავაგროვეთ მნიშვნელოვანი გამოცდილება და დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ.

დაბოლოს, ავიღოთ ჩვენი **ელექტროფიკაციის ბაზა;** ჩვენ უკვე გვაქვს ექვსი მაღალ ვოლტიანი სისტემა, რომლებიც გარდაიქმნებიან მთლიან ცენტრალიზებულ მთელს ქვეყანაში დაქსელილ გიგანტურ მაღალ-ვოლტიანი გადაცემის სისტემათ; ეს სისტემებია — ლენინგრადის, მოსკოვის, გორკის, დონბასის, ურალის და დნეპროპეტროვსკის. ყველაფერი ეს ერთად — **ქვეყნის ძირითადი კაპიტალის შექმნის ხარისხობრივი მხარეა.**

თუ ჩვენ ამას დაუმატებთ მთელ რიგ არხებს საირიგაციო ნაგებობებს, ტრანსპორტის რეკონსტრუქციას, გზებს, ხიდებს, რადიო დანადგარების აგებას,—თქვენ დაინახავთ, რომ ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივაც, ახალი ძირითადი კაპიტალის ხარისხობრივი დახასიათების მხრივაც, ჩვენ არაჩვეულებრივად წავიწიეთ წინ.

ღვებით შემდეგი საკითხი **წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ ზრდის პროცესში მყოფ მრეწველობასა და ინდივიდუალურ სოფლის მეურნეობის შორის.** ეს პრობლემა ძირითადად გადაწყვეტილია მსხვილი და უმსხვილესი საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ახალი ფორმებით. და აქაც ჩვენ ვსცილდებით, მასშტაბების თვალსაზრისითაც კი, მსხვილი კაპიტალისტური მამულების, ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ლატიფუნდიების ფორმებს, ლიმიტებს, შეზღუდულ ფარგლებს. ჩვენ ვსცილდებით ამერიკულ, კანადურ, ავსტრალიურ მასშტაბებს. მე უკვე არაფერს ვლაპარაკობ ოსტ-ელბის გერმანულ მასშტაბებზე. რაც შეეხება მთელი ამ განვითარების **რიცხობრივ** მხარეს, აქ ჩვენ გვაქვს პროცესი, რომელმაც დაიპყრო არა მარტო მბრძანებელი მაღლობები (ამაზე უკვე აღარაა საჭირო ლაპარაკი), არამედ უპრატესი აბსოლიუტური რიცხობრივი უმრავლესობა. პროცესის ხარისხობრივი დახასიათების შესახებ უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი მნიშვნელოვნად ჩამორჩა თავისი ეკსტენსიური ზრდის, განზე ზრდის მასშტაბებს, ჩამორჩა იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობას აქვს თავისი სპეციალური ნიშნები, რომლებიც მიდიან ძირითადი მიმართულებით, და მთელი რიგი დამატებითი სიძნელეები, ინდუსტრიასთან შედარებით, რომლებიც წამოიჭრებ ჩვენს წინაშე ამ გზაზე და მიგვიყვანეს იმ პრობლემამდე, რომელზედაც ამ მოხსენებაში ლაპარაკობდა ამხ. **სტალინი,** როდესაც ის ანალიზს უკეთებდა რენტაბელობის საკითხს. მართლაც ავიღოთ, მაგალითად, საკითხი ჩვენი საწარმოო ერთეულების ჩვენი საწარმოო გიგანტების სოციალური შემადგენლობის შესახებ, სოფლის მეურნეობაში ჩვენ გვყავს ჯერ კიდევ მთლიანად გაუნადგურებელი **კულაკი,** მისი ყოველგვარი წინააღმდეგობებით სოციალიზმისათვის, ფარული, აშკარა, პირდაპირი, არაპირდაპირი და სხვ. წინააღმდეგობებით.

საქარხნო საწარმოთა შიგნით ადგილი აქვს მუშათა კლასის ცალკე ფენების მხოლოდ ერთგვარ მერყეობას, რაც გამოხატავს უცხო კულაკურ განწყობილებას; მაგრამ არაფერი იმის მსგავს, რაც ჩვენ სოფლის მეურნეობაში გვაქვს. რათქმა უნდა, ადგილი არა აქვს. **მეორე,** სოფლის მეურნეობაში თვით **დასაწყისი ბაზა გაცილებით უფრო მდარე იყო.** ვიდრე ჩვენი ინდუსტრიის დარგში: უფრო ადვილია გადასვლა ფაბრიკიდან გიგანტურ ქარხანაზე, ვიდრე პარცელიდან მსხვილ კოლმეურნეობაზე.

მესამე, რაც, ჩემი აზრით, წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას, რომელიც რიგში სდგას ჩვენს სოფლის მეურნეობაში: გათიშვა ტეხნიკურ საგნებს შორის, ახალ **საწარმოო საშუალებებსა და მუშა - ხელის კვალიფიკაციას** შორის ყველაზე დიდია. თუ ჩვენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგებს მოვათავსებთ ამ ხაზზე იერარქიული წესით. ყველაზე დიდ გათიშვას, ალბად, მივიღებთ; ავია-მოტორმშენებლობაში, სადაც ადგილი აქვს თითქმის მარტო საინჟინერო შრომას, სადაც მეცნიერება უშუალოდ დამკვიდრდა საწარმოო პროცესში, სადაც მთელი წარმოება ემყარება კვალიფიციურ მუშა - ხელს და სხვ. სოფლის მეურნეობაში კი კომბაინი, ტრაქტორი და საერთოდ რთული სასოფლო - სამეურნეო მანქანები, რომლებსაც მას ახლა ვაძლევთ, სხვადასხვა ჯიშის რთული ხელოვნური სასუქი, გენეტიკის, სელექციის და სხ. ჩვეულებრივად გამოიყენება, აწყდება ყველაზე ჩამორჩენილ საწარმოო ჩვევებს, პატრიარქალურ რუტინას, საშინელ ტეხნიკურ უცოდინარობას, ადამიანის ნედლეულ მასას, აქ, მაშასადამე, ადგილი აქვს გაცილებით უფრო დიდ გათიშვას, და აქედან წარმოსდგება **დამატებითი სიძნელენი.**

მეოთხე: საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ კიდევ ერთი თავისებურება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების ათვისების მთელი პროცესისათვის, სახელდობრ **სასოფლო - სამეურნეო შრომის სეზონურობა.** რათქმა უნდა, სანამ სოფლის მეურნეობა არ გადაიქცევა ინდუსტრიის დარგად, სათანადო ინდუსტრიალური წყობით, ეს სეზონურობა თავს იჩენს განსაკუთრებით ყოველ არაკომბინირებულ სასოფლო - სამეურნეო საწარმოო ერთეულში. ამიტომ, თუ ინდუსტრიაში შესაძლებელია ტეხნიკური და ეკონომიური გამოცდილების განუწყვეტლად ათვისება, აქ, სოფლის მეურნეობაში, ადგილი აქვს დროებით კალენდარულ შეწყვეტას, რაც გამომდინარეობს სასოფლო-სამეურნეო პროცესების სეზონურობიდან, ესეც აძნელებს მთელი ამ აქმის ათვისებას.

მეხუთე: კადრების პრობლემა, სავსებით ცხადია, რომ სოფლად არსებული სხვადასხვა პირობების გამო უფრო ძნელია კვალიფიციური კადრების შენარჩუნება სოფლად, თუ ამ მხრივ ჩვენ ზომებს არ მივიღებთ; ჩვენ კი ამ მხრივ უნდა მივიღოთ ზომები, რაზედაც ნება მომეცით ქვემოდ ვსთქვა რამდენიმე სიტყვა.

მეექვსე: ახლანდელი კოლმეურნის ბუნება; თუ ვილაპარაკებთ მის საშუალო ტიპზე, იგი სრულიად არ შეეფარდება იმას რაც ჩვენ გვაქვს პროლეტარის მასიურ ტიპში, თუნდაც მხედველობაში მივიღოთ მისი ჯერ კიდევ გადაუხარშავი ფენები.

თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, ჩვენ, ვიწრო - ტეხნიკური და ეკონომიური ენით რომ ვსთქვათ, უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე რომ **ახალი სასოფლო - სამეურნეო ერთეულების „ათვისების პერიოდი" აუცილებლად უნდა აღმოჩნდეს გაცილებით უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ახალ საწარმოო საწარმოთა ათვისების პერიოდი.** პარტიის ძალები უნდა დარაზმულ იქნან სწორედ ყველა ამ დამატებითი სიძნელეების გადასალახავად.

ჩვენ უკვე სწრაფად ვუქმნით ახალ **ტეხნიკურ ბაზას** კოლმეურნეობებს და, საბჭოთა მეურნეობებს. სავსებით მართალია, რომ ჩვენ ამოცანად არ ვისახავდით ასე გვემქნებინა: ჯერ ტეხნიკური ბაზა, ხოლო შემდეგ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი. ჩვენ ჯერ შევუტიეთ კულაკს განადგურების და კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციას ამასთან ახალ ტეხნიკურ ბაზას ვქმნიდით. ჩვენ შესაძლებლობათა ზრდის მიხედვით. ამ ბრძოლის პროცესში მოვახდინეთ ჩვენი სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების რეკონსტრუქცია. შეიძლება პირდაპირ წლების მიხედვით შევამოწმოთ, თუ რა უზარმაზარი ნახტომი გავაკეთეთ სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების რეკონსტრუქციის დარგში, ახალი მანქანების მარკების გამოშვების დარგში, მთლიანი კოლექტივიზაციის პროცესზე, ფართო საკოლმეურნეო მოძრაობაზე და ჩვენი საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციაზე გადასვლის დროს, ასეთია საქმის ვითარება მეორე უდიდესი ამოცანის გარშემო, რომელიც პროლეტარული რევოლიუციის მიმდინარეობამ წამოაყენა.

ბოლოს, **წინააღმდეგობის მოსპობა სოციალისტურ სექტორსა და კულაკურ მეურნეობებს შორის.** იგი წარმოადგენს კულაკობასთან ზოგჯერ სრულიად აშკარა „მშვიდი" კლასობრივი ბრძოლის პროცესს. ვიმეორებ, მთლიანად აღებული ეს არის **სამერთოვანი** პროცესი, რომელშიაც ტეხნიკური რეკონსტრუქცია, სოციალისტური გარდაქმნა და კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენენ ერთიანი მთელის ნაწილებს. ჩვენში ადგილი ჰქონდა ამ ბრძოლის მეტად მწვავე ფორმებს და კვლავ ექნება ადგილი, როცა ჯერ კიდევ საჭირო იქნება პირდაპირ დამსხვრევა კულაკობის წინააღმდეგობისა, რომელსაც ზოგჯერ ზურგს უმაგრებს წვრილი მწარმოებლის მერყეობა, რამდენადაც კულაკმა ამა თუ იმ რაიონში, ამა თუ იმ ფორმით შესძლო მისი გაყოლიება. ჩვენ გვქონდა და კიდევ გვექნება ამ ბრძოლის უაღრესად სხვადასხვა გვარი ახალი ფორმები, პირველ რიგში — საბოტაჟი, რომელიც საკმაოდ ცხადად გამოაშკარავდა ამ ბოლო დროს ზოგიერთ რაიონში, საბოტაჟი, რომელიც უკავშირდება ორგანიზებულ მავნებლობას.

და აი, ხუთწლედის შედეგი აქაც სწორედ ისევე, როგორც ძირითადი კაპიტალის პრობლემაში, როგორც წვრილ გლეხურ მეურნეობასა და ზრდის პროცესში მყოფ სოციალისტურ ინდუსტრიას შორის წინააღმდეგობათა მოსპობის პრობლემაში, ეს შედეგი აგრეთვე თავდება **ძლევამოსილი აკორდით,** რომელიც გამოიხატება კულაკების განიავებაში. მისი, როგორც კლასის, ლიკვიდაციაში, მის მოსპობაში, თუ ვილაპარაკებთ ბრძოლის ძირითად და გადამწყვეტ პუნქტებზე.

ამრიგად: საერთოდ ჩვენ წინ წავიწიეთ **უმაღლეს საფეხურზე.**

ჩვენ ვართ ახალი ქვეყანა, თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, ვინაიდან პირველ ხუთწლედში კვლევითი სამუშაოებმა მოგვცეს სრულიად განსაკუთრებული ზრდა მთელი რიგი ჩვენი ბუნებრივი მწარმოებლური ძალების ბაზით.

ჩვენ ვართ ახალი ქვეყანა თავისი ტეხნიკური სიმძლავრით.

ჩვენ ვართ ახალი ქვეყანა თავისი ეკონომიური წყობით თავისი ეკონომიური სტრუქტურით.

ჩვენ ვართ ახალი ქვეყანა კლასობრივ ძალთა განწყობილების მხრივ. სახელმწიფოებრივ, ხელისუფლებად ორგანიზირებული ჩვენი პროლეტარიატის უაღრესად გაზრდილი პოზიციით.

ჩვენ ვართ ახალი ქვეყანა მუშათა ძალების, მთლიანად აღებული მუშათა ძალების შემადგენლობით და ხარისხით: არა მარტო მრეწველობაში (რომელმაც წარმოშვა მასიური დამკვრელობა) არამედ სოფლის მეურნეობაშიც, მთელს ჩვენს სოციალისტურ საბჭოთა მეურნეობაში, რომელშიაც წარმოებს ადამიანთა დიადი მასიური გარდაქმნა. ჩვენ ვართ ახალი ქვეყანა მუშა - ხელის შემადგენლობის და ხარისხის მხრივ. მისი კვალიფიკაციის ამაღლების მხრივ. შრომის სხვადასხვა კვალიფიკაციას შორის სხვა პროპორციების მხრივ, რაც დაკავშირებულია მომუშავე მოსახლეობის უფრო კვალიფიციური ფენების ხვედრითი წონის გადიდებასთან.

ბოლოს, ჩვენ ვართ ახალი ქვეყანა პრაქტიკასთან თეორიის შეერთების მხრივ, ჩვენი ტეხნიკური რეკონსტრუქციის მეცნიერული აზრით განაყოფიერების მხრივ ერთიანი ლოგიკური გეგმის და იმ რუქის ნაირი დიადი სოციალისტური მშენებლობის მომსახურებისაკენ.

ახლა ნება მომეცით ვთქვა რამდენიმე სიტყვა **საერთო პოლიტიკის ძირითად ხაზებზე, უახლოესი წლებისათვის.**

აი. ქალაქის და სოფლის, მუშათა კლასის და გლეხობის ძირითადი მასების ურთიერთობის დარგში: ამჟამად ინდივიდუალური გლეხი საგრძნობლად გახდა სოციალურ ნაწილი: მეორე, გაიზარდა მთლიანად აღებული სახელმწიფო აპარატის და ყველა მისი ბერკეტების, სამეურნეო, კულტურული, პოლიტიკური და სხვა ბერკეტების — საერთო ძლიერება.

და, მე მგონია რომ სოფლად სოციალურ - კლასობრივი ძალების ასეთი შეცვლის მოხებით, ძალთა სხვაგვარი შეფარდების მოხებით, სხვა შესაძლებლობათა მოხებით ჩვენ ახლა. **საკითხს საერთოდ სხვანაირად ვსვამთ, ან, უფრო სწორად, გვაქვს ბაზა მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის საკითხის სხვანაირად დასმისათვის.** წინად, ჩვენი მშენებლობის დასაწყისში, განსაკუთრებით აღდგენითი პერიოდის დასაწყისში, იყო ვიწრო რთული გლეხური სტიქია და პატარა, შედარებით სუსტი სამრეწველო ბერკეტები, სახელმწიფო ხელისუფლების ჯერ კიდევ გაუმაგრებელი აპარატი, სუსტი კულტურული ბერკეტები და, რაც მთავარია, ზეგავლენის სუსტი ეკონომიური ზომები. თუ ახლა ჩვენ საკითხს სწორედ ამ მხრივ გავუკეთებთ ანალიზს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჩვენში ადგილი აქვს ძლიერების — ტეხნიკური, ეკონომიური, პოლიტიკური კულტურული ძლიერების, ერთად აღებული ყველა ამ ბერკეტების უდიდეს ზრდას. აქ **რაოდენობა უკვე გადავიდა ხარისხში,** და, მაშასადამე, სხვანაირად სდგას მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის საკითხი. ფიგურალურად, რომ ვსთქვათ, ჩვენ შეგვიძლია, „ორგანიზაციულად" დავადუღოთ; ასეთი ამორფული მასა, რომლის „ორგანიზაციულად დადუღება წინად მოჩანსწრაფით იმ გეგმების მიხედვით, რომლებიც მეტად ცეთ ვატრებდით, მეტად ძნელი იყო, მაშასადამე, ამით მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის მთელი საკითხი სდგას სხვა ბაზაზე, რამდენადაც ჩვენ გვაქვს კლასობრივი ძალების სრულიად სხვანაირი შეფარდება და იმ ბერკეტების სრულიად სხვანაირი, განუზომლად უფრო მძლავრი სისტემა, რომელსაც ზეგავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობაზე მისი დიადი სოციალისტური გარდაქმნის სამერთოვანი პროცესის ყველა მხრიდან.

მე მგონია, რომ სწორედ აი, ამ საფუძველზე ისახება **ჩვენი საერთო სამეურნეო კავშირის კონტურები:** სოციალისტური ინდუსტრია, როგორც ყველაზე მსხვილი ორგანიზებული სიდიდე პროლეტარიატის ხელში, ტრანსპორტი, სახელმწიფო საფინანსო სისტემა საბანკო სისტემის ჩათვლით.

შემდეგ საბჭოთა მეურნეობანი, როგორც სახელმწიფო სექტორი, როგორც სახელმწიფო სექტორი, ჩვენი სოფლის მეურნეობის დარგში, კოლმეურნეობანი კოოპერაცია. ინდივიდუალური წვრილი მწარმოებელი სარგებლობელ დღეს უკვე ხდება წილადად, რამდენადმე გაზვიადებულად რომ ვსთქვათ; მაგრამ, ამასთან უნდა გავიხსენოთ, რომ თუმცა მეურნეობის ფორმით იგი ხდება წილადად, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის წილად, როგორც ერთგვარი ძალა. მისი შეგნებით, მისი იდეოლოგიით **ჩვენი კოლმეურნეობების შიგნით,** რომლიც წარმოადგენენ სხვა საწარმოო ფორმას.

ამით იცვლება კავშირის ძირითადი ფორმა. კავშირის ძირითადი ფორმა არის საწარმოო კავშირის გაძლიერება სოფელსა და ქალაქს შორის მანქანათმშენებლობის, სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობის ბაზაზე, პირველ ყოვლისა ქიმიური წარმოების ბაზაზე. ამასთან [illegible] უნდა შეასრულოს **სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა,** როგორც ტეხნიკურ - ეკონომიურ, პოლიტიკურ - კულტურულ, კომუნისტურ მოღვაწეობის და მბრძოლ შტაბმა, სოფლის მეურნეობის მთელი პროცესის ზეგავლენის მოხდენის ძირითადმა ბერკეტმა, ამით, კოლმეურნეობათა ორ[illegible] **სოფლის მეურნეობის თანდათანი [illegible]** მისი სამანქანო სისტემით, მისი შრომის ორგანიზაციით, [illegible] მეთოდებით და სხვ. კავშირის ამ ძირითადი ფორმის [illegible] **საბჭოთა ვაჭრობის მუშაობით.** ბაზრის [illegible] პირდაპირი [illegible] ინდივიდუალური გლეხის [illegible] მიმართ, რომლისთვის [illegible] ხდება, და, მეორე, იმიტომ, რომ ის პროცესი ვითარდება [illegible] და სხვ. პირობებში და გადამწყვეტი ბრძოლის დროს. რაც წარმოადგენს საბჭოთა [illegible].

მძიმე მრეწველობის განვითარების საფუძველზე [illegible] მრეწველობა და **ფართო მოხმარების საგნების** [illegible] სოფლის პროდუქციისა და საქონლის ბრუნვის ზრდის დროს [illegible] სისტემა ჩვენ ჯერ კიდევ უნდა განვამტკიცოთ. ამასთან უნდა [illegible] რომ ფულადი სისტემის მთლიანი მდგომარეობა [illegible] წარმოების მდგომარეობას, წარმოება, საქონლის მასა წარმოადგენს ისეთ სიდიდეს, რომელიც განსაზღვრავს ფულადი სისტემის მდგომარეობას, ამ საფუძვლის გარეშე იგი არ შეიძლება ნამდვილად გამტკიცდეს, ამიტომ საწარმოო საკითხები, მთელი წარმოების ორგანიზაციის საკითხები ამ თვალსაზრისითაც წარმოადგენენ სრულიად განსაკუთრებულ სიდიდეს.

და შემდეგ, გაასაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, შემდგომი წინსვლის დროს, [illegible], პროდუქციის ხარისხს და სხვ. ასეთია სამეურნეო ურთიერთობის საერთო პერსპექტივები და საერთო კონტურები.

სიძნელენი. პარტიამ ბრწყინვალე გამარჯვებით მიიპოვა სიძნელეების გადალახვის საქმეში. შეიძლება, ხუთწლიანი გეგმის დასაწყისში თვითონ ჩვენ არ გვქონდა საკმაო სისრულით წარმოდგენილი ყველა სიძნელენი მთელი თავის მოცულობით. მაგრამ ახლა ჩვენ სრული რწმენით, სრული იმედით, საქმის მტკიცე **ცოდნით** უნდა ვსთქვათ, რომ არ არის ისეთი სიძნელე, რომელიც გადალახვა პარტიას არ შეეძლოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიძნელენი უფრო მეტი მასშტაბს აღმოჩნდენ, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით, ჩვენ მათ ვძლევთ უდიდეს წარმატებით.

რა მთავარი სიძნელეები იყო და ნაწილობრივ ახლაც სდგას ჩვენს წინაშე? პირველ ყოვლისა **დასაწყისი ბაზის ჩამორჩენილობა,** მეორე, ის, რომ ამ დასაწყისი ბაზის ჩამორჩენილობის გამო, ჩვეულებრივად უნდა დაგვეძლია ის, რასაც უფრო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებს აკეთებს კაპიტალიზმი და, რამაც ჩვენ დაგვაკისრა ცალკე გაცილებით მეტი სიძნელენი, აქედან წარმოსდგება **საერთო-სამეურნეო მაშასადამე წარმოებული დაგროვების უფრო მაღალი პროცენტი,** რაც საბოლოო ანგარიშით წარმოადგენს ჩვენი შინაგანი ეკონომიური სიძნელეების საფუძველს.

შემდეგ, **ეკონომიური ნახევრად ბლოკადა,** არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ უკანასკნელ წლებში, ხუთწლიანი გეგმის განხორციელების წლებში, ვიმყოფებოდით ეკონომიური ნახევრად ბლოკადის მდგომარეობაში.

შემდეგ კრიზისის გავლენა, რის შესახებაც აქ თავის მოხსენებაში ლაპარაკობდა ამხ. მოლოტოვი; გარდა ამისა, **ხარჯები თავდაცვაზე** და, ბოლოს, **გაათკეცებული კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების მხრივ, რომლებიც წინააღმდეგობას გვიწევენ.** ამ სიძნელეების მიუხედავად ჩვენ შევქმენით ბაზა, და ეს სამრეწველო ბაზა, დიადი როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლების მხრივ, არის უდიდესი ბერკეტი სოფელზე ზეგავლენის მოხდენისათვის.

ჩვენში ერთ-ერთ უმთავრეს სიძნელეს წარმოადგენს — **ადამიანთა პრობლემა.** ყველაზე დიდი უბანი, ყველაზე დიდი გარღვევა ამ ადამიანთა პრობლემაში — გვაქვს სოფლის მეურნეობაში. აქედან გამომდინარეობს **მუშაკების სოფლად გადაყვანის** საკითხი, როგორც მასიური კამპანია, აქედან გამომდინარეობს **ძირითად წერტების,** კერძოდ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების **განმტკიცების** პრობლემა, რაზედაც აქ პლენუმი იქონიებს მსჯელობას და მოისმენს სპეციალურ მოხსენებას. ჩემის აზრით აქედან გამომდინარეობს კულტურულ ფრონტის გაძლიერების აუცილებლობა განსაზღვრული ოპერატიული ამოცანების დროს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუშვათ მხედველობიდან და რომელიც მოკლედ შეიძლება გამოიხატოს ასე: **კულაკის საბოლოოდ განადგურება.**

უახლოეს დროისათვის, უახლოეს წლისათვის ჩვენში დარგების მიხედვით უდიდეს პრობლემებს წარმოადგენენ **ლითონი, ქვანახშირი, ნავთი ტრანსპორტი, ფართო მოხმარების საგნები, სოფლის მეურნეობა და მომარაგების რეჟიმის კამპანიის გატარება მტკიცე ხელით.** რაც ქალაქებზე კი არ უნდა დარჩეს, არამედ სავსებით გატარდეს სახე უნდა მიიღოს ჩვენ სამეურნეო პრაქტიკაში.

ეხლა ნება მომეცით რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ჩვენს შინაპარტიულ მდგომარეობაზე, რომლის შესახებ საკითხი სპეციალურად დასმულია გაერთიანებულ პლენუმზე.

მე ვფიქრობ, რომ ალექსანდრე პეტრის ძე სმირნოვის დაჯგუფების შესახებ არც ერთ პარტიის წევრს არ შეიძლება ექნეს ორი აზრი: თუ ამგვარი დაჯგუფება აღმოჩენილია, ყოველ შემთხვევაში უნდა იქნას სრულიად, იგი განსაკუთრებით მკაცრად უნდა უარყოფილ იქნას და სასტიკად უნდა გაუწიოთ მას ანგარიში. ჩვენ ბრწყინვალე გამარჯვებას მოვიპოვეთ ხუთწლედის მშენებლობაში. ჩვენ შემდეგშიაც მოვიპოვებთ ასეთ გამარჯვებებს და ახალ გადაწყვეტით და მტკიცედ კვალით წინ მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველა სიძნელენი, მთელი რიგი ამ სიძნელეებისა უკვე მოხსნილია დღის წესრიგიდან: წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ მერყეობს. და ზოგჯერ ეს მერყეობა გამოხატულებას ჰპოვებს მუშათა კლასის ამა თუ იმ ნაწილში, რომელსაც აკლია პროლეტარული სიმტკიცე და რომელიც არ არის გამობრძმედილი ბრძოლებში. წვრილი მწარმოებლთა ზოგიერთი ფენები, მაშინაც კი, როცა ისინი ჩაბმული არიან კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ ფორმებში, ექცევიან კულაკობის გავლენის ქვეშ და ჩვენი მტრები აძრახებენ მათ წამოგებას ანკესზე, კულაკის ანკესზე, კულაკი, რომელიც ჯერ კიდევ საშიშარ ძალას წარმოადგენს, თუმცა ძირითადათ ჩვენ იგი უკვე გავანადგურეთ. კულაკი ჯერ კიდევ განაგრძობს წინააღმდეგობას, — ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ამას კიდევ ემატება საგარეო საფრთხე. მართალია, იგი ამჟამად ცოტა შენელდა. მაგრამ საერთაშორისო კონიუნქტურა ისეთია რომ ორიოდე კვირაში შეიძლება მოხდეს საფუძვლიანი გარდატეხა, საერთოდ, მთელი ბრძოლა ავიდა დიდ პრინციპიალურ სიმაღლეზე, გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე ეს იყო აქამდის. ვიდრე ეს იყო ჩვენი განვითარების გაცილებით ადრინდელ ფაზაში. ეს უნდა ითქვას აგრეთვე საერთაშორისო სიტუაციის თვალსაზრისით.

ამგვარად მთელი კონიუნქტურა ჯერ კიდევ შეიცავს საკმაოდ მწვავე საფრთხეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძირითადათ გავანადგურეთ კულაკობა. და სწორედ ამიტომ, პარტიაში შექმნილი რეჟიმი უნდა შეეფერებოდეს ეხლანდელ ეტაპს მისი ბრძოლით მისი უმძიმესი ამოცანებით მისი საფრთხეებით. თუ თავის დროზე მე ამ რეჟიმის წინააღმდეგ ვიბრძოდი პარტიის ისრებს, რომლებიც შემდეგ ისევ მე მომიხვდა, ეს დაკავშირებული იყო მემარჯვენე ოპორტუნისტულ, სრულიად არასწორ საერთო პოლიტიკურ გზასთან, რომლის შესახებ აქ ზედმეტი ილაპარაკის.

მაშასადამე, ჩვენ შეგვეძლია გავიმარჯვოთ მომავალში,—და უსათუოდ გავიმარჯვებთ,—თუ ჩვენი პარტია კიდევ უფრო შემჭიდროვდება, თუ ეს შემჭიდროება ისტორიულად შექმნილ ხელმძღვანელობის გარშემო იქნება კიდევ უფრო შეთანხმებული, კიდევ უფრო მაღალი ტიპის, ვიდრე ეს დღემდე იყო.

სხვადასხვა მწვავე ხასიათის ფორმულირებები — „უზარმაზარი რეჟიმი" და სხ., რამდენადაც იგი მიმართულია რეჟიმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით საზიანოა ეხლა, **რადგან ჩვენ ახლა ვიმყოფებით** და ჩვენ უნდა ვექნდეთ უსასტიკესი დისციპლინა. საშინაო და საგარეო მდგომარეობა ისეთია, რომ ეს რკინისებური დისციპლინა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შესუსტდეს. ჩვენ ჯერ კიდევ არ შევსულვართ ისეთ პერიოდში, როცა შეგვეძლოს ვსთქვათ, რომ ამოცანები სავსებით გადაწყვეტილია, რომ ყველა სიძნელენი გადალახულია, რომ ჩვენ ამიტომ შეგვიძლია მიუშვათ სადავეები, არა. ჩვენ ვართ ჯარისკაცები და მეომრები და ამის მიხედვით უნდა შევამჭიდროვოთ ძალები და განვამტკიცოთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის შინაგანი მექანიზმი. და თუ ამჟამად ვინმეს ბოლოიზმზე ვაწერთ: **„გაშლილი სოციალისტური შეტევა ბრძოლადა",** სავსებით ბუნებრივია, რომ რიგების ყოველნაირი დეზორგანიზაცია დაუშვებლად საზიანოა, ვინაიდან ეს არის საშიშარი რიგების დეზორგანიზაცია იერიშის მიტანის დროს. მხოლოდ როცა ამ დეზორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან ყველაზე უფრო მწვავე საკითხების, ე. ი. დეზორგანიზაცია შეაქვთ რიგებში იქ, სადაც ყველაზე უფრო უნდა გვქონდეს გამაგრებული ფრონტი ეს აძლიერებს საფრთხეს. ამ ამიტომ ასეთი დაჯგუფების წინააღმდეგ უნდა გავანადგუროთ, და არ უნდა შეგვაკავოს არავითარმა სენტიმენტალურმა მოსაზრებამ წარსულის პირადი მეგობრობის და კავშირის შესახებ, ადამიანისადმი პატივისცემის შესახებ და სხვ. და სხვ. ყოველივე ეს სრულიად აბსტრაქტული ფორმულირებებია, რომლებიც არ ვარგა მტრის სიმაგრეებზე იერიშის მიტანის არმიის ინტერესების თვალსაზრისით.

მე, ამხანაგებო გულწრფელად და გადაჭრით უნდა ვსთქვა, რომ ჩემს პირად, პერსონალურ პასუხისმგებლობას პარტიის წინაშე არ ვიხსნი, არ მსურს დავიმალო [illegible] და არც დავიმალავ, რომ ამან [illegible] გავუკეთებთ ჩვენი უთანხმოების დასაწყისს, რომლებმაც გამოიწვიეს უდიდესი შინაპარტიული ამბები და ვილაპარაკებ დანაშაულის სიმძიმეზე, ჩემი დანაშაული პარტიის მისი ხელმძღვანელობის, ცენტრალური კომიტეტის, მუშათა კლასის და ქვეყნის წინაშე უფრო მძიმეა, ვიდრე რომელიმე ჩემი ყოფილი თანამოაზრე ამხანაგის დანაშაული, ვინაიდან მე ვიყავი საგრძნობლად მეტად რიგ ფორმულირებათა იდეური მომწოდებელი, რომლებიდაც თანდათანობით შემდეგ გარკვეული მემარჯვენე ოპორტუნისტული კონცეპცია. ამ პასუხისმგებლობას ამხანაგებო, მე არ ვიხსნი. [illegible] და ჩემი ახალი დროის წარსულიდან რომლის [illegible] ჩემთვის სრულიად არ არის საპატიო, მაგრამ, ამხანაგებო, — ამ ერთხელ კიდევ უნდა მოვიგონო, — ამ წარსულიდან მე უნდა გამოვიტანო და გამოვიტანე [illegible] ჩემი პირადი პოზიცია უკანასკნელ 2 წ. — 3 წლის მანძილზე მდგომარეობდა იმაში რომ მე მთლიანად ჩემი ძალღონით ვცდილობდი **პრაქტიკულად** მიჩვენება და დამტკიცება ყოფილი ჩემი გამოსვლებში ([illegible] ინჟინერების, მოსკოვის და [illegible] წინაშე) საერთო პარტიული ხაზის სისწორე იმ მუშაობის თვალსაზრისით რომელზედაც გამაზვინა პარტიამ. ამჟამად საკითხი სდგას პირდაპირ: პარტიის მხარეზე, თუ პარტიის წინააღმდეგ და არავითარი შუათანა პოზიცია არ შეიძლება. პარტია ატარებს სწორ ხაზს. პარტია გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს. პარტია სდგება ახალი სიძნელეების წინაშე, რომ ისინი დასძლიოს ბრძოლით, მას იერიში მიაქვს კაპიტალიზმის უკანასკნელ ნაშთებზე; პარტია აშენებს სოციალიზმს, და აშენებს მას; და ამჟამად თვითეული ჩვენგანი უნდა იყოს ამ მოიერიშე არმიის ჯარისკაცი.

მე ვფიქრობ, რომ ჩემმა ყოფილმა თანამებრძოლებმა მემარჯვენე ოპოზიციის ხელმძღვანელობაში, ამხ. **ტომსკიმ** და **რიკოვმა** დამატებით დაუშვეს უდიდესი და უმძიმესი პოლიტიკური შეცდომა, რომელიც თვითონ მათ აღიარეს, ეს შეცდომა დაუშვეს იმით, რომ მათ საკმაოდ ენერგიულად არ გამოიყენეს ის დრო, რომელიც მათ ჰქონდათ, რომ ამ პლენუმზე გამოსულიყვნენ უკვე თავიანთი ენერგიული მუშაობის გარკვეული აქტივით გადახრებთან ბრძოლის, პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის ბრძოლის საქმეში. ამიტომ მე ვფიქრობ რომ მათ მომავალში თავიანთი მუშაობით, საქმით, არა ფორმალურ განცხადებათა თვალსაზრისით არამედ სწორედ საქმით, სისტემატიური მუშაობით უნდა ცხადყონ, რომ ისინი იმსახურებენ პარტიის ნდობას. მე პირადად გამოვსთქვამ რწმენას, რომ ისინი დაიბრუნებენ ამ ნდობას, მაგრამ ეს არის შემოწმება და გამოცდა რომელიც პარტიამ უნდა დაუყენოს მათ და რომელსაც პარტია სავსებით სამართლიანად აყენებს მათ წინაშე.

აი როგორ არის საქმის ვითარება ამ საკითხში. ჩვენ შემდეგში უნდა გავაწყოთ წინ მწყობრი ლაშქარით, მებრძოლი ლაშქარით და ბოლშევიკური ულმობელობით მოვსპოთ ყოველგვარი მერყეობა, ალაგვეთოთ ყოველგვარი დაჯგუფება რომელიც გამოხატავს მერყეობას ჩვენი ქვეყნის შიგნით, ვინაიდან ჩვენი პარტია არის ერთი და ერთად-ერთი, ხოლო მისი სხვადასხვა ფენები გამოხატავენ დიდ სოციალურ-ეკონომიურ პროცესებს ჩვენს ქვეყანაში, უდიდეს ისტორიულ ძვრებს, კლასთა ბრძოლის დიდ პროცესებს. და რადგან ყველივე ეს კონცენტრირებული სახით რამდენადმე გადადგილდება ჩვენი პარტიის ლაბორატორიაში, ამიტომ წინასწარ უნდა გავუწიოთ ანგარიში იმას რომ პარტიაში, როგორადაც ეს სამწუხარო არ არის, წარმოიშობიან ასეთი დაჯგუფებანი, შეიძლება წარმოიშვან კიდევ უფრო უარესი დაჯგუფებანი!

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს რომ პარტიის ხელმძღვანელობისაგან უნდა გამომდინარეობდეს **სიცხადის** მხოლოდ სწორი ლოზუნგები, ხოლო პარტიის ჯარისკაცებისაგან მოვითხოვთ იმ ხაზის ერთგულად, თავდადებულად, ენერგიულად და ენტუზიაზმით დაცვას, რომელიც დასახა პარტიამ და რომელსაც ჩვენი ცენტრალური კომიტეტი რკინისებური ხელმძღვანელობით ატარებს იგი ცხოვრებაში. „ამით გამარჯვებ". ამ დროშით უნდა გავსწიოთ წინ.

ოპოზიციის ყოფილი ლიდერებისათვის და პირადად ჩემთვის, ჩემი ღრმა რწმენით, არ შეიძლება არსებობდეს სხვა რაიმე პრინციპი გარდა ერთი პრინციპისა —გვექნეს უფლება მთელი მუშაობით, არა განცხადებებით, არამედ სწორედ მთელი მუშაობით მივსდიოთ ფეხდაფეხ მთელ პარტიას და დაუმტკიცოთ ამ პარტიას ერთგულება ყოველი ჩვენი ნაბიჯით ჩვენი პრაქტიკული მუშაობის ყოველ უბანზე. სავსებით მართალია, რომ სიტყვებს ამჟამად ჰქონდა მნიშვნელობა. ახლა მთავარია „შესრულების შემოწმება" ხოლო ეს შემოწმება არის შემოწმება საქმით, შემოწმება პრაქტ. მუშაობით. ამჟამად არ შეიძლება ორი პასუხი ერთ კითხვაზე: ჩვენი პარტიის ისტორიულად შექმნილი ხელმძღვანელობა ამხ. **სტალინის,** ამ ენერგიული, რკინისებური ფიგურის მეთაურობით, სავსებით მოიპოვა მთელი შემდგომი პროცესის ხელმძღვანელობის უფლება; ეს არის მონოლიტური, შემჭიდროებული და შეკავშირებული ხელმძღვანელობა. **და ამ ხელმძღვანელობის გარშემო ჩვენ გავსწევთ წინ, როგორც მებრძოლები, როგორც თანამებრძოლები, როგორც კომუნიზმის სახელოვანი რკინისებური რაზმის ჯარისკაცები.**

ჩვენ, ამხანაგებო, შევდივართ ახალ პერიოდში, ჩვენ ამ ახალ პერიოდში უნდა შევიდეთ **როგორც მებრძოლნი:** არა შესვენება არამედ ბრძოლის გაგრძელება. ჩვენ მაღლა ვსწევთ ამ ბრძოლის ხარისხს, ჩვენ მაღლა ვსწევთ ამ ბრძოლის ინტენსიურობას ბრძოლის, რომელიც არის შეტევითი ბრძოლა მთელ ფრონტზე. ჩვენ ამ უახლოეს ეტაპზე უნდა გამოვიჩინოთ კლასობრივი სიფხიზლე, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რაც [illegible] რომ შექმნილია ჩვენი სოფლის მეურნეობის ისეთი მბრძანებელი მაღლობების დარგში როგორიცაა ჩვენი სატრაქტორო სადგურები. ჩვენ რკინის ხელით უნდა ჩავახშოთ გადახრები ჩვენს პარტიაში და უნდა წავიდეთ ისეთი გზით, რომ ჩვენი პარტია გაიზარდოს, გახდეს უფრო მონოლიტური, აღიმაღლოს შეტევის კიდევ უფრო მეტი ძალით, კიდევ უფრო მეტი ინერციით, კიდევ უფრო მეტი დარაზმულობით და ერთსულოვნებით.

რისთვის იქნა გადასახლებული პოლტავსკის სტანიცა ჩრდილოეთ კავკასიიდან

23 დღე შავ დაფაზე

პოლტავსკის სტანიცა (სლავიანსკის რაიონი) 23 დღის განმავლობაში არ მოშორებია შავ დაფას. ვადა სრულიად საკმარისი იყო იმისათვის რომ პარტიული ორგანიზაციას დაკვრითი მუშაობით, თავის გარშემო საკოლმეურნეო აქტივის და პატიოსან მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეების შემოკრებით გაერღვია კულაკობის მიერ მოწყობილ კონტრრევოლიუციური საბოტაჟის კედელი.

მაგრამ დრო მიდიოდა, ხოლო პოლტავსკის სტანიცა კი სულ უფრო და უფრო იხლართებოდა კულაკურ ქსელში. 3.868 ტონა მარცვალი უნდა ჩაებარებიათ პოლტაველებს სახელმწიფოსათვის. პირველ იანვრისათვის სტანიცამ შეასრულა გეგმის 10 პროცენტი.

პურის დამზადების ასეთივე ტემპები გრძელდებოდა 15 დეკემბრამდე. სამხარეო კომიტეტის მიერ სტანიცის გადასახლების შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტისათვის ჩაბარებული იყო წლიური გეგმის 25 პროცენტი. კოლმეურნეებმა ჩააბარეს 36 პროცენტი ერთპიროვნულმა მეურნეებმა — 16 პროცენტი, მტკიცე დავალების მქონეებმა — 13 პროცენტი. თესვის გეგმა შესრულებულ იქნა 40 პროცენტით, ხვნის გეგმა — 11 პროცენტით.

კულაკური კონტრრევოლიუციური ელემენტები რომლებიც სარგებლობდნენ კომუნისტების კლასობრივი სიფხიზლის უქონლობით, განაგრძობდნენ საბოტაჟის მეთაურობას, იპარავდენ და მალავდენ საკოლმეურნეო მოსავალს.

ყველა ამან აიძულა პარტიის სამხარეო კომიტეტი გადაესახლებია სტანიცის ყველა მცხოვრებლები ჩრდილოეთკავკასიის მხარის ფარგლებიდან. გარდა იმ პირებისა, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი სამოქალაქო ომში და კულაკობასთან ბრძოლაში. საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის იგივე გადაწყვეტილება წინასწარ ხსნის პოლტავსკის სტანიცის, ფრონზეს სახელობის კომუნის დატოვების საკითხს—ხოლო პარტიული ორგანიზაცია დაშლილია.

სტანიცის კონტრრევოლიუციური წარსული

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ თუ რისთვის უწევდენ პოლტაველები საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს, საჭიროა ჩავიხედოთ მის წარსულში.

პოლტავსკის სტანიცა იყო ყუბანის კონტრრევოლიუციური რადის ციტადელი, რომელიც ოცნებობდა დამოუკიდებელ „თავისუფალ" კაზაკურ (იგულისხმე-კულაკურ) რესპუბლიკაზე. მაგრამ სტანიცის ფარგლებში იყვნენ რევოლიუციური ელემენტებიც. რომელთა დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ სხვა ქალაქებიდან მოსული ღარიბი მეურნეები, 1918 წლის თებერვალს სტანიცაში ეწყობა წითელგვარდიელთა პირველი როტა 800 კაცის შემადგენლობით, აქედან კაზაკი იყო სულ 5 კაცი, დანარჩენები კი იყვნენ სხვა ქალაქებიდან მოსულები. იმავე თვეში ეწყობა რევოლიუციური კომიტეტი.

1918 წელს სტანიცა პოლტავსკაიაში სხვა ქალაქებიდან მოსულთა რევოლიუციური ნაწილი აწყობს საბჭოს, რომელსაც სასტიკად ანადგურებენ კულაკობა, ოფიცრები და მათი მდამქაშები. სტანიცა დაიფარა სახრჩობელებით. ხანძარმა გაანათა მისი მიდამოები, სხვა ქალაქებიდან მოსულთა დახვრეტას, ძარცვას და მკვლელობას პირადად ხელმძღვანელობდა სტანიცის ატამანი ომელჩენკო.

1920 წელს პოლტავსკაიას სტანიცა დაიკავეს წითელმა ნაწილებმა მოეწყო საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯებისთანავე სტანიცის უმრავლესობა გადაიქცა (ისე, როგორც წინათ) კონტრრევოლიუციის და საბოტაჟის კერად. 1924 წლის დამლევამდე სტანიცა წარმოადგენდა პოლიტიკური ბანდების მიმწოდებელ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ თეთრგვარდიელთა შეთქმულების ცენტრს. მის მიდამოებში თავს იფარავდნენ მილკო—კავალევსკის, დოროშენკოს, კოზითლის კუბრაკის და რიაბოკონის ბანდები. ბანდიტები თავს ესხმოდნენ სტანიცას, კლავდნენ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს პარტიზანებს. რევოლიუციურად განწყობილ მშრომელ ყაზახებს. პოლტაველებს სისტემატიური კავშირი ჰქონდათ ბანდიტებთან და აწვდიდნენ მათ იარაღს და ცოცხალ ძალას.

1920 წლის დამლევს პოლტავსკის სტანიცაში აღმოჩენილ იქნა პირველი კონტრრევოლიუციური შეთქმულება სტეპკა-ტერენტის მეთაურობით. „ოფიციალური" სიის მიხედვით შეთქმულებაში მონაწილეობას ღებულობდა 86 კაცი. ნამდვილად კი — გაცილებით უფრო მეტი. შეთქმულებს კავშირი ჰქონდათ ბანდებთან და მიზნად ისახავდენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

1921 წლის სექტემბერს სტანიცაში აღმოჩენილ იქნა მეორე შეთქმულება, რომლის მონაწილეთა რიცხვი უდრიდა 105 კაცს. შეთქმულებს ხელმძღვანელობდა სერგეი ბრეინი და გრიგოლ დუბინი. ამ კონტრრევოლიუციური ჯგუფიდან ამ უკანასკნელ დრომდე რაღაც წაირად გადარჩენ გრიგოლ დიაჩენკო და ვასილი ზავგოროდსკი რომლებიც გაძვრენ სტანიცის საბჭოს წევრებად.

მესამე კულაკური შეთქმულება აღმოჩენილ იქნა 1922 წელს. შეთქმულებას ხელმძღვანელობდა იგნატი ჩერნი. ჩერნიას ძმა — აქსენტი, მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო პარტიის წევრი და ამასთან კავშირი ქონდა შეთქმულებასთან. „მშრალად გამოვიდა" წყლიდან და დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის რიგებში.

1923 წელს სტანიცაში აღმოჩენილ იქნა დიდი კონტრრევოლიუციური ორგანიზაცია, რომელმაც შესძლო ჩაეტარებია დიდი მუშაობა აჯანყების მოსაწყობად. ამ თეთრბანდიტური შეთქმულების მეთაურები იყვნენ პეტრე ნუდგა, გრიგოლ სოლოპი მიხეილ პოდგირნი და მისი ძმა დოროთე.

1924 წელს სტანიცაში ლიკვიდირებულ იქნა თეთრბანდიტთა ჯგუფი, რომელსაც კავშირი ჰქონდა სლავიანსკის რაიონში ცნობილ თავდასხმის და ძარცვის ხელმძღვანელ რიაბოკონთან.

აშკარა შეიარაღებული ბრძოლა საბჭოების წინააღმდეგ პროლეტარული რევოლიუციის პირველ წლებში — კოლმეურნეობების აფეთქება შიგნიდან, კონტრრევოლიუციური საბოტაჟი პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელს — ასეთია პოლტავსკის სტანიცის — საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური ცენტრის — მცხოვრებთა უმრავლესობის გზა, როგორც წარსულში, ისე აწმყოში.

მტრები პარტბილეთით

იბადება კითხვა: სად იყო სტანიცის პარტიული ორგანიზაცია? რას აკეთებდა იგი იმისათვის, რომ დაეძლია კონტრრევოლიუციური სტანიცის საბოტაჟი?

პოლტავსკაიაში არ ყოფილა მტკიცე, ფხიზელი პარტორგანიზაცია. პარტიული ორგანიზაციის უმრავლესობამ უღალატა პარტიის საქმეს და იგი გადავიდა კლასობრივი მტრის ბანაკში.

და სწორედ იმის მეოხებით რომ პოლტაველი კომუნისტების უმრავლესობამ პირდაპირ უღალატა პარტიის საქმეს, სტანიცის კულაკობამ შესძლო მოეწყო პურის დამზადების, შემოდგომის თესვის და მზრალად ხვნის საბოტაჟი.

ვინ ხელმძღვანელობდა პარტიულ ორგანიზაციას? **სილჩენკო** — არა მარტო პოლიტიკური არამზადა და აშკარა გადაგვარებული ელემენტი. არამედ გაიძვერა, რომელიც უშუალოდ იპარავდა პურს საკოლმეურნეო ბეღლებიდან, რომელმაც აავსო თავისი ბინის საკუჭნაოები რამდენიმე ცენტნერი თაფლით, ფქვილით და სიამოვნებით აძლევდა თავის მეგობრებს საკოლმეურნეო პურს. სასამართლოშიაც კი, რომლის გადაწყვეტილებითაც სილჩენკოს მიესაჯა დახვრეტა, იგი ცდილობდა მოიჩვენებია თავი უცოდველ კრავად, რომელიც, ვითომდა, მუდამ იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზისათვის.

მაგრამ სილჩენკო — ეს მხოლოდ ერთი მრავალთაგანია მან თავის გარშემო შექმნა ისეთი პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო აქტივი, როგორიც სჭირდებოდა მას თავისი მოღალატური მუშაობისათვის.

ვინ არიან ისინი, ეს აქტივისტები?

სტანიცის საბჭოს თავმჯდომარე ჩერტაკი. კლასობრივი მტრის აშკარა აგენტი, თვალის ამხვევი, თავის თავის მომმარაგებელი რომელსაც სასამართლომ მიუსაჯა 10 წლით პატიმრობა.

ვლადიმერ რასოხინი — „518"-ის სახელობის კოლმეურნეობის უჯრედის მდივანი. მან უარი განაცხადა ბრძოლაზე პურის დამზადების გეგმის შესრულებისათვის და, ბოლოს და ბოლოს, გაიქცა სტანიციდან.

ივანე ჩაუსოვი — „518"-ის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. პარტიის საქმის მოღალატე, რომელიც ეწეოდა პურის დამზადების საბოტაჟს და მეტს ფიქრობდა თავისი თავის მომარაგებაზე. მიესაჯა 10 წლით პატიმრობა.

კ. პ. შკირია — „518"-ის სახელობის კოლმეურნეობის უჯრედის წევრი, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, რომელმაც გარს შემოიკრიბა თეთრგვარდიელები და ანტისაბჭოთა ელემენტები. მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ — მოანგარიშე ხარიაგა, კულაკის შვილი; მემინდვრე პადგორნი — სტანიცა პოლტავსკაიას დახვრეტილი ატამანის ძმა; კოლმეურნეობის მდივანი და მოლარე შკილი — თეთრი ბანდიტი და სხვები მათი მსგავსნი.

ამ ჯგუფმა შკირიას მეთაურობით დაანგრია კოლმეურნეობა, იგი ეწეოდა აგიტაციას სამუშაოზე გამოუსვლელობის სასარგებლოდ. ამის შედეგად მინდვრები გაივსო სარეველა ბალახით და ნათესი ფართობის უმეტესობა დაიღუპა.

ივანე ბლუშჩენკო — კომუნა „მე-11 ოქტომბრის" თავმჯდომარე. სილჩენკოს სანდო დასაყრდენი და მისი მეგობარი. ბაპტისტების ყოფილი ხუცესი. საბოტაჟის ორგანიზატორი.

ელისაბედ ტიშენკო — კომუნა „მე-11 ოქტომბრის" უჯრედის მდივანი რომელიც როსტოვის უმაღლეს საბჭოთა-[illegible] მიერ გამოგზავნილი იყო პრაქტიკაზე, ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ნაცვლად, იგი დაადგა პარტიის ღალატის გზას და ყველაფერში მხარს უჭერდა ბლუშჩენკოს გაიძვერულ საქმიანობას.— როცა ტიშენკო დადიოდა ბრიგადებში კო-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

კომუნისტი

პარასკევი, 20 იანვარი 1933 წ. № 17 (3573)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნის თავმჯდომარესთან ერთად, ეწეოდა თვითმომარაგებას.

აქედან, ეგრედწოდებულ აქტივთან ღალატის ძაფი მიდიოდა უფრო შორს პარტიული ორგანიზაციის უმრავლესობის შიგნით, რომელშიაც ირიცხებოდა 180 კაცი, აქედან 124 კაცი უშუალოდ მუშაობდა საკოლმეურნეო უჯრედებში.

აი ისინი, რომლებსაც ჰქონდათ პარტბილეთები, მაგრამ არცხვენდენ ბოლშევიკების ლენინური პარტიის წევრების დიად სახელწოდებას.

ს. ა. რეზნიჩენკო — „1040"-ის სახელობის კოლმეურნეობის უჯრედის წევრი ერთპიროვნული მეურნე. წარმოიდგინეთ, სტანიცა პოლტავსკაიაში პარტიის წევრები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ერთპიროვნულ მეურნეებად აშკარაა, რომ რეზნიჩენკო კოლმეურნეობებისათვის ბრძოლის ნაცვლად, გადაიქცა კულაკობის ჯაშუშად პარტიის რიგებში. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ პოლტავსკაიაში მეურნეთა ორ მესამედს შეადგენდნენ ერთპიროვნული მეურნეები.

ე. პ. შკურინა — „მეორე ხუთწლედი"-ს სახელობის უჯრედის წევრი. 1919 წელს მსახურებდა თეთრ არმიაში. 1930 წელს სათავეში ედგა ჩამორჩენილ ქალთა ნაწილის კულაკურ მოძრაობას კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. წარმოებაში არ იცავდა დისციპლინას და მუდამ წარმოადგენდა გაცდენის და ჩამორჩენილი განწყობილებათა წყაროს. ყოველმხრივ ეწეოდა პურის დამზადების საბოტაჟს და აშკარად აცხადებდა რომ „პური არ არის".

პ. ი. ნესანოვი — „მეორე ხუთწლედის" სახელობის კოლმეურნეობის უჯრედის წევრი. მემინდვრეობის მესამე ბრიგადის ხელმძღვანელად ყოფნის დროს დააქვეითა მეურნეობა, არ იბრძოდა პურის განიავების წინააღმდეგ, შეეზარდა კულაკობას. როცა გაიგო პარტიის წმენდის ამბავი გაიქცა სტანიციდან.

დ. ი. შკურატოვი — „518"-ის სახელობის კოლმეურნეობის უჯრედის წევრი. ქაოტურ მდგომარეობაში მოიყვანა გალეწვის აღრიცხვის საქმე, იცოდა რა მარცვლეულის მტაცებლობის შემთხვევები — სდუმდა, ფარავდა ქურდებს და ამგვარად, დაუთესავი დასტოვა კოლმეურნეობის მინდვრები.

ეს მაგალითები — მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმ მასალის, რომელიც მოიპოვება სტანიცა პოლტავსკაიას კომუნისტების „მუშაობის" შესახებ. მაგრამ აქ მოყვანილიც სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ პარტიული ორგანიზაციის ნამდვილი სახე, რომლის უმრავლესობასაც აშკარად არ შესწევდა პარტიის გადაწყვეტილებათათვის ბრძოლის უნარი.

სტანიცის კულაკური საბჭო

პოლტავსკის სტანიცის საბჭოც, ისე როგორც პარტორგანიზაციის უმრავლესობა, გადავიდა კლასობრივი მტრის მხარეზე და ფაქტიურად ეწეოდა პურის დამზადების და თესვის საბოტაჟს, რომელიც მოწყობილი იყო კულაკების მიერ. სტანიცაში არსებითად არ იყო საბჭოთა ხელისუფლება. საბჭო იმყოფებოდა პარტიის მოღალატეების და გადაგვარებული ელემენტების ხელში, რომლებმაც თავიანთ გარშემო შემოიკრიბეს სისხლის სამართლის ბანდები, სოციალისტური საკუთრების ქურდები, თეთრგვარდიელები და კულაკები.

ვინ უდგას სათავეში სტანიცის საბჭოს? **ჩერტაკი** — კულაკობის ორგანიზატორი პარტიის ინტერესების მოღალატე ყველაზე უფრო საშიში მტერი, რომელიც ჯიბეში ატარებდა პარტბილეთს.

ამისათვის ჩერტაკმა შეაკოწიწა შესაფერი აპარატი. აი, სტანიცის საბჭოს იმ წევრთა არა სრული ნაწილი, რომლებთანაც მოქმედებდა თვით თავმჯდომარე. დ. ს. ბიჩკოვა (კულაკი, ყველა მისი ნათესავები გადასახლებული არიან, ქონდა მათთან კავშირი), ნოხანი (სტანიცის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, თეთრგვარდიელი აწარმოებდა მიწერ-მოწერას გადასახლებულ ნათესავებთან), ა. ა. იუხნო (კულაკი, რომელიც გადასახლებულია, ისე როგორც ყველა მისი ნათესავები), გიკერია (პარტიის მოღალატე გაიძვერა, ლითი მიესაჯა დახვრეტა), პოდგორნი (თეთრგვარდიელი, სტანიცა პოლტავსკაიას დახვრეტილი ატამანის ძმა) სტეფი (ქურდი, ბანდიტი, რომელსაც მიესაჯა დახვრეტა), ტიტოვი თედორე (სტანიცის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრი, რომელსაც მიესაჯა დახვრეტა 1.000 ფუთი ხიმინდი გადასახადის განიავებისათვის), იაკობ მატუხა (სარევიზიო კომისიის წევრი, ერთპიროვნული მეურნე, საბოტაჟის ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც უარი განაცხადა თესვაზე და პურის დამზადების გეგმის შესრულებაზე), რაბოტენკო (სტანიცის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ქურდი, თვითმომმარაგებელი, გასამართლებამდე მიიმალა სტანიციდან).

საბჭოს წევრები ოსტატურად ასრულებდენ ჩვენი მოსისხლე მტრების სურვილს. ისინი იტაცებდენ საკოლმეურნეო პურის მარცვალს, მალავდენ მას ორმოებში, ხოლო თვითონ კი ყოველგზაჯვარედინზე გაჰკიოდენ რომ „შიმშილობენ", რომ „არ არის პური", რომ „ვერ შევასრულებთ პურის დამზადების გეგმას"-ო. საბჭოს წევრმა ალექსანდრე შულიაკმა დამალა ორმოში მოპარული პური —2 ნახევარი ფუთი ხორბალი, 12 ფუთი სიმინდი, 2 ფუთი ქერი, 12 ფუთი კარტოფილი, ლობიო და სხვა კულტურები. საბჭოს წევრმა მიროშნიკმა უარი განაცხადა პურის დამზადების გეგმის შესრულებაზე და მხოლოდ სათანადო ზეგავლენის ზომების შემდეგ ჩააბარა 1,5 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 8,5 ცენტნერისა. და როცა ეს „საბჭოს მუშაკი" კარგად გასინჯეს, მას ორმოებში უპოვეს 25 ფუთი ხორბალი, სიმინდი, ჭვავი და სხვ.

ხოლო კულაკი? როგორ ასრულებდა იგი მტკიცე დავალებებს? მტერს ოდნავადაც არ აწუხებდა თავისი ბედი. მან იცოდა, რომ ჩერტაკი მას არ შეავიწროვებს. საერთო დავალებიდან, რაც შეადგენდა 150 ტონას, კულაკურმა მეურნეობებმა ელევატორზე გაიტანეს 275 ცენტნერი. კულაკებს შემოდგომაზე არ დაუთესიათ არც ერთი ჰექტარი. მათ არ ჰქონდათ მიცემული მტკიცე დავალება ხორცის დამზადების დარგში. კიდევ მეტი, 150 კულაკური მეურნეობა უკანასკნელ დრომდე არსად არ ითვლებოდა. სტანიცის საბჭოს სიებში, ისინი არ იყვნენ დაბეგრილი და ეწეოდენ პარაზიტულ ცხოვრებას.

პარტიის უაღრესად ბასრი მახვილი კულაკების და მოღალატეების ხელში

პასუხისმგებლობა ამ პოლიტიკური მარცხისათვის ეკისრება აგრეთვე ძირეულ პრესასაც. კოლმეურნეობებში შემძვრალ კლასობრივ მტერს კარგად ესმოდა, რომ პრესა ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მახვილი და ყველაზე უფრო ძლიერი იარაღია, (სტალინი), მას მშვენივრად ქონდა შეგნებული ამ იარაღის როლი კლასობრივ ბრძოლაში, იგი მიძვრებოდა გლეხკორთა რიგებში, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებში და ცდილობდა გამოეტაცა ეს იარაღი ჩვენი ხელიდან.

მაგალითისთვის ავიღოთ „518"-ის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი: „უდარნიკ პოლია". „უდარნიკ პოლია"-ს საბოტაჟის დროს, რომელიც ასე მძლავრად გაიშალა ამ კოლმეურნეობაში, ნამდვილად, დაკვრითი წესით უნდა დაერაზმა კოლმეურნეთა მასები საბოტაჟის გასატეხად. ეს არ მომხდარა.

პოლიტიკური რაზარუხი მასების მობილიზაციის ნაცვლად, — აი რა ახასიათებს გაზეთს. სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, რომ საკოლმეურნეო გაზეთში არ არის არც ერთი სტრიქონი სამეურნეო პოლიტიკური კამპანიების და საბოტაჟის შესახებ.

რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ იმით, რომ ამ გაზეთს ხელმძღვანელობას უწევდა სხვა არავინ, თუ არა თვით სტანიცის პარტკოლექტივის მდივანი სილჩენკო, რომელსაც სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა

კულაკის ინტერესების ასეთივე გამომხატველი იყო კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედი"-სკედლის გაზეთის „ილიჩევკა". კოლმეურნეობაში დაუნებრად ეწეოდენ პურის დამზადების საბოტაჟს, გეგმით გათვალისწინებულ 2.720 ცენტნერის ნაცვლად, აქ შეგროვილი იქნა მხოლოდ 1.881 ცენტნერი. საშემოდგომო კულტურები დათესილია ერთმესამედ ფართობზე ნაკლები. მზრალად მოხნულია სულ 78 ჰექტარი. საკოლმეურნეო მოსავლის მტაცებლობამ მასიური ხასიათი მიიღო, ნოემბრის და დეკემბრის პირველ ნახევარში კოლმეურნეობის მოქმედების ფარგლებში აღმოჩენილ იქნა 20-ზე მეტი ორმო, რომლებშიაც დამარხული იყო 10.000 კილოგრამი მარცვალი.

და მიუხედავად ამისა „ილიჩევკა" სდუმდა. იგი სდუმდა კულაკობის მიერ მოწყობილ საბოტაჟის მარცვლეულის მტაცებლობის, საშემოდგომო თესვის და მოხვნის ჩაშლის დროს.

ვინ უწევდა ხელმძღვანელობას კედლის გაზეთს? იყო თუ არა სარედაქციო კოლეგია, აქტივი? არა. კედლის გაზეთის ფაქტიური „ბატონპატრონი" იყო ბრიგადირი და აღმრიცხველი ჟუკი, რომელსაც ეხლა ასახლებენ მხარის ფარგლებიდან.

მეტად დამახასიათებელია, რომ ორივე ამ გაზეთმა აიფარეს არაფრის ცოდნის ნიღაბი —კლასობრივი მტრის მუშაობის ეს მეთოდი, პარტიის შიგნით კულაკობის პოლიტიკური აგენტურის — მემარჯვენე ოპორტუნისტების—გაფთრებული წინააღმდეგობის ერთ-ერთი ფორმა.

მით უფრო გადაჭრით უნდა მოვკიდოთ ჩვენ ხელი ძირეული პრესის განმტკიცებას, ვინაიდან „ან ჩვენ ხელმძღვანელობას ვუწევთ გაზეთს და მაშინ იგი ასრულებს პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს, ან ჩვენ მას არ ვუწევთ ხელმძღვანელობას და მაშინ მას იყენებს კულაკი თავისი ინტერესებისათვის, ჩვენს წინააღმდეგ" („პრავდა").

პოლტავსკის სტანიცა მცხოვრებნი გადასახლებული არიან ჩრდილოეთ კავკასიის მხარის ფარგლებიდან. მათთან ერთად გადასახლებული არიან პარტიის მოღალატეები, ყოფილი „კომუნისტები"—საბოტაჟის მომწყობ კულაკობის პოლიტიკური ვექილები. მათთან ერთად გადასახლებული არიან დაშლილი სასოფლო საბჭოს ყველა წევრები, როგორც საბოტაჟის მონაწილეები, რომლებსაც ხელისუფლება სტანიცაში არსებითად გადასცეს კონტრრევოლუციურ კულაკობას. კუბანის მიწაზე ადგილი არა აქვს საბოტაჟის გამწევთ. ამ მიწაზე სტანიცაში დარჩენ მხოლოდ ისინი ვინც ნამდვილად დაამტკიცა თავისი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიისადმი სამოქალაქო ომში, კულაკობასთან ბრძოლაში. დარჩა აგრეთვე ფრუნზეს სახელობის კომუნა, სადაც პარტიული შემადგენლობა ძირითადად ჯანსაღია და უმთავრესად შესდგება წითელი პარტიზანებისაგან. გადასახლებულთა ადგილი დაიკავეს ჩრდილოეთ მხარეების კოლმეურნეებმა, ისინი მოვიდნენ შავნიადაგიან მიწაზე, რომელზედაც მათ შეეძლოთ მხოლოდ ოცნება. ისინი გადააქცევენ მას აბიბინებულ მინდვრებად სიყვარულით მოუვლიან თვითეულ თავთავს, პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე და პარტიის ხელმძღვანელობით ააშენებენ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას.

ნიკოლაი დურაჩი
ანატოლი დუბილერი
გაზეთი „რაბოჩი როსტოვ"-ი.

რუზველტის მთავრობის პოლიტიკა შორეულ-აღმოსავლეთის საკითხში

ვაშინგტონი, 18 იანვარი. „ასოშიეიტედ პრესი"-ს სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ ცნობას:

„ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები მტკიცედ იცავენ იაპონიის მიერ შორეულ აღმოსავლეთში ძალით მოპოვებულ უფლებების არცნობის პოლიტიკას. ეჭვი არ არის, რომ სტიმსონი მოქმედებს სრული შეთანხმებით მომავალ მთავრობასთან. ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ მომხდარი რუზველტის და სტიმსონის საუბარი ამასწინად დამთავრდა საბოლოო შეთანხმებით შორეულ-აღმოსავლეთის საკითხში. შეთანხმება განსაკუთრებით საჭიროა ეხლა, ვინაიდან ამის საშიშროება, რომ უცხოეთის სახელმწიფოები შეეცდებოდნენ გამოეყენებიათ ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც არსებობს ერთი მთავრობის შორეული შეცვლამდე. რესპუბლიკანური მთავრობის მთელი ინფორმაცია საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე გადაცემულია რუზველტის განკარგულებაში. უდავოა, რომ დღეიდან რა ნაბიჯებიც არ უნდა გადადგან ჰუვერმა და სტიმსონმა, ისინი ამას სჩადიან რუზველტის თანხმობით (ადს).

არაკი შეერთებული შტატების პოზიციის შესახებ მანჯურიის საკითხში

ტოკიო, 18 იანვარი. სამხედრო მინისტრი არაკი, გუშინ, გაზეთების წარმომადგენლებთან საუბრის დროს, შეეხო სტიმსონის პოლიტიკას. სტიმსონმა წინადადება მისცა ამერიკის დიპლომატებს საზღვარგარეთ მოეგონებიათ უცხოეთის მთავრობათათვის, რომ შეერთებული შტატები წინადადებურად ეწინააღმდეგებიან მანჯურიის სახელმწიფოს ცნობას, აგრეთვე განეცხადებიათ, რომ რუზველტი მხარს უჭერს სტიმსონის პოლიტიკას. არაკიმ ამის გამო აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მიექცეს შეერთებული შტატების პოზიციას მანჯურიის სახელმწიფოს ცნობის საკითხში, ვინაიდან შეერთებული შტატები არ არის ერთა ლიგის წევრები.

რაც შეეხება იაპონიას, არაკის აზრით, იგი სულ ერთია შესცვლის თავის პოლიტიკას მანჯურიის სახელმწიფოს ცნობის საკითხში. არაკი ფიქრობს, რომ იაპონია არ უნდა გამოვიდეს ლიგიდან იმ შემთხვევაშიაც კი, თუ უკანასკნელი გამოიტანს იაპონიისათვის მიუღებელ გადაწყვეტილებას. იაპონიამ უნდა იბრძოლოს ერთა ლიგის შიგნით, განუმარტოს ერთა ლიგის წევრებს, რომ ლიგა შეცდა ჩინეთის საკითხში და დაამტკიცოს, რომ მანჯურიის პრობლემის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ამ საკითხის იაპონიისათვის ვადაცემით (ადს).

იაპონიის პოლიტიკურ წრეებს იმედი გაუცრუვდათ

ტოკიო, 18 იანვარი. რუზველტის განცხადებამ „საერთაშორისო შეთანხმებათა სიწმინდის შესახებ" დიდათ გაუცრუვა იმედი იაპონიის წრეებს, რომლებიც მოელოდნენ ამერიკის პოლიტიკის შეცვლას მანჯურიის საკითხში", ან ყოველ შემთხვევაში „სტიმსონის არა რეალისტური და აკადემიური პოლიტიკის შერბილებას". მაინც როგორც პრესა, ისე ხელმძღვანელი წრეები, ჯერ ჯერობით თავს იკავებენ ოფიციალური კომენტარიებისაგან. საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც წინათ ამტკიცებდნენ რომ რუზველტის მიერ პრეზიდენტის მოვალეობის დაწყებას „მოჰყვება სტიმსონის ადვოკატური პოლიტიკის შეცვლა", დღეს აღნიშნავენ, რომ მათ რუზველტის განცხადებამდეც არ ქონდათ „ამერიკის პოლიტიკის არსებითად შეცვლის" იმედი (ადს).

გერმანიაში მოელიან რეიხსტაგის ახალ არჩევნებს

ბერლინი, 18 იანვარი. ნაციონალ-სოციალისტური პრესის ტონი, აგრეთვე ჰიტლერის გამომწვევი განცხადება ლიპეში არჩევნების დამთავრებისთანავე, მოწმობენ რეიხსტაგის ახალი არჩევნების შესაძლებლობაზე. პარლამენტის წრეებში უკვე ასახელებენ 26 იანვარს, როგორც რეიხსტაგის დათხოვნის დღეს და 19 თებერვალს, როგორც ახალი არჩევნების დანიშვნის დღეს. ფონშლეიხერის განზრახვაზე, რომ მოახდინოს მთავრობის რეორგანიზაცია ჯერ კიდევ რეიხსტაგის გადაწყვეტილებამდე, უკვე აღარ ლაპარაკობენ. როგორც ცნობილია, საკითხი იდგა მთავრობის გაფართოების შესახებ ჰუგენბერგის, შტეგერვალდის და გრეგორ შტრასერის მოწვევის გზით. მაგრამ ნაციონალისტებმა არჩევნების დროს ლიპეში სასტიკი დამარცხება განიცადეს, და ახლანდელი მომენტი ძალზე არახელსაყრელია ამ პარტიის თავმჯდომარის მთავრობაში შესვლისათვის. გარდა ამისა, ჰუგენბერგისა და შტეგერვალდის მოწვევის კომბინაცია ძალიან საეჭვო ხდება უკვე იმ პარტიულ წინააღმდეგობათა გამო, რაც ერთმანეთს აშორებს ამ ორ პოლიტიკურ მოღვაწეს. ეს წინააღმდეგობანი განსაკუთრებით გამწვავდა მიწაზე უმუშევრების დასახლების საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ეხლა შესძლეს აგრარიებმა, ჰინდენბურგის ჩარევის წყალობით, შეეჩერებიათ ახალ მოსავლამდე გაკოტრებულ მემამულეების მამულების გაყიდვა აუქციონით. მათ შესძლეს აგრეთვე გაევრცელებიათ ეს ღონისძიება, რომელიც დაწესებული იყო მხოლოდ აღმოსავლეთის პროვინციისათვის, მთელ გერმანიაზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბ. კომიტეტის კულტპროპგანყოფილება აქვეყნებს ლიტერატურის სიას, რომლებიც უნდა წაიკითხონ გამოყოფილმა მომხსენებლებმა, ლენინის გარდაცვალების 9 წლის თავისათვის.

სტალინი — ლენინის შესახებ — სახ. გამომცემლობა 1930 წელი.

ნ. კ. კრუპსკაია — მოგონებები ლენინის შესახებ—პარტგამომცემლობა 1932 წ.

მ. გორკი—ვ. ი. ლენინი—სახ. გამომცემლობა 1931 წელი.

მ. გორკი—მოგონებები—თხზულებები ტ. 20, სახ. გამომცემლობა 1928 წ.

ელ. სორინი—ვ. ი. ლენინი 1870—1924 წ. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. ლენინის 6 ტომიანი თხზულება ტომი პირველი

ვ. ლენინი—მარქსი-ენგელსი, მარქსიზმი, პარტგამომცემლობა 1932 წ.

სტალინი — ლენინიზმის საფუძვლების შესახებ, „ლენინიზმის საკითხები", გ. 5—75;

სტალინი — ლენინიზმის საკითხებისათვის („ლენინიზმის საკითხები", მე-9 გამოცემა, გვ. 191—237).

ადორატსკი—ლენინის თხზულებათა შესწავლის შესახებ — სახ. სოც. ეკ. გამომცემლობა 1931 წელი.

ვ. ადორატსკი—მარქსისტულ-ლენინური თეორიის მნიშვნელობის შესახებ — სახ. სოც. ეკ. გამომცემლობა 1931 წელი, გვ. 14.

ი. ბუბნოვი—ლენინიზმის შესახებ. მოხსენება სამგლოვიარო სხდომაზე ლენინის გარდაცვალების 8 წლის თავზე, გაერთიანებული სახ. გამომცემლობა 1932 წ., შემოკლებით გაზ. „პრავდა"-ში და „იზვესტია"-ში, 29 იანვარი 1932 წ. № 28.

პარტიის რიგების საბრძოლო შემოწმება, „პრავდა"-ს მოწინავე, 12 იანვარი 1932 წ., „ზარია ვოსტოკა" და „ტიფლისკი რაბოჩი", 14 დეკემბერი

მაღლა ავწიოთ ლენინური პარტიის დროშა—ბოლშევიკის მოწინავე 1922 წ., № 22, გვ. 1—9.

სტალინი—პირველი ხუთწლედის შედეგები—მოხსენება იანვრის პლენუმზე „პრავდა", „იზვესტია" 10 იანვარი, „ზარია ვოსტოკა", „ტიფლისკი რაბოჩი", 11 იანვარი.

მოლოტოვი—მეორე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანები—მოხსენება იანვრის პლენუმზე, „პრავდა", „იზვესტია" 12 იანვარი, „ზარია ვოსტოკა", „ტიფლისკი რაბოჩი". 14 იანვარი.

კუიბიშევი— სასოფლო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის ბრძოლის შედეგები — მოხსენება იანვრის პლენუმზე, „პრავდა". „იზვესტია" 13 იანვარი, „ზარია ვოსტოკა", „ტიფლისკი რაბოჩი", 15 და 16 იანვარი.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა მიზნები და ამოცანები — რეზოლუცია კაგანოვიჩის მოხსენების გარშემო. „პრავდა, „იზვესტია", 13 იანვარი, „ზ. ვოსტოკა", „ტიფლისკი რაბოჩი" 15 იანვარი.

პლენუმის რეზოლუცია სტალინის, მოლოტოვის კუიბიშევის მოხსენებათა გარშემო, „პრავდა", „იზვესტია", 13 იანვარი, „ზარია ვოსტოკა", ტიფლისკი რაბოჩი", 14 იანვარი.

—•—

— საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორჯონიკიძის სახ-ბის რაიკომის კულტპროპგანყოფილება წინადადებას იძლევა პარტსწავლების მორიგ დღეს 21 იანვარს მიმდინარე პოლიტიკა წრეებში დამუშავებულ იქნას ამხ. სტალინის მოხსენება იანვრის პლენუმზე ლენინის გარდაცვალების 9 წლის თავთან დაკავშირებით.

—•—

— სტალინის რაიონში ლენინის დღეების ჩასატარებლად მომხსენებლებად გამოყოფილი არიან შემდეგი ამხანაგები: ტრამვაი —ბირიუკოვი, რაზმაძე, მაუდის ფაბრ-ში— რაჩიშვილი, ყამბური, კალინინის სახელობის ქარხანაში—ბარსკი, მკერავი № 1—სარია, საკვებმრეწვი—კონტრიძე, თამბაქოს ფაბრიკა № 1—კიდაიში; თამბაქოს მეორე ფაბრიკა—ცხაკაია პირველი სტამბა—მდივანი მეორე სტამბა—ლაზარიევი მესამე სტამბა —დარჩიევი (საკვებმრეწვი), სტამბა „კომუნისტი"—სიხარულიძე, ხის ნაწარმი—ტორაძე, ფანერის ქარხანა—კუკულდავა, ლუდის ქარხანა—ჯანელიძე, საკონდიტრო ფაბრიკა—შუბლაძე, პურის ქარხანა—პლიევი (თბილისის კომიტეტი), გარაჟი № 2—ოგანეზოვი, ავტოსახელოსნოები—მაისურაძე, ლითონ-ნამზადრეწვი—ეროხინ (საკვებმრეწვი), წყალკანალტრესტი — თავდგირიძე, „დეზბაზა"—იოსავა, „ზვენო"—ქავთარაძე, „ზაგოტზერნო" — ზიბზიბაძე, არყის ქარხანა— შარიქაძე, (ქიმ. მუშფაკი), ლიმონათის ქარხანა—გუნთაიშვილი (კომ. უნივერსიტეტი). „ზაკცვეტმეტ" — ავთიანი, ა.-კ. ს.მ.ი.—მეძველია, ღვინის საწყობი— აბაშიძე, მთავარი ფოსტა—კამკამიძე, სადგურის ხიდი—რეხვიაშვილი, ხის მრეწველობა— ხირსელი, რაისაბჭო — გერმანოზაშვილი. სახლის მუშებთან — იონოვი, [illegible] სამმართველო—ბ. ბერია, წითელი ჯვარი—კახდელაკი, მთავარი საავადმყოფო — კორძახია, „გრუზგოსტორგი"—მ. ბედია, „ო.ზ.ვ."—დოლიძე, საქრძეწარმოებელი—რუხაძე, საკულტსაქონელი და საცალო კოოპერატიული—ცარევსკი, საქპურტრესტი—რობაქიძე, საქ. კოოპროდუქტი—ნაჭყებია, მაღაზია № 26 —ბოძაშვილი, პირველი და მეორე ჯგუფკომი—ისაკოვა, ა.-კ. მებრეშუმეობის ინსტიტუტი—კ. ელენტი, ტრაქტორცენტრის სახელოსნოები — დაის (კომკავშირის რაიკომი), თამბაქოს ტრესტი — გვასალია, საქ. თავდაცვა-ავიაქიმი — გორდელაძე, სამასწავლებლო—მარდალეიშვილი, რაიმილიცია—ძიძიგური, ზაჰესის ქვესადგური— სტალიარჩიკი, ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალების დახურული განმანაწილებელი—შურღაია (კომკავშირის რაიკომი), სოიუზტრანსის დახურული განმანაწილებელი — ჩხარტიშვილი, თბ. კოოპ.კვება—ნოვიკოვი, ბოეცი—სკამაროვსკი, საქსათბობი— ფირცხალაიშვილი, მელუა, არტელი მკერავი — კაკულია, საქ. კოოპტრანსი — დარჩია (ტრამვაი), სტალინის კლუბი — სუმაროკოვი, მასალა მომხსენებლებისათვის —საქ. კ.პ. (ბ) ცკ-ის და საქ. კომისიის იანვრის პლენუმი.

—•—

— **20 იანვარს 12 საათზე საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილებაში** ამხ. ჯაშთან (ოთახი № 3 შესდგება თათბირი სტალინის სახელობის კლუბის შესახებ. თათბირზე უნდა დაესწრონ: ამხ. ლენტი, ჩიჩავა (პროფსაბჭო), ქაცარავა, მაიროვი (თბილისის განათლების განყოფილება), მკელაშვილი (განათლების განყოფილება), იანოვი (ბინათკავშირი), მახარაძე, ოსკუზოვი (მანქანათმშენებლობის კავშირი), იორდანიძე (სასოფლო მრეწველობის კავშირი), წინამძღვარიშვილი (შოფერების კავშირი), ტევიანი, გაბისონია (წისქვილებში მომუშავეთა კავშირი), ქართველიშვილი (მკერავების კავშირი), მასწარადაშვილი (მედსანშრომა), გოდაბრელიძე (ქიმი მრეწველობა), უნგიაძე, გუნიატოვა, ფირცხალაშვილი (სტალინისახელობის რაიკომი), კირაკოზოვი-გოგუა ბუნიატოვა, ფირცხალაშვილი (სტალინის სახელობის რაისაბჭოს კომუნალური განყოფილების გამგე, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის წარმომადგენელი

—•—

— **დღეს 11 საათზე თბილისის კომიტეტის მდივან ამხ. აკოპოვთან** შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ: ამხ. სიხარულიძე (ლენრაიკომი), არეშიძე (ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი), ჯანჯღავა (26 სახელობის რაიკომი), ბუნიატოვა (სტალინის სახელობის რაიკომი), მექვაბიშვილი ლენრაიონის განათლების განყოფილება), მრელაშვილი (სტალინის განათლების განყოფილება), სიგუა (ორჯონიკიძის სახ. რაიონის განათლების განყოფილება) და ესაიანი („26"-ს სახელობის განათლების განყოფილება.

მზადება გაზაფხ. თესვისათვის

სარემონტო სახელოსნოებმა უნდა იმუშაონ სრული დატვირთვით

თესვისათვის მზადებას კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ

(ტყიბულის რაიონი)

ტყიბულის რაიონი დაგვიანებით შეუდგა საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას. კოლმეურნეობებში დღემდე კიდევ არ არის დაწყებული საწ. საკვ. გეგმების შედგენა და არ არის ფართოდ გაშლილი მოსამზადებელი მუშაობა ამ გეგმების შედგენისათვის.

თესვის გეგმების შედგენა უკვე დაწყებულია სოფლის საბჭოებში და კოლმეურნეობებში. მუშავდება აგრეთვე საკითხი გაზაფხულის თესვისათვის მზადების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტყიბულის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა თესლის შეგროვების გეგმა (110 პროცენტით) თესლის შეგროვების საქმეში **წინ** მიდიან: დღნორისის, ჯვარისის და ორპირის სასოფლო საბჭოები. სამარცხვინოთ **ჩამორჩენ**: გურნის, მუხურის და საწირის სასოფლო საბჭოები,

სახ. სამ. მანქანა-იარაღების შეკეთება დღემდე არ არის დაწყებული, რაიონის მიწგანს გათვალისწინებული აქვს ეს მუშაობა დაიწყოს 1 თებერვლიდან, რაც უსათუოდ დაგვიანებულად უნდა ჩაითვალოს.

გათვალისწინებულია თოვლის აღების შემდეგ სათესი ფართობის 60 პროცენტის წინასწარ გადახვნა. გარდა ამისა წელს ჩატარდება მწკრივათ თესვა 60 სათესი ფართობის 60 პროცენტზე.

ნიადაგის განაყოფიერების მიზნით უკვე გაიშალა მუშაობა. კოლმეურნეობებში სწარმოებს სასუქის დაგროვება სპეციალურად გაკეთებულ ბინებში. წელს სასუქით ნიადაგის განოყიერება ჩატარდება 60 ჰექტარზე.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ტემპები გაძლიერებული უნდა იქნას. რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი კონკრეტული და ცოცხალი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ თესვისთვის მზადებას.

გ. მერკვილაძე

ტრაქტორების შეკეთება 15 იანვრისათვის

(საქ. ტრაქტორცენტრის ცნობების მიხედვით)

1933 წლის საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხაზით უნდა შეკეთდეს სულ 476 ტრაქტორი, აქედან კაპიტალური შეკეთება ესაჭიროება 181 ტრაქტორს, საშუალო —161 ტრაქტ. და მიმდინარე—134 ტრაქტორს.

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ საქ. ტრაქტორცენტრმა მოგვცა, ტრაქტორების შეკეთება სამ.-სატ. სადგურების ხაზით არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 15 იანვრისათვის ფაქტიურად 18 სამ.-სატ. სადგურებში შეკეთებული იყო 112 ტრაქტორი, რაც ამავე სამ.-სატ. სადგურების საერთო გეგმის 31 პროცენტს შეადგენს. 6 სამანქანო-სატრაქტორო სადგურს (საგარეჯოს, ბათომის, ლაგოდეხის, ოჩემჩირის, წალენჯიხის და ზუგდიდის) საქ. ტრაქტორცენტრისათვის ტრაქტორების შეკეთების შესახებ 17 იანვრისათვის ცნობები არ ქონდათ გამოგზავნილი. ამ მდგომარეობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო. ცნობები სისტემატიურად და დაწესებულ ვადებში უნდა იგზავნებოდეს ცენტრში.

112 ტრაქტორიდან შეკეთებულია: კაპიტალური—35 ტრ. (28%). საშუალო—52 (40 პროც.) და მიმდინარე —25 ტრაქტორი, ანუ გეგმის 20%.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ხაზით ტრაქტორების შეკეთების მხრივ ასეთი მდგომარეობა გვაქვს:

სადგურები	შეკეთებული ტრაქტორები	გეგმის შესრულება %%-ით
სენაკის	11	40,7
ახალქალაქის	10	45,5
ყარაიას	9	50,0
წნორის	10	27,8
სამტრედიის	1	12,5
გორის	7	25,2
აგარას	11	45,8
გალის	6	16,2
კასპის	1	14,3
ხობის	3	21,4
მუხრანის	3	11,1
მარტვილის	2	50,0
ლანჩხუთის	12	52,8
ოზურგეთის	5	45,5
ხონის	3	100,0
აბაშის	13	40,6
გურჯაანის	4	80,0
ბორჩალოს	6	18,8

როგორც ვხედავთ, ტრაქტორების შეკეთება განსაკუთრებით არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სამტრედიის, წნორის, გორის, კასპის და მუხრანის სამ. სატ. სადგურებში, შედარებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს რემონტი გურჯაანის, ყარაიას, მარტვილის, ლანჩხუთის. ხონის სამ. სატ. სადგურმა ტრაქტორების რემონტი მთლიანად დაამთავრა.

ტრაქტორების და სხვა მანქანა-იარაღების დროზე შეკეთება ერთ-ერთი მთავარი პირობათაგანია გაზაფხულის სას. სამ. კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის,—ეს სერიოზული ამოცანა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იქნას მოქცეული.

სარემონტო სახელოსნოებმა სრული დატვირთვით უნდა იმუშაონ. დასავლეთ საქართველოს სამ. სატრ. სადგურებმა მანქანა-იარაღების შეკეთება მთლიანად უნდა დაამთავრონ 1 მარტისათვის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 20 თებერვლისათვის. ეს ვადები მტკიცედ უნდა იქნას დაცული.

მანქანა-იარაღების რემონტი დავიწყებულია

აგარის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მიერ აღებული ტემპები სარემონტო კამპანიაში არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მანქანა-იარაღები ვადაზე იქნება შეკეთებული.

სადგურის სახელოსნო დღემდე არ არის მომარაგებული მანქანების საჭირო ნაწილებით, სახელოსნოში დღემდე საჭირო დაზგები მოწყობილი არ არის, სახელოსნო არ თბება რის გამოც ხელოსნები სისტემატიურათ ცდებიან.

შეკეთებიდან გამოსული ტრაქტორების გამოცდა-შემოწმება არა ხდება. ხარისხი შეკეთებისა გამოურკვეველია.

ამასთანავე დღემდე მოწესრიგებული არ არის ტრაქტორებზე მთელი სეზონით ტრაქტორისტების მიმაგრების საკითხი, ტრაქტორისტების რიცხვი მცირეა, სადგურმა ვერ შესძლო ძველ ტრაქტორისტების კადრის მთლიანათ შენარჩუნება. ახლების გადასამზადებლათ-კი ჯერ კურსები გახსნილი არ არის.

საჭიროა გაძლიერდეს რემონტის ტემპები, რათა მანქანა-იარაღების შეკეთება დაწესებულ ვადამდე 15 თებერვლამდე იქმნეს დამთავრებული, და ამისათვის-კი საჭიროა სახელოსნოში შეიქმნას მუშაობისათვის საჭირო პირობები და მომარაგებული იქმნეს მანქანების ნაწილები, ამასთანავე ტრაქტორისტები მიმაგრებული უნდა იქმნენ ტრაქტორებზე და გაიხსნა ტრაქტორისტების მოსამზადებელი კურსები.

ზ—ი.

„კომუნისტი"-ს საკუთარი კორესპონდენტების რესპუბლიკანური თათბირი

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია ა-წ. 23 იანვარს იწვევს

საკუთარ კორესპონდენტების თათბირს

თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ქაროსანიძე აკაკი (ხონი)
ხუციშვილი ელიოზი (ბათომი)
კირცხალია ანდრო (სამტრედია)
ვ. ლალიაშვილი (ქუთაისი)
იზორია იასონი (ზუგდიდი)
კოკილაშვილი არჩილი (თელავი)
დავითიანი არტემი (ალბულ მანგლისი)
გოზალოვი ტიგრანი (სტალინისი)
მახხულია სოხო (ოზურგეთი)
გვარამია ბესარიონი (გარე კახეთი)
თვალჭრელიძე შიო (ონი)
ხახუბია აპოლონი (სენაკი)
ზარანდია მიხეილი (გურჯაანი)
ჯვებენავა ექვთიმე (მარტვილი)
რამიშვილი ლავრო (ლაგოდეხი)
მეგრელია ბაღდა (ხობი)
ზამბახიძე პეტრე (ხულო)
ბულაძე დავითი (ჩხარი)
აბუსერიძე იაკიმე (ხარაგოული)
მაჩხანელი არჩილი (მცხეთა)
ჩიხლაძე გრიგოლ (ახალციხე)
ქაბუკიანი რაფიელ (ცაგერი)
ლომსაძე (ახალქალაქი)
შუქჭიანი (გორი)
ქონქლაძე (გორი)
ჩხეიძე არტემი (ლანჩხუთი)
მერკვილაძე გრიგოლ (ტყიბული)
ჯარაბიძე ნოე (ტყიბული)
კაპანაძე პავლე (ზესტაფონი)
შენგელია გ. (აბაშა)
ხეფერთელაძე გედეონ (ჩოხატაური)
ბოკუჩავა ლუკა (ფოთი)
მალამბერიძე რუბენ (ქუთაისი)
კვირაია (ხობი)
ზაქარეიშვილი ალექსანდ (ყვარელი)
როგავა კოლია მალხაზის ძე (მარტვილი)
დონაძე ა. (ამბროლაური)

თათბირის პირველი სხდომა შესდგება 23 იანვარს საღამოს 6 ს რედაქციის ბინაზე

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია.

ოპერა

20 იან. 19 ახ. 7 წ. წითელი ყაყაჩო | 21 იანვარს 9 ახ. მე-7 წარმ. რიგოლეტო

აბონენტები, რომლებიც არ გადაიხდიან მე-6 გადასახადს თავის წარმოდგენის დღის 2 საათამდე წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებულნი და მათი ადგილები გაიყიდება ჩვეულებრივი წესით. ნ. 88

სახელმწიფო დრამა ს.ს.ს.რ. ხალ. არტ. კოტე მარჯანიშვილის თეატრი

21 იან 8 ახ. 5 წ მზის დაბნელება საქართ | 22 იან 9 ახ 5 წ ურიელ აკოსტა | 23 იან. სარემ. ქრ. მუშების კულტ-ლაშქრობა, დაზ. წარმ მზის დაბნელება საქართველოში

აბონემენტ. მე-5 შიმო ატარი სავალდებულო დასაწყისი 8 საათზე. ნ. 89

რუსთაველის თეატრი

20 იან 12 ახ 6 წ განგაში | 22 და 25 იანვარს ანზორ

მე 4 გადასახადი სავალდებულოა. გადასახადის მიღება სწარმოებს დღის 2 ს-მდე სალ. № 1. სალარო ღიაა დღის 11—2, სალ. 6—9 საათ.

დასაწყისი სრულ 8 საათზე. ნ. 90

სახკინმრეწვის კინო-თეატრები

ამიერკავკასიის პირველი კინო
ოქტომბერი ალბომი
5. 7.50. 9.10.50
ოქტომბერი დილით
12. 1.50.
დამკვრელი
სიაღ. დას 7.40 9.20 11
სააავშო კინო
დამკვრელთან
სიახს. დას. 12. 2.
ტექპროპაგანდის თეატრი
დამკვრელთან
სეანს. დას. 7 8.30
კინო დარბაზი
დას. 5.30. 8.30. 11
რ. ლიუქსემბურ. სახ.
კინო ყოფ. ციხიონი
5. 7. 9. 11.
რ. ლიუქსემბურ. სახ
დილით

კომედია პაპიროსის გამყიდველი ქალი მოსსელპრომიდან
ი. ილიაშვ.ის მონაწ. პრ. გ. კინ. ჟ № 44
მხატვრული ფილმი კ ა ტ ო რ ღ ა
პროგრ. გარეშე—ლენინის სიკვდილზე
კომედია ლ ი ა ზ ღ ვ ა შ ი
პატი პატაშონის მონაწილეობით.
პრ. გარ. საბჭოთა საქართველო № 8
მხატვრული ფილმი
ლენინის მისამართი
40 გ უ ლ ი
მხატვრული კომედია
დიდი უსიამოვნება
ხმოვანი მოლაპარაკე ფილმი
ბ ა მ ო ძ ც ე უ ლ ი
პროგ. გარეშ — ორთქმავალი წინ გახეთ
მხატვრული ფილმი
დ ე დ ა

ამ დღეებში
დიდი ხმოვანი მოლაპარაკე ფილმი
შემხვედრი
სცენარი - ლ. არნშტამის, დ. დელის, ფ. ერმლერის, ს. იუტკევიჩის.
რეჟისორები—ფ. ერმლერი, ს. იუტკევიჩი
რეჟისორის თანაშემწე—ლ. არნშტამი.
კომპოზიტორი—დ. შოსტაკოვიჩი.
ოპერატორები—გინცბურგი. მარტოვი, რაპოპორტი
ხმის ოპერატ. ნ. ვოლკოვი, ი. დმიტრიევი.
მთავარ როლებში: ვ. გარდინი ბ. ტენინ, თ. გურეცკაია, ა. აბრიკოსოვი, სახ. არტისტი ბლიუმენტალ-ტამარინა. ნ. 91

ექიმი
პირაქტოვი
ვლ. ვას.
გულის და ფილტვების სნეულებანი. საზონოვის (ყოფ. ფეოდოსიევის) ქ. № 22 (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლის და ძველი ტელეგრაფის პირდაპირ) მიღება 4—5 საათამდე.

ექიმი
ს. ი. ანდრეევა
დაბრუნდა კისლოვოდსკიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან სნეულ. გულის სნეულებ. სალ. 5—7, ელბაქიძის დაღმ. 20 (ყ. ვერის ხიდთან) ტელ 11—78.
311— 872

ექიმი
ლ. ა. ფაღავა
შარდ-სასქესო, სიფილისი, ვენერიული და კანის მიღება: სალ 6-ნახ—8 ს. კლ. ცეტკინის ქ. № 148 (რკ. გზის სამმართველოს ახლოს)
13—1 228

ექიმი
მ. ბ. ხუციშვილი
ქვენობა და ქალთა სნეულებანი მიიღება 5—7 საათამდე. პარნოვის (გუნიბის) ქუჩა № 26 61

ექიმი
კ. თ. ფუშელაშვილი
განაახლა ავადმყოფების მიღება, (კანი, ვენერიუ-ლი და შარდ-სასქესო ორგან. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1, დილით 8½—9 სალ. 7—8 ს.

სიძე ალექსანდრე და ვერა ლორთქიფანიძეები სერაფიონ, ძალო ფეჯიაშვილი [illegible] ელიჩკა მენაბდეები მწუხარებით იუწყებიან
გალინა ქაჯაიას
უდროო გარდაცვალებას. გამოსვენება 20 იანვარს, 4 ს. ყუბანის ქ № 11 კუკიის სასაფლაოზე. 321

ღრმად დამწუხრებულნი—მამა ილ. ღვედაშვილი და შვილები სერიოჟა კოლია ჯანო [illegible] მათთვის დაუვიწყარი
ოლიას
უდროო გარდაცვალებას. გამოსვენება 21 იანვარს 5 საათზე ანტონოვის ქუჩა 36, კუკიის სასაფლაოზე 325

ულმობელი მშობლები: აბელია იოსები და ლამარათი ბებია. ბაბუა ბიძია, ბიცოლა, მამიდა იუწყებიან ნათესავ მეგობრებს საყვარელ
ვალიკო იოსების-ძე ფანცულაიას
უდროო დაკარგვის გამო ვისვება 20 იანვარს, 4 ს. ორჯონიკიძის ქ № 77, ცაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 423

გიორგი სტურუა და ილია თავდგირიძე აუწყებენ ამხანაგებს ძველი არალეგალური მუშაკის
ეკატერინე იტრიევის-მუკაშიანის
გარდაცვალებას სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება სახკომსაბჭოს სასახლეში 20 იანვარს 6 საათზე გამოსვენება იქიდანვე 21 იანვარს 3 საათზე.

ვასო ვანო და ნიკო იტრიევები იუწყებიან, რომ იანკრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 18 იანვარს გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი ქალი
კატო იტრიევი
324

ღრმად დამწუხრებულნი დედა ოლღა, ძმა მოთა კლდიაშვილი ოლია, ბიძა ილიკო აუწყებენ ნაცნობებს, ნათესავებს
მრიშა კილაძის
გარდაცვალებას დაკრძალვა 20 იანვარს, 5 საათზე. გამოსვენება ანტონოვის ქ № 16. 329

დედ-მამა ქალ[illegible]ული და პლატონ ჩიქვაძეები შვილებით, ბერიები. ბაბუები; დეიდები. ქსენია, ხიხა, ოლია, მიშა ანდღულაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან პაწია
ს უ ლ ი კ ო ს
გარდაცვალებას. გამოსვენება 20 იანვარს 4 ს. ფოთის ქ. № 25.

სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტები ზინა და ლიზიკო გამყრელიძეები, ნადია ნაკროხაშვილი, ოსიკო გაჩეჩილაძე, მერი შიმოსიშვილი დასტირით მშვიათი მეგობრის ამავე კურსის სტუდენტ
დათიკო სალაყაიას
უდროო გარდაცვალებას. 317

გულდამწვარი მშობლები: ნინა ფილიპ ონი, ბიძები: ალექსანდრე, კალისტრატე დეიდები მამიდები: თამარი, მამიკო ქართველიშვილი, ბიცოლა [illegible] ბებია ევლამპი კობახიძე იუწყებიან პატარა
მ უ რ ი კ ო ს
უდროო დაკარგვას. დაკრძალვა მოხდა ს ზნაკვაში 17 იანვარს 334

ულმობელი მშობლები პეტრე ექვთიმის ძე და ლიდა ამაშუკელები. ბიძია სოფიო იუწყებიან საყვარელ პატარა
დოდო ამაშუკელის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 ს. გამოსვენება 22 იანვარს 4 ს. გლ. ხის ქ № 5 ვერის სასაფლაოზე.

ქალაქ[illegible] სამეურნეო არტელ „ჩვენი გამარჯვება"-ს გამგეობა და მასთან არსებული ალკკ უჯრედის ბიურო მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი კოლმეურნე, კომუნისტის
ანდრო გრიგოლის-ძე რობაქიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 19 იანვარს დიმში. 331

დამწუხრებულნი მშობლები: მარო, ნიკო. დები ელო, ანო ბადალოვები აუწყებენ საზოგადოებას, რომ დიდი თიანეთში 21 იანვარს 4 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი, დაუვიწყარ
ლადო ნიკოს-ძე ბადალოვის
ხსოვნის აღსანიშნავად. 331

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ნადია, ერმილე, ეფემია, ალექსი, გრიგოლი, კოსტა და ბაგრატი თავიანთი ოჯახებით იუწყებიან ძვირფასი მამის
ერასტო ბაქურას-ძე ზარქუას
გარდაცვალებას. დასაფლავება 21 იანვარს სოფ. ნოქალაქევში. 333

დამწუხრებული ძმა კონდრატი რძლები კასინია, თებრონე] მაჩარ ძეები შვილებით და რძლებით იუწყებიან საყვარელ
აქსენტი ამბაკოს-ძე მახარაძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 7 საათზე, ლეჩხუმის ქ № 53 დასაფლავება 21 იანვარს 5 ს. ვერის სასაფლაოზე. 327

დამწუხრებულნი: დედა დარია ბიძა ივანე და ლოლია. ძმა მიშა, ბიძაშვილები: ანტონი, თამარ ოჯახით იუწყებიან, რომ 21 იანვარს სუფიაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
თამარ პორფილეს-ას ჯორბენაძის
328

უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან მამა გიორგი და დედა მარო ჩილინგაროვები ნათესავებს და მეგობრებს, რომ უეცრად დავკარგეთ საყვარელი შვილი პაწია
ნ ი ძ ი ნ ა
დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 3 0

დამწუხრებული ძმა ბიჭი მეუღლით ებუთი და ივანიძებით და შვილებით. ძმები ისლანი ბერულავები იუწყებიან მათთვის საყვარელ
ილია ბასას-ძე ბერიას
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 21 იანვარს სოფ. ლეჩხუმში 318

საქ. გადაუდებელი კურსების ადმინისტრაცია და ულმობელი მწუხარებას გამოთქვამს ამავე კურსების დირექტორის ლადო წერეთლის ძმის
მიხაკო ივანეს-ძე წიწორიას
უდროოდ გარდაცვალების გამო 319

ორჯონიკიძის სახ. რაიონის დასაქმეთა ტრესტის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ტრესტის დირექტორის ბელი პატარა
სულიკო პლატონის-ძე ჩხიკვაძის
გარდაცვალების გამო დაკრძალვა 20 იანვარს 320

ულმობელი მშობლები, მიშა და პატუ ლია ბიძა უშა. ძმიკოები ირუსია ფიფია მა ხულიები დ ვა ლიით
ზალიკო მიშას-ძე მასხულიას
გარდაცვალებას. დასაფლავება 22 იანვარს კალინინის მოედანი 13 სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 7 საათზე 314

დამწუხრებული მშობლები ვიოი და ოლია მახარაძეები შვილებით იუწყებიან: 21 იანვარს გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 2 ხონის მესამე რაიონის სასაფლაოზე ნაშუადღევის 4 საათზე საყვარელ
ექიმ ნიკიკო მაჭარაძის
ხსოვნის აღსანიშნავად 321

დედა ნაია ძმა ნიკო ძმა ილო [illegible] ლით, და მარო მაისურაძე ქართველიშვილით [illegible] ცოლით სონიათი, ბიძაშვილი ისაკო მწუხარებით იუწყებიან საყვარელ მოძმის
ანიკო ზაუტაშვილის
უდროო გარდაცვალებას.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქუჩა № 62

მთავლიტის რწმუნებული ა 1261